ეროვნული ბიბლიოთეკა


# ოქროს საწმისი

დეკემბერი

№ 1

1989

სსფ აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის ორგანო


დაბადებულვარ,
რომ ვიყო მონა
და საქართველოს
მედგას უღელი!..



## ოქროს საწმისის დასაბრუნებლად

ამიერიდან ქართულ გამოცემებს ემატება „ოქროს საწმისი" — საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გაზეთი!..

გაზეთის არსი და მიზანი გაცხადებულია მისსავე სახელწოდებაში!...

ოქროს საწმისის მეტაფორა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ქართულმა სულმა და გენმა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე გაიხადა სიმბოლოდ!..

მას შემდეგ საქართველოს, ქართველ ხალხს არც ერთ დროსა და არც ერთ ეპოქაში არასოდეს მოჰკლებია იაზონთა მოზღვავება და ცდა, განეძარცვათ ქართული სულიერი თუ მატერიალური საგანძური.

ქართველი ერის მთელი ისტორია, მისი მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა, არის ბრძოლა ოქროს საწმისის — მიტაცებული განძის, წართმეული თავისუფლების — დასაბრუნებლად!..

საგულისხმოა, სიმბოლური და დამაფიქრებელი [illegible] თანამედროვე[illegible]

рых разда[illegible]рджоникидзе от нее ос-
талось чуть больше 69 тыс. кв. км.

Когда сегодня говорим «абхаз-
[illegible]ало четко знать, из
[illegible]ются

განა დღესაც ისევ ჩვენი[illegible] ცი არ უდგას გვერდით მას, ვისაც მოსვენე[illegible] ოქროს საწმისის სიდიადე და მშვენიერება?!

„ოქროს საწმისი" თავის უპირველეს ამოცანად ისახავს, სრულყოფილად წარმოაჩინოს ჩვენი ეროვნული განძი, მათ შორის კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა დჵ, ამასთან ერთად, ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ალიანსები ამ საგანძურთა გადარჩენისა და გაბრწყინებისათვის, საკადრისი მიუზღოს ყველას, ვინც დღესაც შეეცდება ხელი შეგვიშალოს ამ ბრძოლაში და სურვილი გაუჩნდება ჩვენს მარადიულ სიწმინდეთა ხელყოფისა!..

„ოქროს საწმისი" თავდაუზოგავად იბრძოლებს, რათა ბოლომდე ჩამოხადოს ნიღაბი მოყვარულ ძმებს შორის ჩამდგარ უცხო გადამთიელს და ყველაფერს გააკეთებს ან მოგონებად ქცეული ჰარმონიის კვლავ დასამყარებლად!..

„ოქროს საწმისი" უხმობს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვენიერება, სიკეთე, ხალხთა ძმობა, თავისუფლება და შეგვახსენებს დიდი ილიას სიტყვებს: „მამული, ენა, სარწმუნოება!"..

„ოქროს საწმისი", ისევე, როგორც მითიური ოქროს საწმისი, სრულიად საქართველოს განასახიერებს მისი უკვდავი წარსულით, მშფოთვარე აწმყოთი და მომავლის უმშვენიერესი ხედებითა და კონტურებით!..

## საქართველო იბრძვის

საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია შეიქმნა თვით ხალხის ინიციატივით სსფ პროგრამის შესაბამისად. ივლისის ცხელ დღეებში, როცა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა მძიმე განსაცდელში ჩავარდა, ხალხმა მიაშურა ამ საზოგადოებრივ საკრებულოს, ყველაზე ადრე აფხაზეთში გულრიფშში ჩამოყალიბდა და საკმაოდ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია საკადრო პოლიტიკის, რაიონში არსებული სოციალ-პოლიტიკური სიტუაციის ნორმალიზაციისათვის. აქ წამოიწყეს ბრძოლა როგორც აფხაზი, ასევე ქართველი არაკომპეტენტური პირების წინააღმდეგ და ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც მათს ჩამოშორებას დაკავებული თანამდებობებიდან. ჩვენი აზრით, ეს არის ელემენტარული სოციალური სამართლიანობის პრინციპის გამარჯვება.

სახალხო ფრონტისა და აფხაზეთის ქართველების ჯანსაღი ნაწილის მოვალეობაა ფართოდ გაშალონ ბრძოლა, როგორც აფხაზი, ისე ქართველი ბიუროკრატიის კორუმპირებული ნაწილის წინააღმდეგ.

სახალხო ფრონტის როლი ერის მომავლისათვის, ჩვენი აზრით, არა მარტო ფრონტის წესდებით და პროგრამით უნდა განისაზღვრებოდეს, არამედ, ამასთან ერთად, ჩვენი ყოველდღიური, რეგიონისათვის დამახასიათებელი სპეციფიური მოქმედებით.

ცხოვრება მაინც შეუბრალებლად ცვლის ყველა ჩვენს მიზანდასახულობას, რისი სამწუხარო მაგალითიც 15-16 ივლისის მოვლენებია. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ტრაგედიამ საოცრად გამოაფხიზლა, გაააქტიურა ადამიანები. ერის ლაშქარში ჩადგა გლეხიც და აკადემიკოსიც, დეპუტატიც და სტუდენტიც. ყველამ კარგად იცოდეს, რომ ამ ლაშქრის დამარცხება შეუძლებელია. ვითარება აფხაზეთში საგანგაშოა, სახალხო ფრონტის მხრივ საჭიროა აქტიური მოქმედება, სიტუაციის მთელი სიღრმით გაანალიზება. პრინციპულობა და უკომპრომისობა ყველა დამნაშავის პოვნასა და დასჯაში უნდა გამოიხატოს.

გულრიფშის მოპიკეტეებიდან ოთხი ახალგაზრდა სამართალში მისცეს. გამომძიებელმა ერთ-ერთს ბრალი იმაში დასდო, აფხაზ მოქალაქეს კვიწინიას პასპორტი დაუხია. მეორე ახალგაზრდის დანაშაულად გარაჟის გატეხვა მიიჩნია. ახალგაზრდების ასეთი მოქმედება ხდებოდა არაორდინალურ სიტუაციაში, ფაქტიურად, ხაოსურ პირობებში, როცა არ იცოდნენ, საიდან მიახლიდნენ ტყვიას, როცა თითქმის ყოველი აფხაზის სახლში საომარი იარაღი იქნა ნაპოვნი, ყოველი ქართველი ოჯახი კი განიარაღებული იყო და ამ დროს პასპორტის დახევა ან გარაჟის გატეხა უფრო დიდ დანაშაულად აღიარეს სამართალდამცველებმა, ვიდრე თავის გატეხა.

პოლიტიკური განათლება სჭირდება ქართველ ხალხს, რომელსაც ოფიციალური აგიტაცია-პროპაგანდა ათწლეულობით უჩლუნგებდა აზროვნებას. ამჯერად ქართველთა ფართო მასა უნდა გავანათლოთ ახლებური ეროვნული ცნობიერებით.

საჭიროა სახალხო ფრონტმა ჩააყენოს თანამედროვეობის სამსახურში ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია ჩვენს ტრადიციებთან, ისტორიასთან, ყოფა-ცხოვრებასთან. ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის ძირითადი ეტაპის შესაფერისი სიმბოლიკა, ისტორიული დროშები, გერბები, მუსიკა... 26 მაისი, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე, ფართოდ უნდა აღინიშნოს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, როგორც განსაკუთრებული მოვლენა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

„პერესტროიკის" პერიოდიდან ჩვენს ქვეყანაში იმდენი რამ გამოაშკარავდა, რომ ქვეყნის მიერ 72 წლის განმავლობაში განვლილი გზა აღმოჩნდა სიცრუის, დესპოტიზმის, დამცირების გზა. ხალხმა გაიგო, რომ სოციალური სამართლიანობა არა გვქონია, რომ ერთა შორის ძმობის და მეგობრობის ნაცვლად შუღლის და მტრობის ძალა ყოფილა დაგუბებული. ვინც მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში ყოფილა და ხალხის ცხოვრების დონე უნახავს, იტყვის, ნუთუ სოციალიზმი სიღატაკის სინონიმია. ხანამ საკუთარი თვალით არ ვიხილეთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები, გვჯეროდა, ნარკომანია, ძარცვა, ქურდობა მათი ხვედრი იყო მხოლოდ, სინამდვილეში კი მოხდა ისე, რომ ჩვენს მთავრობას საგანგებო კომისიების შექმნა დასჭირდა კატასტროფიულად გაზრდილი დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ხალხმა ყველაფერი ეს და სხვა მრავალი დეფორმაცია აშკარად დაინახა, აღშფოთდა და ხმა ამოიღო.

ჩვენ ზედიზედ გვიხდება შეურაცხმყოფელი აქციების გადატანა, ცილისწამებისა და პროვოკაციების მოთმენა. გადაულახავი ძალმომრეობის წინაშე უძლურების გამო, ერი ზედიზედ ასრულებს დამამცირებელი კომპრომისების რიტუალს.

ქართული ცნობიერება, რომელიც ჯერ კიდევ ფეოდალური საქართველოს რაინდული კოდექსის დონეზე აღიქვამს აფხაზს, როგორც თავის უკეთილშობილეს თვისტომს, თანამედროვე აფხაზი ექსტრემისტების ანტიქართული აქცია კი წარმოდგა, როგორც ღალატი. თუ ამგვარ ვითარებას საქართველოს ისტორიის შემოქმედი აფხაზი ან ქართველი შეურიგდა, დაუვა, დანებდა, მომხდარი მოგონილი იქნება იმ ტრაგედიასთან, რაც გველის წინ. ქართველთა მხრივ აფხაზზე, როგორც ნათესავზე, შურისძიებაში არაფერია საამაყო და სასახელო არც შინ და არც გარეთ. არ ვიცი, აქვთ თუ არა ეს შეგნებული აფხაზებს? იქნება ეს მხოლოდ მათი დამპროგრამებლების წადილია, მაგრამ ფაქტია, რომ ინსპირატორებისაგან დაბრმავებული აფხაზები ქართველთაღმი ტერორით სიკვდილს ეთამაშებიან უფსკრულის პირას.

თუ მართლა დაპირისპირებულთა ერთიანობაზე მიდგა [illegible], განა სხვას რას ჩაგვჩიჩინებს ისტორია, თუ არა იმას, რომ ჩვენი

(გაგრძელება მე-4 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფვირფვინი ეკალთაგან

# მერაბ კოსტავა



ძნელია დღეს მასზე, როგორც წასულზე, წერო, ვინც გუშინ ცოცხალ ბურჯად და მამაბოძად ედგა თავისუფლების ტაძრის იმ კონტურებს, რომლის მშენებლობა ხვალ უნდა დავასრულოთ.

მერაბ კოსტავა ამ ტაძრის ხარაჩოდან ჩამომწყდარ მშენებელ დიდოსტატს ჰგავს. იგი ისეთივე მგზნებარე და შემართებული მშენებელი დიდოსტატი გახლდათ, როგორიც მებრძოლი იყო. სხვანაირად ჩვენი ქართული ეროვნული მოძრაობის წარმართვა და გამარჯვება შეუძლებელია.

დღეს ჩვენ სწორედ ის ჟამი დაგვიბრუნდა, როცა ქართველ კაცს ცალი ხელი სახნისზე ეპყრა, ცალი კი — იარაღზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მტერი იმჟამად უფრო პირდაპირი და გულმართალი იყო, დღეს კი უფრო შენიღბულია და ფლიდი.

სწორედ ასეთ მტრებთან უხდებოდა ბრძოლა მერაბ კოსტავას. მისი ბიოგრაფია ტანჯული და გოლგოთას გზაზე მავალი კაცის ბიოგრაფია გახლავთ და გახსოვდეთ, ვინც საქართველოს თავისუფლებისათვის ოცნებობს და რაიმე უნდა გააკეთოს ამ თავისუფლების მოსაპოვებლად, წინასწარ უნდა შეეგუოს მერაბისეულ ბედსა და ფინალსაც კი.

ბრძოლა მკაცრია და სასტიკი.

ქართული რაინდული პირდაპირობითა და დიდგულოვნებით გადაიხადა მან თავისი წილი ბრძოლები და ვალმოხდილი მამულიშვილის ნათელით მიწვა მთაწმინდაზე.

მისი ყოველი ჩამოსვლა აფხაზეთში და ტრიბუნაზე გამოჩენა დიდ რისკთან ერთად დიდ იმედებთანაც იყო დაკავშირებული.

აფხაზეთის ქართველებმა კარგად ვიცოდით ამ უხორცობამდე უშიშარი რაინდის ფასი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, არანაკლებ იცოდა მტერმაც, თუ რას ნიშნავდა მერაბის ჩამობრძანება და დაჭუხება აფხაზეთში, მიტომაც ასე ღიზიანდებოდნენ და აკრაჭუნებდენ კბილებს.

სწორედ მერაბის მოძიებისათვის გადაუდგა ბრბო 1 აპრილს გუდაუთასა და ბზიფში ლესელიძიდან მომავალ ავტობუსებს, რადგან შიგ მერაბი ეგულებოდათ და სურდათ, ფიზიკურად გასწორებოდნენ მას. მაგრამ ასეთი რამ არ მოხდა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ბრიყვებმა უნდა იცოდნენ: არ შეიძლება ფიზიკურად გაუსწორდე მას, ვინც შენზე სულიერად ძლიერია.

მსგავსნი მერაბისანი „ღმერთებივით უკვდავნი არიან. ჩვენ ღმერთებს ვერ ვხედავთ, მაგრამ იმ პატივთა მიხედვით, მათ რომ აქვთ და იმ სიკეთეთა მიხედვით, ჩვენ რომ გვანიჭებენ, მათ უკვდავებას ვაღიარებთ. სწორედ ასეთი თვისებები აქვთ მამულისათვის თავდადებულებსაც“ (სტრაბონი).

სწორედ ასეთად მიიჩნია საქართველომ მერაბ კოსტავა.

საქართველო, ქართველი ხალხი კი თავისი გმირების აღიარებაში არასოდეს შემცდარა.

ჯანო ჯანელიძე



# მათი სიცოცხლე გრძელდება

საქართველოს სიყვარულმა შეჰკრა ისინი ერთ ფიცად ერთი საქმისათვის — ვოვა ვეკუა და სოსო ადამია — ორივე ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი იყო, ორივეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ეწვოდა გული. ქალაქ სოხუმის საზოგადოებრიობისათვის კარგად იყო ცნობილი ეს ორი კოლორიტული პიროვნება. პირველი 15-16 ივლისის სისხლიან აქციებს შეეწირა, მეორე კი ბრმა, ტრაგიკული შემთხვევის მსხვერპლი გახდა. მაგრამ მადლობა ღმერთს, სიკვდილით არ მთავრდება ადამიანის სიცოცხლე, ადამიანისა, რომლის უპირველესი იდეალი სამშობლო იყო. აფხაზეთის საზოგადოებრიობამ სამართლიანად მოითხოვა ვოვა ვეკუას სახელი ეწოდოს ქალაქ სოხუმის ერთ-ერთ ქუჩას, ხოლო სოსო ადამიას სახლის მდებარე ქუჩას სამართლიანად მიაწერეს მისი დაკრძალვის დღეს „სოსოს უბანი“.

**სურათზე:** მიტინგი ქ. სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრის წინ. ვოვა ვეკუა და სოსო ადამია.

# მაგრად უნდა ვიყოთ!..

კიდევ ერთი უბედურება დაატყდა დედა-საქართველოს, უდროოდ წავიდა ჩვენგან დიდი მამულიშვილი მერაბ კოსტავა.

მერაბ კოსტავაზე, როგორც სახელოვან ქართველზე, ბევრი დაიწერა, ალბათ, მომავალში უფრო მეტი დაიწერება. ჩემი აზრით, ღირსეულად რომ დაფასდეს მამულისათვის თავგანწირული რაინდი, საჭიროა... თავისუფალი საქართველო. სწორედ თავისუფალ საქართველოში, ყოველი ქართველისათვის მერაბ კოსტავა იქნება ნამდვილი ხატი, მასზე ლეგენდებს შეთხზავენ უთუოდ. იგი ღვთის მიერ მოვლენილი პიროვნება იყო. საოცარია, დაიბადა 26 მაისს, გარდაიცვალა 13 ოქტომბერს, ნახევარი საუკუნე იცხოვრა გატანჯული სიცოცხლით. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ეს უიარაღო რაინდი ებრძოდა გველეშაპს.

„სწორი გზის პოვნა და მასზედ სვლა ნახევრად გამარჯვებაა“, — გვასწავლის დიდი ილია. სწორედ ილიას გზით მიდიოდა ბატონი მერაბ კოსტავა. საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას მან განაცხადა: „...განგების წინაშე უნდა ვიყოთ მართალნი, თორემ შესაძლებელია განგებამ ისეთი გამოცდა მოგვიწყოს, რომ მთელი ერი დაიღუპოს. დღეს ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ...“

მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვით სწორი, სამართლიანი გზის პოვნაში, ერის გამოღვიძებაში.

„მერაბ კოსტავასა და მისი მეგობრების დამსახურება განუზომელია ქართული ეროვნული მოძრაობის განახლებასა და აღორძინებაში. მათ შეუძლებელი შეძლეს, მკვდარი საქართველო გააცოცხლეს“. — ეს სიტყვები გამოჩენილ ქართველ მწერალს ნოდარ წულეისკირს ეკუთვნის. სადღაც ამომიკითხავს, ვაჟა-ფშაველა თურმე მის ახლობლებს ჩვეულებრივი მელექსე ეგონათ. მეც ასეთი მეგონა მერაბი...

სტუდენტობისას ერთ წელიწადს ვცხოვრობდი მერაბის ბინაში (ჯავახიშვილის ქ., № 1). საოცრად უბრალო, ხადა მახსოვს იგი, ალბათ ამიტომაც იყო ასე დიდებული, ან როგორი პირდაპირი, ალალმართალი და პატიოსანი!

დიდი ხნის მანძილზე აუგად იხსენიებდნენ ერის სინდისს. როგორ არ „ამკობდა“ ქართული პრესა, „ექსტრემისტიც“ უწოდეს, ვიღაცამ — „გარეწარიც“.. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ სიმართლემ გაიმარჯვა.

რამდენი ტანჯვა-წამება გადაიტანა, ერთადერთი ვაჟიშვილიც დაეღუპა, მაგრამ არ გატეხილა ეს სულით საოცრად ძლიერი ვაჟკაცი. მერაბს არასოდეს უფიქრია საკუთარ ავტორიტეტსა და სახელზე. დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია ჭკუას გვარიგებს: „...რაც შეეხება სახელს, იგი სიკვდილსა ჰგავს, როცა საჭიროა, თვით მოგაკითხავს“. მერაბსაც მოაკითხა სახელმა...

შარშან, 22 მაისს, ჩემთვის საყვარელ კაცს, ვოვა ვეკუას შევხვდი. „მერაბი ზეგ უნდა ჩამოვიდესო“, — მახარა ვოვამ.

ზღვისპირას, რესტორან „ამრას“ წინა მოედანზე შევხვდი დიდი ხნის უნახავ ახლობელს. მაშინვე მიცნო, გულში ჩამიკრა, ოჯახის ამბავი გამომკითხა. „მერაბ, ამ საღამოს აუცილებლად შინ უნდა მეწვიო, ჩემს ბიჭებს გაგაცნობ“, — ვეუბნები გახარებული. არ ვიცი, მერაბს თუ შეეძლო საერთოდ უარის თქმა.

მერაბი თამადობდა იმ საღამოს. მახსოვს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გმირობაზე ჩამოაგდო სიტყვა, უნდა აღსდგესო გმირის სახელი.

დიდებულად იმღერა კახური „მრავალჟამიერი“. კ. ფიფიამ და მერაბმა მეგრული „კუჩხიბედინერიც“ შემოსძახეს.

„მსოფლიოში არ არის ასეთი სიმღერა“, — გვეუბნება მერაბი.

„თუ ძმა ხარ, თბილისს რომ ჩამოხვალ, გამოიარე ჩემთან, ერთად დავამუშაოთ ეს სიმღერა!“, — განაგრძო შემდეგ. იმ საღამოს ასე მივმართავდი: „ბატონო მერაბ“ ან „მერაბ ბატონო“! მორიგი სადღეგრძელოს წინ თავისებურად გაიღიმა და მეუბნება:

„ბიჭო, როდის შემდეგ გავხდი მე შენი ბატონი!“.

მერაბს სრულიად შემთხვევით წამოსცდა არაქართული სიტყვა, მყისვე მივეცი შენიშვნა. შემომხედა, გაიღიმა და მეუბნება: „ოჰო, კარგია“!

თემურ ლორთქიფანიძემ მერაბის სულიერი ძმის ბატონ ზვიად გამსახურდიას სადღეგრძელო შემოგვთავაზა. მორიდებულმა ვოვა ვეკუამ სიტყვა ითხოვა. ვწუხვარ, სრულად აღარ მახსოვს მისი სიტყვები. საქართველოს თავისუფლებისა და მერაბ კოსტავას დაბადების დღე — 26 მაისი მოგვილოცა.

„ეს უთუოდ სიმბოლურია“, — დაუმატა ვოვამ.

შემდგომი ჩვენი შეხვედრა დაბა ლესელიძეში მოხდა 1 აპრილს. ძალიან რთულ, საშიშ სიტუაციაში მიმდინარეობდა ერთსაათიანი მიტინგი. ნუგზარ მგალობლიშვილი გაგვიხდა ცუდად. გუდაუთის რაიკომის ყოფილი პირველი მდივნის კ. ოზგანის ტრიბუნაზე ასვლამ კიდევ უფრო დაძაბა მდგომარეობა.

შემეშინდა, ისეთი ცუდი ფერი ედო მერაბს. გაგრამდე ჩვენი „იკარუსით“ იმგზავრეს მერაბმა, თამრიკო ჩხეიძემ და ზურაბ ჭავჭავაძემ. შემდეგ კი, თუ რა უბედურება დაატყდა გზაზე ჩვენს ავტობუსს, კარგად იცის მკითხველმა.

მეორე დღეს სოხუმში ჩატარდა მრავალათასიანი დემონსტრაცია-მიტინგი. შემდგომ 9 აპრილის ტრაგედია...

მაისის ბოლო რიცხვებში ისევ შევხვდი დეიდამისის დაკრძალვის დღეებში. უკვირდა, როგორ გამოიცვალა საქართველო რამდენიმე თვეში, თვით რესპუბლიკის პროკურორი რაზმაძეც კარგად მეპყრობაო.

ივნისში ორჯერ ვინახული ბატონი მერაბი თბილისში. ნაცნობი სახლი... სრულიად მოურიდებლად შევდივარ... დედამისმა, ქალბატონმა ოლიკომ მაშინვე მიცნო.

„შვილო, გიული, შენა ხარ?“ — ქალბატონი ოლიკო მამაჩემის ღვიძლი ბიძაშვილია.

„ცოტა წყნარად, ზვიადსა და მერაბს სტუმრები ჰყავთ ბალტიისპირეთიდან“, — მეუბნება ქალბატონი ოლიკო. შემდეგ განაგრძობს: „მგონი ბინას აძლევენ ჩემს მერაბს...“

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ისევ დავბრუნდი. მერაბი სტუმრებს აცილებდა. შინ შემიყვანა. ცოტა ხანს ვისაუბრეთ, აფხაზეთის მწვავე ამბები გამომკითხა.

„მაგრად უნდა ვიყოთ!“ — თითქოს ბრძანებით მითხრა. საჩუქრად ჟურნალი „საქართველო“ გადმომცა. ეს იყო მერაბის ბოლო საჩუქარი, რომელსაც სათუთად ვინახავ. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაც.

13 ოქტომბერს მე და ჩემი მეგობრები ბ. გოგუა, კ. ფიფია სადილოში აღმოვჩნდით. შევსვით ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სადღეგრძელო. კუკური ფიფია მეუბნება: „როდის უნდა შევუსრულოთ ბატონ მერაბს თხოვნა? როდის წავიდეთ თბილისში?“.

ერთი საათის შემდეგ მეზობელმა ქალმა უბედურება მამცნო. რა თქმა უნდა, ვერ დავიჯერე. უშედეგოდ ვრეკავ თბილისში, მერაბის ბინაზე.

ვურეკავ ჩემს მეგობარ სოსო ადამიას სახლში. სოსოს ძმამ მიპასუხა: „სოსო ხარაგაულს წავიდა, კოსტავა... გარდაიცვალა“.

არც მახსოვს, როგორ მოვხვდი რკინიგზის სადგურზე. იმ ღამეს ცოტა წამთვლიმა, საშინელი სიზმარი ვნახე.

თბილისი, მეტროს სადგური „რუსთაველი“, უამრავი ხალხი დგას „ზემელზე“. ჩავდექი რიგში... ნაცნობი ეზო... უკვე ცრემლებს ვეღარ ვიკავებ, სრულიად დამავიწყდა ქალბატონ ოლიკოსთან მისვლა.

თითქოს გამიშრა ცრემლები, საოცრად დამაინტერესა ხალხის აზრმა. ჩემს დღეში არ მინახავს მსგავსი რამ, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი — ყველა ტიროდა. შემდეგ სამი თვალცრემლიანი მტირალი სტუდენტი გოგონას გვერდზე აღმოვჩნდი.

უსათუოდ განსაკუთრებული პიროვნება უნდა იყო, ასე რომ უყვარდე შენს ხალხს.

შემთხვევით ჩემს მამიდაშვილს მოვკარი თვალი. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ შინ გავყევი. „დიდი კაცია ჩვენი მერაბი“, — ცრემლებს ვეღარ იკავებს ლერი, მერაბის ძმადნაფიცი. „თბილისში ხმა დაირხა, მგონი, მთაწმინდაზე“.. თითქოს საიდუმლოს მიმხელს. გულახდილად უნდა ვთქვა, ძლიერ გამაკვირვა, მთაწმინდა ხომ ერის რჩეულთა ხვედრია.

საშინლად განვიცდი „მოამბის“ დაწყებას და... გავიგონე საოცნებო სიტყვა — „მთაწმინდა“. ჩემდაუნებურად წამოვიჩოქე, პირ-ჯვარი გადავიწერე და... ვიტირე.

ჩემს შესაძლებლობას აღემატება იმის აღწერა, რაც 21 ოქტომბერს სიონის ტაძარში და მთელს თბილისში ვნახე. არა, ამის აღწერა უბრალოდ შეუძლებელია, იგი უნდა გენახა... მთაწმინდაზე ორი სიმღერა იმღერეს, პირველად მერაბის საყვარელი „შავლეგო“. ვიღაცამ დაიძახა: „ნიჩბები არ ვიხმაროთ, ხელით მივაყაროთ მიწა!“.

ამ ქართული მიწის სიყვარულმა აგამაღლა მთაწმინდამდე, ძმაო მერაბ!..

შენი მარადიული სულის სადიდებელი იყოს, ერის სინდისო!..

მაგრად უნდა ვიყოთ!..

დემურ ქებურია

**ნიკოფსიიდან,**
**ნიკოფსიიდან,**
**ნიკოფსიიდან დარუბანდამდე**
**მე საქართველოს ისევ ვტირი და**
**მე საქართველო ისევ მადარდებს.**

● დიოსკურიის მახლობლად სვანები ცხოვრობენ... ისინი ძალგულოვანნი არიან და მგონი თავიანთი გამბედაობითა და საბრძოლო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხს აღემატებიან. კავკასიის მაღალი მთები უკავიათ და ყველა მეზობელ ხალხებს განაგებენ. მათ ჰყავთ... 390 წევრისაგან შემდგარი საბჭო. ამბობენ, რომ მათ შეუძლიათ გამოიყვანონ ორასი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი, რადგან მთელი ხალხი ერთნაირი ძალის მებრძოლია.

სტრაბონი, „გეოგრაფიკა".

● ტრაპიზონიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთით სამი დღის სავალზე, მდებარეობს ქალაქი სუხუმი... ამბობენ, ის გურჯთა (ქართველთა) ქვეყნის ნაწილიაო. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ქალაქი აბხასი...

ალ-კალკაშანდი (1353-1418)
(არაბი მოგზაური).

● ტრფობით შენი თეთრი სახის და კავების, მას რომ ამკობს, აფხაზეთში დავესახლე და ქართულად ვლაპარაკობ.

● ერთ მშვენიერ დღეს ფეხს დავკრავ და აფხაზეთს გავალ... ღია დამხვდება ქართველების კარები, მჯერა.

შირვანი ხაკანი (XII ს.).

● აფხაზები და მეგრელები სხვა ქართველ ტომებთან ერთად გაერთიანდნენ.

● ოდიშისა და აფხაზეთის ქაფირები სხვა ქართველებთან ერთად შეიკრიბნენ.

● 1709 წელს აჯანყებულმა აფხაზებმა, მეგრელებმა და სხვა ქართველმა ქაფირებმა დახოცეს ზაფირეჯიები, ხოლო მკვიდრ მოსახლეობას აუკრძალეს ურთიერთობა ოსმალო ვაჭრებთან.

● 1722 წელს აფხაზი და მეგრელი ქაფირები სხვა ქართველ ტომებთან ერთად შეკავშირდნენ და თავს დაესხნენ გონიოს, ანაკლიის და ბათუმის ციხეებს. ვერაგი და ცბიერი ყაჩაღებისაგან მოსვენება არ არის.

ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის შესახებ; თბ. 1989 წ.

● ბიჭვინტა... ჟამსა აფხაზთა მეფეთათა იქმნა საკათალიკოზოდ, და აწ არს საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა, არამედ აწ ხუცის ამარად, ვინაიდან აფხაზნი არღარა მონებენ რჯულსა და სარწმუნოებასა.

ბატონიშვილი ვახუშტი.

● „ქ. კურთხეულ ხარ, ღმერთო, ყოვლად ყოველსა შინა. ეს იქმნა დასაბამითაგან წელთა ხ͞ჟ͞ი͞თ, ქრონიკონსა ს͞პ͞ვ, მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა ინდიკტიონსა ლ͞ე͞ი, აპრილსა თუესა ვარსკვლავი გამოჩნდა, რომელ მისსა წიაღსა აღმოვლიდის და წინა მისსა, ვითარცა შარავანდი დიდი მოკიდებით მასვეა. ეს იქმნა ბზობისგან აღვსებამდე".

ძველი ქართული ასმთავრული წარწერა ლიხნის ტაძარზე; X ს.

● „ქრისტეო, მეუფეო ყოველთა, ადიდე ორთავე შინა სუფევათა უძლეველი მეფეთა მეფე ბაგრატ".

ძველი ქართული ასმთავრული წარწერა ბესლეთის ხიდზე; X ს.

შენიშვნა: ზემოთაღნიშნული წარწერები დღეისათვის პირწმინდად გადაშლილია, რა მიზნით, ეს მკითხველისათვის განმარტებას არ საჭიროებს. ვინც ჰქმნის და აშენებს, ის არასოდეს ანგრევს და შლის.

● როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში, ნადირობდნენ ტყეში.

გიორგი შერვაშიძე.

ვშვის ხელით. ასე დგას საკითხი რეალურად. ამაზე ლაპარაკობს სინამდვილე, თუ მას ისე გავითვალისწინებთ, როგორიც არის.

ნესტორ ლაკობა.

● აფხაზეთის სამეფოში ქართველური ელემენტი მნიშვნელოვან უმრავლესობას წარმოადგენდა მოსახლეობისა და ამასთანავე იკავებდა ამ სახელმწიფოს წამყვან და უმეტეს ნაწილს. ტერიტორიული თვალსაზრისით ქართველებს ეკავათ რვიდან ექვსი საერისთავო, ამიტომ ქართული ენა თანდათანობით საყოველთაო გავრცელებას იძენს დამწერლობისა და კულტურის ენის სახით მთელს სახელმწიფოში.

„ისტორია აბხაზიი", სოხუმი.

● მეოთხე საუკუნის დასავლეთ საქართველოში ხდება წინაფეოდალური პოლიტიკური ერთიანობის ჩამოყალიბება. ასეთებია, კერძოდ, ლაზთა სამეფო, აფშილების, აბაზგების და სხვათა სამთავროები. ამათგან მეოთხე საუკუნეში დიდად დაწინაურდა ლაზთა სამეფო. მათი მმართველები იმორჩილებდნენ ჩრდილოეთ კოლხეთის მთელ ტომთა გაერთიანებებს (აფშილებს, აბაზგებს, სვანებს).

● სამეფოს მოსახლეობა უპირატესად ქართული იყო (მეგრელ-სვანები, ქართები) და, ბუნებრივია, იგი ქართულ პოლიტიკურ ერ-

იციან. რწმენით ისინი ქრისტიანები არიან. რაიმე ქრისტიანული წეს-ჩვეულების ვარეშე... ტყეები მათ ემსახურებათ როგორც ღვთის დრო ადგილი... იცვამენ ჩერქეზების მსგავსად, მაგრამ თმებს იკრეჭენ სხვანაირად, ვიდრე ჩერქეზები.

ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, 1930 წ.

● აფხაზები ქალაქებსა და ციხეებში როდი ცხოვრობენ, არამედ შეიყრება ერთი გვარის ათი ან ოცი ოჯახი, ამოირჩევენ რომელსამე მაღლობ ადგილს, გააშენებენ იქ კარგ ისლით დახურულ ფაცხებს, შემოავლებენ ამორჩეულ ადგილს მაგარ ღობეს და ღრმა თხრილს. ღობეს და თხრილს იმიტომ აკეთებენ, რომ ეშინიათ თავდასხმისა. გარეშე ხალხი კი არა, თვით აფხაზები თავს ესხმიან და ძარცვავენ ერთმანეთს.

არქანჯელო ლამბერტი.

● აბაზგები ერთმანეთს ებრძვიან, ბავშვებსა და ქალებს იტაცებენ, ტყვეებს ჰყიდიან და ამით ცხოვრობენ.

● მათ რომ ქაფირი (ე. ი. — ქრისტიანი — რედ.) უწოდონ, კაცს მოჰკლავენ, მუსლიმი რომ უწოდონ — გაუხარდებათ. ესენი ყურანს არ იცნობენ და არც რაიმე სარწმუნო-

# აფხაზეთი იყო, არის

„ნიკოფსიითგან დარუბანდისა ზღუადმდე"




ება აქვთ. ამასთანავე, ქაფირი არ უყვართ და მძლიმს სულს მისცემენ.

ევლია ჩელები, თურქი მოგზაური.

● ... Что касается Грузии, то она потеряла столько народа, сколько было в те времена вообще абхазов — 50 тысяч репрессированных и 20 тысяч расстрелянных.

● В 1920 г. Грузия имела территорию в 93 тыс. кв. км., а после щедрых раздач Орджоникидзе от нее осталось чуть больше 69 тыс. кв. км.

● Когда сегодня говорим «абхазский народ», то надо четко знать, из кого же он состоит. Тут различаются три основных слоя: собственно апсуа (адыги), обабхазившиеся турки и грузины, которые из карьеристских побуждений стали называть себя абхазами. Среди них не только мингрелы, хотя их большинство, но и такие известные в Грузии фамилии, как Лагидзе, Церетели, Лордкипанидзе; Кобешавидзе, и даже говорят, что есть и Цкитишвили...

К. ЦКИТИШВИЛИ.

# და იქნება საქართველო

● ხოლო ანაკოფიის დასავლეთ არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი... არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი.

ბატონიშვილი ვახუშტი.

● აქავ, ბედიას, აღაშენა... მეფემან ბაგრატ ეკლესია დიდ-შუენიერ გუმბათიანი და შეამკო სიმდიდრითა დიდითა ფრიად. ამისთვის წერილ არს: „ვისაც გენებოს სიმდიდე და სიმდიადრე ბაგრატ... მეფისა, გინიხილე ბედიის ეკლესია და მით სცნობ".

● მერმე აფხაზთა მეფის ლევანისაგან განიყო, და ცხუმის ერისთავის სხუა, ბედიისა სხუა, აფხაზთა სხუა, თამარ მეფემდე ესრეთ.

ბატონიშვილი ვახუშტი.

● ...და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა; ამ ანაკოფიის აღმოსავლით ზღვიდამ მთამდე შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გადმოუსვლელობისათვის, გარნა აწ უქმად არს.

ბატონიშვილი ვახუშტი.

● ხოლო ესე აფხაზეთი შემკული არს ყოველთა ნაყოფიერებითა და ჰავითა... ხოლო კაცნი მგვანენი მეგრელთა და უმეტეს ცქვიტნი და ტანოვანნი, წერწერტნი, მპარავნი, ავაზაკნი, ზღვათა შინა მავალნი ოლეჯკანდარებითა, რომელთა შინა შთასხდებიან... დაუხვდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზ-ჭანთა და და, უფროსად ოდიშ-გურიასა. არამედ არიან ბრძოლასა და შინა მღედრნი, მალ-მიმდრეკნი, ზღუასა შინა მაგარნი და ძლიერნი. სარწმუნოებით არიან ქრისტიანენი, არამედ არღარა რისა მეცნიერნი და ირიცხვიან, ვითარცა კერპნი, ვინაითგან არა დაჰფლვენ მკვდართა თვისთა, არამედ მისითავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსელითა შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგმენ ხეთა ზედა, და უკუეთუ შტვენს მკუდარი იგი ეშმაკისა მიერ, სწამთ განსვენებულად მერმესა მას.

ბატონიშვილი ვახუშტი.

● თავდაპირველად ჩვენ გვრცხვენოდა საკუთარი თავისათვის რესპუბლიკის „პრეზიდენტები", სახკომები და ა. შ. გვეწოდებინა, მაგრამ გადის ერთი, ორი სამი და ა. შ. დღე და ეს მორცხვობა ქრება.

ნესტორ ლაკობა.

პარტიის აფხაზეთის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პლენუმთა შემადგენლობის უმრავლესობა აფხაზია, ასეთივე მდგომარეობაა აფხაზეთის ასსრ-ის პარლამენტში.

განათლებისა და კულტურის მინისტრი ორივე აფხაზია, უკანასკნელი მათგანი კი პროფესიით ინჟინერია და 15-16 ივლისის სისხლიან აქციებში აქტიურ შეიარაღებულ მონაწილეობას იღებდა, რითაც, თავის ფიქრით, კიდევ 5 წლით გაინაღდა მინისტრობა.

● ჩვენ ერთ ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ცოტაა, ვთქვათ, რომ მოძმე ერები ვართ. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ხალხი ვართ. არა მგონია, ქართველებს ჰყავდეთ უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზებია, აფხაზებსაც ასე მიაჩნიათ ქართველები და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იგი თავისა მტერია".

დიმიტრი გულია.

● აფხაზეთი წარმოადგენს მრავალქსოვილიან რესპუბლიკას, ამასთან ცალკეული ნაწილები ამ რესპუბლიკისა ჭერ კიდევ არ არის ურთიერთშეზრდილ-შეხორცებული ისე, როგორც საჭიროა. საკითხის დასმა, რომ აფხაზეთი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი და უნდა გამოეყოს საქართველოს, მიგვიყვანდა იქამდე, რომ აფხაზეთი დაიშლებოდა, როგორც ქაღალდის ხუხულა, აგებული ცალქი ბათეულს წარმოადგენდა, თუმცა აფხაზები და მათი ჩრდილო-კავკასიელი მეზობლებიც მასში აქტიურ როლს ასრულებდნენ. ბერძნებთან ბრძოლაში განთავისუფლებული, ქვეყანა კულტურულადაც ქართული უნდა ყოფილიყო — სხვა ალტერნატივა არ არსებობდა. დასავლეთ საქართველოს ქრისტიანული ეკლესია გაქართულდა, სახელმწიფო დოკუმენტების, მწიგნობრობის ენაც ქართული იყო.

გიორგი მელიქიშვილი.

● ქართული ფეოდალური აზროვნება მუდამ ერთ სამყაროდ თვლიდა კავკასიას (ლეონტი), კიდევ უფრო „საქართველოს", რომლის სწორუფლებიანი წევრები იყვნენ ჰეროსის, ქართლოსის და ეგროსის ხვედრი ქვეყნები — მათ შორის სვანეთი, აფხაზეთი... ყველა ესენი „ქართველები" იყვნენ და ეს არა მარტო კონფესიური თვალსაზრისით, არამედ ფეოდალური კულტურის თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით, ამდენადვე, აქ არ შეიძლება სხვადასხვა ეროვნებაზე, როგორც ეთნოკულტურულ ცნებაზე, საუბარი. როგორც ფეოდალური ქვეყანა, აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი.

ნიკოლოზ ბერძენიშვილი.

● აფხაზები გაფანტულნი არიან ზღვის სანაპიროზე. მათი ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორც ჩერქეზების... აფხაზების ენა ძალიან განსხვავდება მათი მეზობელი ხალხების ენისაგან. მათ არ აქვთ არავითარი დაწერილი კანონები და დამწერლობის გამოყენებაც არ

● თუ ქართველი ერთი მთლად არ გადაშენდა, შთამომავალი და მომავალი ჩათვლის ჩვენს დროს გონების უმწიფარ ხანად.

გიორგი შერვაშიძე.

## ნომენკლატურა და სტატისტიკა აფხაზეთში

აფხაზეთის ასსრ-ში აფხაზები მოსახლეობის დაახლოებით 17%-ს შეადგენენ. აფხაზეთის ასსრ-ის მე-11 მოწვევის უმაღლესი საბჭოს 140 დეპუტატიდან 57 აფხაზია. აფხაზეთის 44% ქართველი მოსახლეობიდან მხოლოდ 53 დეპუტატია ქართველი.

აფხაზეთის ასსრ-ის 11 მინისტრთაგან: 8 აფხაზია, 3 — ქართველი.

სახელმწიფო კომიტეტის 8 თავმჯდომარიდან: 5 აფხაზია, 3 — ქართველი.

პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების 8 პირველი მდივნიდან: 4 — აფხაზია, 3 — ქართველი, 1 — რუსი.

პარტიის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგე, იუსტიციის მინისტრი, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი — ყველა აფხაზია. რაიონის და ქალაქის 8 პროკურორიდან: 5 აფხაზია, აფხაზეთის სატრანსპორტო პროკურორი — აფხაზი. ყველა შემოქმედებითი კავშირისა და საზოგადოების თავმჯდომარე და ხელმძღვანელი აფხაზია და ამას როდი ჯერდება პრივილიგირებული ერი: რვა თვეა ჭიდილი მიდის, რომ აფხაზეთის ასსრ-ის შს მინისტრადაც აფხაზი დანიშნონ.

# მწუხარე ნიღბით,

## ანუ პასუხი ჩემს მოგვარეს კ. ლომიას

როცა ისტორია შეისწავლის აფხაზეთში დატრიალებულ 1989 წლის ივლის-აგვისტოს სისხლიან ტრაგედიას და ძმათა კვლის წიაღსვლებს, ერთ-ერთ პირველ ადგილს წამქეზებელთა შორის, ალბათ, საოლქო გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას“ მიაკუთვნებს. სწორედ ამ გაზეთში დაიბეჭდა წლეულს, 8 ივლისს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური საარქივო სამმართველოს კოლექტივის რამდენიმე წევრის (სულ ხუთი!) ხელმოწერით, რუბრიკით, „თვალსაწიერი პრობლემაზე“, წერილი „მეგობრობას ერთი გზა აქვს“.

ამ წერილის რუბრიკასა და სათაურს თუ დავუჯერებთ, მის ავტორებს დიდად კეთილშობილური მისია უკისრიათ ავტონომიური რესპუბლიკის მთელი საარქივო კოლექტივის სახელითა და დავალებით. ისინი გულისტკივილსა და შეშფოთებას გამოთქვამენ აფხაზეთში შექმნილი ერთაშორისი მდგომარეობის გამო, მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით წერილის მთელ პათოსს, ეს წუხილი და შეშფოთება ნიღაბია, მწუხარე ნიღაბი.

ავტორები საკმაოდ გაცვეთილი ჭერჭებით ხაზს უსვამენ იმას, რომ ავტონომიური რესპუბლიკა ყოველთვის სამაგალითო იყო არა მარტო კეთილი, გამრჯე და სტუმართმოყვარე ადამიანებით, არამედ ეროვნებათა მრავალფეროვნებითაც და იქვე, თითქოსდა უწყინარი ექსკურსით, შეგვახსენებენ, რომ უხსოვარი დროიდან, თანამედროვე აფხაზების ძირძველი წინაპრები, აბაზგები და აფსილები, ამაყობდნენ ქალაქ დიოსკურიის მრავალფეროვნებით.

როგორც აღვნიშნეთ, ეს უწყინარი ექსკურსი აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, რომელიც, ერთი შეხედვით, ასე ყბადაღებული ინტერნაციონალიზმით არის შეფერადებული, კალმის ერთი მოსმით, შესაშური გამჭრიახობითა და გამბედაობით წყვეტს აფხაზ მეცნიერთათვის დღემდე ასე ფრიად საკამათო და საჭოჭმანო საკითხს — შავიზღვისპირეთში, კერძოდ, აფხაზეთის რეგიონში ქართველთა და აფხაზთა აბორიგენობის საკითხს.

არ ვიცი, ამ საგაზეთო ინფორმაციული ხასიათის წერილის ხელმომწერთა უმეტესობას რა მეცნიერული ტიტული ამშვენებს, ასე, ერთი დაკვრით რომ გადაწყვიტა ეს ფრიად საკამათო საკითხი, მაგრამ არა მგონია, მათ შორის რომელიმე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ან აკადემიის წევრი იყოს. ორ მათგანს კი მშვენივრად ვიცნობ: ერთი ამ სამმართველოს მბეჭდავ-მემანქანე გახლავთ, მეორე კი ამავე სამმართველოს უფროსი კ. ლომიაა, რომლის განათლების ჰორიზონტიც ისტორიისა თუ ენათმეცნიერების სფეროში კარგად ვიცი და იგი საშუალო სკოლის დონეს ნამდვილად არ აღემატება.

თუ დავუმატებთ იმას, რომ კ. ლომია ამ საკმაოდ სოლიდური საარქივო დაწესებულების ბატონ-პატრონიც გახლავთ და, ამასთან ერთად, ე. წ. „აფხაზური წერილისა“ და ლიხნის 18 თებერვლის „მიმართვის“ თანაავტორი და ხელმომწერი, მაშინ ცხადი გახდება მისი დაინტერესება და „ობიექტურობა“ ზემოთ აღნიშნული უბადრუკი საგაზეთო სტატიით. გარდა ამისა, მას, როგორც ამ „ისტორიული დოკუმენტის“ თანაავტორს, რომელიც საკმაოზე მეტად არის გადატვირთული ისტორიული „წიაღსვლებითა“ და „წყაროებით“, ნამდვილად მოეთხოვებოდა ცალი თვალით მაინც ჩაეხედა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში. თუ ამასაც არ გააკეთებდა, მაშინ ის მაინც მოეთხოვება პატივცემულ პოეტს, როგორც თავისი ქალაქის — სოხუმის მკვიდრს, იცოდეს, თუ საიდან მომდინარეობს მისი მშობლიური ქალაქის სახელწოდება, სოხუმ — სუხუმ — ცხუმი.

სოხუმი, იგივე ცხუმი რომ წმინდა ქართული ქალაქი იყო, ხოლო მის შემოგარენში ქართველური ტომები ცხოვრობდნენ და ქალაქის სახელწოდებაც აქედან არის წარმოშობილი, ამაზე მიგვანიშნებენ არა მხოლოდ ქართველი მემატიანენი (რომელთაც უნდობლად ეკიდებიან აფხაზი მეცნიერნი), არამედ უცხოელი მოგზაურები, გეოგრაფები, თუ ისტორიკოსები.

აი, ერთი მათგანიც: „ტრაპიზონიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით სამი დღის სავალზე, მდებარეობს ქალაქი სუხუმი... ამბობენ. ის გურჯთა (ქართველთა) ქვეყნის ნაწილიაო. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ქალაქი აბხასი“... (ალ-კალკაშანდი, არაბი მოგზაური, 1353-1418).

დავიწყოთ გაცილებით უკან: „პონტოს გასწვრივ მობინადრე ტომთა შორის „სუანნო-კოლხოის“ ტომებიც გვხვდებიან...“ (კლავდიოს პტოლემაიოსი, II ს.).

მოგეხსენებათ, ბერძენმა მეცნიერმა მსოფლიოს 8.000 პუნქტის კოორდინაცია და დედამიწის ზედაპირის 27 რუკა შეადგინა, რაღა „სუანნო-კოლხოის“ მდებარეობა შეეშლებოდა!

განა ამის შემდეგ კიდევ საკამათოა, თუ ვის განეკუთვნება აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმოფანტული ქართული ტაძრები და ხუროთმოძღვრების ძეგლები, ვინ იყო დიოსკურიის მკვიდრი მოსახლეობა, ან რა ენაზე გაისმოდა ამ უძველეს ქალაქში ლაპარაკი?!

ყოველივე ამის შემდეგ, მე მგონია, სადავო არ უნდა იყოს, თუ რატომ ჰქვია დღევანდელ ქალაქ სოხუმს, იგივე ცხუმს თავისი სახელწოდება და რა ენაზე საუბრობდნენ აქ უხსოვარი დროიდან.

დიახ, ბატონო კუმფ, როგორც თქვენი კოლექტიური წერილის სათაური ღაღადებს, „მეგობრობას ერთი გზა აქვს“, მაგრამ არა სიცრუისა და გაყალბების, არამედ სიმართლისა და სინათლისა.

იმ მომცრო წერილში კი, რომელსაც თქვენი ხელმოწერაც ამშვენებს და, რომელიც, ეჭვი არ მეპარება, თქვენივე ორგანიზებული და, შემდეგ, თქვენივე დაწერილიც არის, იმდენი შეფარული სიცრუეა მიმოფრქვეული, რომ არც ერთი ეროვნების არც ერთი პატიოსანი კაცი მას ხელს არ მოაწერდა, მით უფრო პოეტი, ხალხის სახელით მოლაპარაკე.

მაგრამ, როგორც ჩანს, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელს, იმდენი ძალა და გავლენა გქონიათ, რომ თქვენდამი რწმუნებული მრავალრიცხოვანი ინტერნაციონალური კოლექტივიდან ოთხი კაცი მაინც გამონახეთ, რომ ხელი მოაწერინეთ დიდი სიცრუით აღსავსე პაწია წერილზე.

კარგად ჩაუფიქრდით და ჩაუკვირდით, ასეთი პროვოკაციისა და გადაგვარების ნიშნები ხომ არ იგრძნობა, ბატონო კუმფ, თქვენს მოქმედებაში, თქვენს პიროვნებასა და თქვენს გვარში?!...

ამას თუ დავუმატებთ იმას, რომ თქვენი მეუღლე გახლავთ ნელი თარბა, პოეტესა, რომელიც აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის არცთუ დიდი ხნის წინანდელ სხდომაზე ისტერიკული შეკივლებებით მოუწოდებდა ქართველ მწერლებს დაეტოვებინათ აფხაზეთი და გასულიყვნენ ენგურგაღმა, რათა ქართული მოწამლული გენის ზეგავლენისაგან გადაერჩინა თავისი შთამომავლობა, მაშინ გასაგები გახდება წერილის მთელი ჩანაფიქრი და პათოსი, — გაუქმდეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი და იგი ისევ შეუერთდეს აფხაზეთის უნივერსიტეტს.

აქ მერამდენედ უნდა შევახსენოთ, რომ არავითარი აფხაზური უნივერსიტეტი და აფხაზური ფაკულტეტებიც ამ უნივერსიტეტში არ არსებობს, აფხაზური ფაკულტეტებიც ამ უნივერსიტეტში ფიქციაა, რადგან არ არის აფხაზური სკოლები.

საინტერესოა, ამის შემდეგ კიდევ თუ აიღებს კალამს ხელში და კიდევ თუ დაწერს მსგავს ლამაზ სტრიქონებს თქვენი მეუღლე — ნელი საქართველოზე:

**„შენ ხარ კეთილი, შენ ხარ მაღალი,**
**მტევნებდასხმული ვაზი ბრიალა,**
**ნაზიც, ლომგულიც, შენ ხარ ჩონგური,**
**ხალხმა სიმღერად რომ გაწკრიალა...**
**ვარ სიყვარულის კეთილი ტალღა,**
**სხვა ჩემზე ლაღი არ მეგულება,—**
**მე აფხაზეთმა მასწავლა ახლა**
**შენდამი ტრფობაც და ერთგულებაც“...**

ტყუილი, სულ მტკნარი ტყუილი და სიცრუეა. აფხაზეთს არ შეეძლო თქვენისთანა ადამიანებისათვის ან სიყვარული, ან სიძულვილი ესწავლებინა. ეს დღემეხვალიე ადამიანები თავად სწავლობენ, დღეს რა წერონ და რა ილაპარაკონ, ხვალ კი — რა!..

თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ქალბატონი ნელი თარბა საქართველოს ბავშვთა დაცვის აფხაზეთის განყოფილებას ხელმძღვანელობს, გასაგებია, ასეთი დედა და ქალი როგორ დაიცავს ქართველ ბავშვთა და, საერთოდ, ბავშვთა ჯანმრთელობას, სიცოცხლესა და უსაფრთხოებას აფხაზეთში. ნელი ქალბატონის ამ თანამდებობაზე დატოვება განა ცინიზმი არ არის არა მარტო ქართველი, არამედ ნებისმიერი ეროვნების ბავშვისადმი?!

...და ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია ამ წერილის დაწერის მიზანი!

...და, ვაი, რომ ვინ იცის, კიდევ რამდენ ასეთ წერილს თუ ლექსს შეთხზავთ თქვენ და თქვენი მეუღლე სიყვარულისა და მწუხარების ნიღბით, მაგრამ ისიც გახსოვდეთ, რომ ბოლოს და ბოლოს ნიღბებიც ცვდება...

და ერთიც, ბატონო კუმფ, ლომიავ, როცა წერილს წერდით თუ ხელს აწერდით და აბაზგური და აფსუური ხალხის წარმომადგენლად შერაცხდით თავს, არ ჩაფიქრებულხართ თქვენს გვარსა და თქვენს გენეალოგიაზე?!..

**მურმან ლომია,**
თბილისი

# საქართველო იბრძვის

(დასასრული)

**ძლიერების სათავე მუდამ იწყებოდა იქ, სადაც ერთად ვუპირისპირდებოდით სხვას, ხოლო უძლურებისა, სადაც მტერი ახერხებდა ჩვენს დაქუცმაცებას. ვინც უქართველო აფხაზეთზე ოცნებობს, მას აფხაზეთის სულის ამოხდომის დღეც დათვლილი აქვს.**

**ჩვენი ღრმა რწმენით, დადგა დრო, ერთხელ და სამუდამოდ თავისი სახელი დაერქვას ყველაფერს, რასაც ყალბად გაგებული დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში ტენდენციურად გვახვევენ თავს ყოველი მხრიდან. აფხაზეთის „კოზირი“ ერთ-ერთი რგოლია ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული, კარგად მოფიქრებული, დაგეგმილი და ორგანიზებული აქციების მთლიანი ჯაჭვისა.**

**ეჭვს არ იწვევს, რომ რესპუბლიკის არაქართველი მოსახლეობიდან ბევრია ისეთი, ვინც ჭეშმარიტად ძმურად, უანგაროდ შეერწყა ქართულ კულტურასა და ყოფას, მის ამაღლებულ სულს. დღეს, როგორც არასოდეს, ისინი თავიანთ მოვალეობად თვლიან დადგნენ ქართველ ძმათა გვერდით.**

**საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა ვალდებულია გააკეთოს თავისი დასკვნები უკანასკნელ თვეებში აფხაზეთში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების გამო. მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის სხვა ავტონომიურ ფორმირებებში, მათ შორის მილიონზე მეტი მცხოვრებითაც კი, ადგილობრივ მოსახლეობას არ გააჩნია იმ პრივილეგიებისა და შეღავათების მესამედიც, რაც აქვს 80-90 ათასიან აფხაზურ მოსახლეობას (საკუთარი უნივერსიტეტი, ეროვნული თეატრი, საგუნდო კაპელა, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, საკუთარი გამომცემლობა, ჟურნალ-გაზეთები მშობლიურ ენაზე, ეროვნული სკოლა, ხელმძღვანელი თანამდებობები, ტელევიზია და სხვ.), აფხაზი ექსტრემისტები ჯიუტად განაგრძობენ აფხაზეთის ასსრ-ს საქართველოდან გასვლისა და ცალკე მოკავშირე რესპუბლიკად მისი გამოცხადების შესახებ საკითხის დაყენებას ქვეყნის უმაღლეს სამთავრობო და სახელმწიფოებრივ ინსტანციებში. ამის შესახებ პირდაპირ იყო ნათქვამი ე. წ. „აფხაზურ წერილსა“ და ლიხნის „მიმართვაში“. იგივე მოახსენა მთელი მსოფლიოს გასაგონად სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების I ყრილობას აფხაზმა დეპუტატმა ვ. არძინბამ.**

**საუკუნეების მანძილზე გვიცხოვრია აფხაზების გვერდი-გვერდ და მუდამ სიკეთე გვითესია. მათი ჭირი თუ ლხინი გაგვითავისებია, ახლა კი სიკეთის წილ ბოროტებას ვიმკით. თუმცა ეს ნაწილობრივ ჩვენი ბრალიც არის. ათეული წლების მანძილზე აუხსნელი დათმობების პოლიტიკამ წააქეზა და წინაპირობა შეუქმნა აფხაზ ექსტრემისტებს, დაევიწყებინათ საუკუნეების მანძილზე შედუღაბებული ჩვენი მეგობრობა და ქართველთა სისხლში განებანათ თავიანთი ჭუჭყიანი ხელები.**

**ვფიქრობდით, პატიოსნად შეიგნებდნენ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ ამაოდ. პირიქით, აფხაზი ემისრები დაძრწიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, რათა ქართველი ხალხი დაადანაშაულონ მათ მიერ წინასწარ მომზადებულ და განხორციელებულ ტერორისტულ აქციაში. მოსახლეობას არწმუნებენ, თუ როგორ „ჩაგრავენ“ ქართველები აფხაზებს, როგორ „ართმევენ“ მშობლიურ მიწა-წყალს, როგორ „დევნიან“ და ა. შ., აშკარად ცდილობენ დაგვაპირისპირონ რუსი და სხვა ეროვნების ხალხი. უნდა ითქვას, ნაწილობრივ მიზანსაც აღწევენ. დღეს ყოველი მხრიდან გაისმის მუქარა, რომ 15-16 ივლისს ჩადენილი მკვლელობები რეპეტიცია იყო მომავლისა, რომ სანამ ერთი აფხაზი იცხოვრებს „აფხაზთა“ მიწა-წყალზე, ის ყოველთვის იბრძოლებს საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფისათვის.**

**გავიხსენოთ 1957, 1967 და 1978 წლები. 1988-1989 წლები მოვლენების ახალი მონაკვეთია, მაგრამ იგი ადრინდელისაგან განსხვავებით სისხლიანია, სისხლი კი უხვად დაიღვარა.**

**ბოროტების სათავედ ბევრს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ქართული სექტორის გამოყოფა ჰგონია. თავს ნურავინ მოიტყუებს, ეს სისხლის ღვრის მხოლოდ საბაბი იყო. არ იქნებოდა ფილიალი, გამოიძებნებოდა სხვა რამ, შედეგი კი იგივე დარჩებოდა. არ იყო ფილიალის პრობლემა, იყო აპრილის პროვოკაციები.**

**იმ საბედისწერო დღეებში ქართველი ხალხის დაღვრილი სისხლი მოსვენებას არ გვაძლევს დღეს, არ მოგვცემს ხვალ და არც მომავალში.**

**საგანგაშოა სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე აფხაზი ეროვნების დეპუტატების ქმედება. უმაღლესი საბჭოს წევრთა შორის აღმოჩნდა არძინბა, რომელიც ქართველი ერის აშკარა დისკრიმინაციას ეწევა და რომელსაც ტვინგაყინულ დეპუტატთა ნაწილი ტაშს უკრავს. არძინბას გამოსვლებიდან ისე გამოდის, რომ ყველა ის მახინჯი, ყოვლად გაუმართლებელი მოვლენა, აფხაზეთში რომ ტარდებოდა, თითქოს ქართველი ხალხის მოღვაწეობის შედეგი ყოფილიყოს. თითქოს სტალინიზმი ქართველი ხალხის შექმნილი იყოს, თითქოს ყველა ის საშინელებანი მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ აფხაზებს განეცადოთ ქართველთაგან. აფხაზების ლიდერებს ისიც კი არ მოსწონთ თურმე, როდესაც მათივე საკუთარი სახელწოდებით („აფსუა“) მიმართავენ.**

**როგორ ეგონათ არძინბას და მის მომხრეებს — ათასწლეულებში შრომისა და ბრძოლის ჭეშმარიტად გმირული ძალისხმევით შექმნილ და დაცულ საქართველოს ერთიანობის დარღვევას დაანებებდა ქართველი ხალხი?**

**აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიქმნა ნამდვილად არანორმალური სიტუაცია, მაგრამ მისი არსი სხვაგვარია, ვინემ ზოგიერთს წარმოუდგენია, სხვაგან არის საძებნელი მისი წარმომშობი მიზეზები. თანამედროვე აფხაზეთში შეიქმნა ძველი სპარტის საზოგადოების ანალოგიური სოციალური სტრუქტურა. „სპარტიატები“ არიან აფხაზთა ერთი ნაწილი, რომელიც ჩაგრავს დანარჩენ აფხაზობასა და ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნულ ჯგუფებს, პირველ რიგში ქართველობას. ამის თაობაზე ჩვენ დიდი ხანია ვიცით, მაგრამ ვერ ვწერდით, ხმამაღლა ვერ ვამბობდით და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ამ შემთხვევაშიც ხალხთა მეგობრობას იმიზეზებდა.**

**აფხაზთა „იდეოლოგიური“ ჯგუფი მუდმივ შანტაჟს ეწევა საქართველოს ხელმძღვანელობის მიმართ, აგრეთვე ცდილობს დასაყრდენი გაიჩინოს ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. მისი ეს მცდელობა დღემდე წარმატებული იყო. საქართველოს ხელმძღვანელობა მუდამ დათმობაზე მიდიოდა: ხალხთა მეგობრობის ვითომდა ხელყოფის შიშით, იმის შიშით, თუ როგორი რეაქცია მოჰყვებოდა ამას რუსეთში. საქართველოს ხელმძღვანელობას ისიც აფიქრებდა, რომ დასჯის შემთხვევაში კორუმპირებული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები აფხაზი ხალხის თვალში ეროვნულ გმირებად იქცეოდნენ. ასე გრძელდება ეს ათწლეულების მანძილზე, არ დადგა დრო, სამართლიანობამ გაიმარჯვოს?**

**თბილისში, უკანასკნელ პერიოდში (ნოემბრის დასაწყისიდან), მიმდინარე აქციას სსფ აფხაზეთის რეგიონალურმა ორგანიზაციამ სოლიდარობა გამოუცხადა. გამგეობის წევრები, ქალაქ სოხუმის და რაიონების ქართველი საზოგადოება პირადად ღებულობენ მონაწილეობას აქციაში, გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას საბჭოთა არმიაში სავალდებულო-სამხედრო სამსახურისა და აფხაზეთში მიმდინარე პროცესების მიმართ.**

**უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ თბილისში არავითარი ანტიაფხაზური აქცია არ ხორციელდება. აფხაზეთის მოსახლეობის წარმომადგენლებს შორის, რომლებიც აქციის უშუალო მონაწილენიც იყვნენ, იყო აფხაზი ხალხის წარმომადგენელიც.**

**დღეს ქართველი კაცი მშვიდობიან დემონსტრაციას მიმართავს და მთავრობას მოუწოდებს დროულად დასაჯოს მკვლელები, მას კიდევ აქვს მთავრობისა და კანონის იმედი. ქართველი კაცი ბუნებით მშვიდობიანია და არ სურს იარაღს მოჰკიდოს ხელი. ნუთუ ივლისის ტრაგიკული დღეები არაფერს გვეუბნება ქართველი კაცის სულგრძელობაზე?**

**სწორედ ამიტომაც, საჭიროდ ვთვლით, პასუხი გაეცეს კითხვებს, რომლებიც აღელვებს ჩვენს საზოგადოებას: 1. რატომ არ ჩანს დღემდე პარტიისა და მთავრობის პოზიცია საკავშირო პრესის მიერ აფხაზეთის ამბების ტენდენციური გაშუქების მიმართ, რომელიც გადაიცემოდა საკავშირო ტელევიზიით და ქვეყნდებოდა საკავშირო პრესის ფურცლებზე შელამაზებით? 2. საჭიროა ოფიციალურად დადასტურდეს და ვამცნოთ ქვეყანას, ვინ დაიწყო 15 ივლისს სოხუმში ბარბაროსული სისხლიანი აქცია და ვის რა დონეზე ეკისრება პასუხისმგებლობა? 3. რატომ არ იცის რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ კონკრეტული ვინაობა ექსტრემისტებისა, მათი ყოვლისშემძლე მფარველებისა და ხელშეუხებელი ორგანიზატორებისა? როდემდე შეიძლება დავეყრდნოთ დუმილისა და ლოდინის ყავლგასულ და დამღუპველ იმედს? 4. როგორ მოხდა, რომ მოსახლეობის აფხაზური ნაწილი კბილებამდე შეიარაღებული აღმოჩნდა და ეს არ იცოდნენ სამართალდამცველმა ორგანოებმა?**

**საქართველო ეძებს ხსნას, იმედია, ოპტიმალური გზაც გამოინახება. საქართველო მხოლოდ თავის გადარჩენისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვის.**

**შოთა ჯღამაძე,**
სსფ აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე.

# როგორც გამოცანა

როცა ლესელიძეში მიტინგზე ნასვლა გადავწყვიტეთ, მაშინვე გვითხრეს, ცოტა ფრთხილად, თორემ ბზიფში ხელ-ფეხს დაგამტვრევენო. გავიოცეთ, სად ლესელიძე და სად ბზიფი? გარდა ამისა, ჩვენი მომავალი მიტინგი ხომ აფხაზ ხალხთან ძმობასა და მეგობრობას ეძღვნებოდა და ვინ რას გვერჩოდა?!.. ჩვენ ხომ ადრე ერთად ვილხენდით და ერთად ვტიროდით, ახლა რა მოხდა ისეთი, ხმის ამოღებასაც რომ გვიკრძალავენო? — ვთქვით და ქალაქ სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმიდან რამდენიმე პედაგოგი ერთად გავემგზავრეთ.

ლესელიძემდე, გზაზე, ბზიფთან, მოძრაობის ხელმარცხნივ ხალხმრავლობა შევნიშნე, ამისათვის მაშინ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. მაგრამ, გვიან, როცა საავადმყოფოში მოვხვდი ჩემსავით დაზარალებულ ბესიკ ჯოლოხავასთან ერთად, მან მიამბო: „გუდაუთიდან ლესელიძისკენ ტაქსით გამოვემგზავრე. მძღოლი აფხაზი იყო და მითხრა, ბიჭებო, თავს გაუფრთხილდით, ხომ ხედავთ ამ თავყრილობას, ესენი თქვენს მოსაფერებლად როდი არიან აქ შეკრებილნიო. თან დასძინა, ამას იმიტომ გეუბნებით, დედა ქართველი მყავს და გული მტკივა, ქართველთა და აფხაზთა შორის რომ ასე გამწვავდა მდგომარეობა და ამით ზოგიერთი ხელებს ითბობსო...“

მალე მშვიდობიან მომიტინგეებს ფარიანი და ხელჯოხიანი ჯარი შემოერტყა. ჯარს მოჰყვა საქართველოს სსრ შს მინისტრის მოადგილე შადური, აფხაზეთის ასსრ შს მაშინდელი მინისტრი ჩულკოვი, მისი მოადგილე ნარმანია და ყველასათვის უკვე კარგად ცნობილი ოზგანი... ისინი, ამალასთან ერ-[illegible]

[illegible] ღვთოდ არის არეული დამ-[illegible] ლი და ამას დიდი მნიშვნე-[illegible] ა?!.

[illegible] ს სამახსოვროდ შემომრჩა [illegible] ვმა ტვინის შერყევით“.

[illegible] ულ ზღაპარშია, ტრავმას და [illegible] ს შეიძლება ეშველოს, მაგ-[illegible] და 15-16 ივლისის სისხლიან [illegible] გაეცემა სამართლებრივი და [illegible] ბი?!.

**ლილი თურქია,**
პედაგოგი

# კაკალი ჭიის საგუდარით

მოგეხსენებათ, რომ მიმდინარე წლის 18 მარტს სოფელ ლიხნში ჩატარდა აფხაზთა მიტინგი, რომლის უპირველესი მოთხოვნა იყო აფხაზეთის ასსრ-ს გამოყოფა საქართველოს შემადგენლობიდან და რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება.

ცხადია, ქართველები გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ ამ ფაქტს, ვინაიდან ისედაც იმდენი მიწა გვაქვს დაკარგული, რომ გავაერთიანოთ, მეორე საქართველოს მივიღებთ. ამდენად, 25 მარტს სოხუმში შედგა საპასუხო მიტინგი. აქვე გადაწყდა ამგვარივე აქცია ჩატარებულიყო ლესელიძეში.

მიტინგზე სამფეროვანი დროშით შემობრძანდა ბატონი მერაბ კოსტავა, თამარ ჩხეიძის და ზურაბ ჭავჭავაძის თანხლებით. ტრიბუნაზე მათთან ერთად იყვნენ და სიტყვებით გამოვიდნენ: ნუგზარ მგალობლიშვილი, დიმა ჯაიანი, ბორის კაკუბავა, ჯონი ლატარია, ჯუმბერ კოპალიანი და სხვები.

ჩვენი აქცია დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ტრიბუნაზე ამოცვივდნენ დაუპატიჟებელი სტუმრები: კ. ოზგანი, ი. პაპბა, ვ. კობახია, ი. კვიწინია, ვ. შადური და მოითხოვეს მიტინგის შეწყვეტა. მასპინძლებმა მოახსენეს, რომ გამოდიოდა ბოლო მომხსენებელი (ჯ. კოპალიანი) და მიტინგი ისედაც მთავრდებოდა რამდენიმე წუთში. ოზგანს არც კი მოუსმენია მათთვის, მივიდა და უხეშად წაეპოტინა მიკროფონს. ბატონმა მ. კოსტავამ სცადა შეეჩერებინა იგი და კვლავ აეხსნა, რომ მიტინგი დასასრულს უახლოვდებოდა. ამ დროს ოზგანი საყელოში სწვდა ბატონ მერაბს, მეორე ხელით კი მიკროფონი მოგლიჯა. ყოველივე ამის შემდეგ ტრიბუნაზე მყოფთ უხეში ტონით უთხრა: „ჩქარა, ჩქარა, მიბრძანდით ჩვენი მიწიდან, გეყოფათ თქვენს ენაზე ლაყბობა“. ბატონი მერაბი ის კაცი არ იყო, ოზგანზე გაესვარა ხელი. აჩოჩქოლებულ ხალხს სიმშვიდისკენ მოუწოდა და ყველა ჩუმად, ყოველგვარი ინციდენტის გარეშე დაიშალა. ისე, ჩვენში დარჩეს და ვინ კითხავდა პარტიის გუდაუთის რაიკომის მდივანს, ეროვნებით თურქს, ლესელიძეში წესრიგის დამყარებას? წესრიგი სწორედ გუდაუთაშია დასამყარებელი, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო. თუმცა ასეთმა „ნადირობამ“ ოზგანი ალმასკომის თავმჯდომარედ დასვა.

ლესელიძიდან სოხუმისაკენ გზას დავადექით. ბზიფში, სკოლის წინ, უამრავი ხალხი ირეოდა. გზა ჩახერგილი აღმოჩნდა და ჩვენც შევჩერდით. ავტობუსში ამოვარდა სამი სახეშეშლილი აფხაზი ახალგაზრდა და ისტერიული ტონით თეთრი დროშები მოგვთხოვა. რატომ მაინცა და მაინც თეთრი, ვერ გეტყვით. იქნებ ლოზუნგებს ეძებდნენ, ან ჩალისფერ, ვაზისჯვრიან დროშას? ბოლოს, როცა დარწმუნდნენ, რომ არავითარი დროშა არ გვქონდა, ჩავიდნენ ავტობუსიდან.

ახალ ათონში მეორე და უფრო სერიოზული ჩხრეკა გავიარეთ. აქ უკვე ჩვენი კოლეგები იყვნენ მთავარი მოქმედი გმირები. კერძოდ, ა. დაუთია და ს. არძიმბა. ა. დაუთია ავტობუსის კარებთან იდგა. ს. არძიმბამ კი მილიციის მაიორი ამოიყვანა და გააჩხრეკინა ავტობუსის სალონი. დიახ, პლაკატები მე მქონდა, მაგრამ არა იმისთვის, რომ არძიმბასთვის გადამეცა. როდესაც ხელმოცარული ავტობუსიდან ჩადიოდა, მუქარით გვითხრა, დღეს ჩვენ დაგიფარეთ, მაგრამ შემდეგში ჩვენი იმედი ნუ გექნებათ. თუ კიდევ გამოივლით ამ გზაზე, რაც მოგივათ, საკუთარ თავს დააბრალეთო, არ გრცხვენიათ, აყოლიხართ ვიღაც პროვოკატორებს. ჩვენ ვიცით, თქვენ საიდან მოდიხართო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ჩვენც ვიცით, რატომ არიან ბზიფში შეკრებილნი და რა ხასიათს ატარებს მათი გამოსვლები და რომ ყოველივე ეს არ იყო ავტობუსში გასარჩევი.

ისინი ჩავიდნენ, მე კი საშინელი გრძნობა დამეუფლა. ნუთუ ეს ბიჭი იყო, ჩემთან ერთად თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში რომ სწავლობდა და, სტუდენტობიდან მოყოლებული, ყოველთვის „გულთბილად“ მხვდებოდა?

არც ამით დამთავრებულა პირველი აპრილი. ბარათაშვილის ხიდთან შევიტყვეთ, რომ ბზიფში სტუდენტების ავტობუსი დაულეწიათ (ისინი ჩვენს წინ მოდიოდნენ) და რომ ეს ავტობუსი პარტიის საოლქო კომიტეტის წინ იდგა. საშინელი სურათი ვნახეთ: იდგა დამსხვრეული ავტობუსი, უფანჯრო ჩარჩოებიდან ხელებ და თავებშებანდული სტუდენტები იცქირებოდნენ. იცქირებოდნენ მაღლა, საოლქო კომიტეტის ფანჯრებისკენ, მაგრამ იქ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ ზოგჯერ ნელა შეირხეოდა თეთრი ფარდა და ისევ დაეშვებოდა. ასე ქურდულად უმზერდა სეირის მოყვარე პარტიის ხელმძღვანელობა დაჭრილ ახალგაზრდობას. ავტობუსი კი ფარებით და ხელკეტებით შეიარაღებული ჯარისკაცებით იყო გარშემორტყმული. ასეთივე ჯარით ვიყავით გარშემორტყმული ლესელიძეში. რამდენიმე წუთის შემდეგ მილიციაში წაგვიყვანეს დასაკითხად. აქ ისევ დატრიალდა ახალი უბედურება. მილიციის ეზოში შემოვარდა სტუდენტებით სავსე ავტობუსი (თანაკურსელის დასაფლავებიდან მომავალი). ეს ავტობუსიც ისევე იყო დალეწილი, როგორც პირველი. სტუდენტები კი — ზოგი დაჭრილი, ზოგი ნაცემი. სასწრაფოს სასწრაფოზე ვიძახებდით. იქვე ნაჯახით დაქროდა ვიღაც აფხაზი, დარჩენილ ფანჯრებს ლეწავდა და უშვერი სიტყვებით უგინებდა ქართველებს ჯიშსა და ჯილაგს. გაოგნებული მილიციელები იქვე იდგნენ, ერთმა ჩაილუღლუღა: „იქ თურმე ჩვენებს ხოცავდნენ, ჩვენ კი აქ ჩაგვკეტეს, ფეხი არ მოიცვალოთო“. ბოლოს ის ნაჯახიანი ისევ სტუდენტებმა დაიჭირეს.

ჯოჯოხეთს ჰგავდა მილიციის ეზო. არასოდეს დამავიწყდება აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის — ოთარ ზუხბაიას სახე, როდესაც ავტობუსიდან ამოღებული ტყვია დაუდეს ხელისგულზე. ამ ხნის კაცი პატარა ბავშვივით კითხულობდა: „რა არის, კაცო, ეს? ტყვია?... არა, ეს უკვე ნამეტანია“.

პირველ აპრილს ქართველი მილიციელები არ გაუშვიათ მილიციის ეზოდან (როგორც იქ გავიგე). 15 ივლისს კი ჩვენი უიარაღო მილიცია ცისფერი პერანგებით შეუმოსავთ, ხოლო აფხაზები — თეთრით... როგორ მოგწონთ ეს ერთნაირი ხელწერა?!..

რატომ ვიყავით ყოველივე ამის ღირსი? იქნებ იმიტომ, რომ ნამეტანი ვეფიცეთ ძმობა, ნამეტანი დავიყრუეთ ყურები ჩვენც და ჩვენმა ეგრეთწოდებულმა მთავრობამ წლების მანძილზე, ამასობაში კი ჩვენმა საერთო მტერმა ისე გამოაჩლუნგა აფხაზებზე ზეგავლენის მქონე ზოგიერთი ლიდერი, რომ სულ ლენინი აფიცებინა მამა-პაპის მაგიერ და, თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარი ენისთვისაც ზურგი შეაქცევინა.

ისევ სულმნათი ილია გამახსენდა: „ყველას ემწვავება ხოლმე, როცა ვარაყით მოოქროვებულს კაკალს დაჰხარის, შიგ კაი გული დევსო, თქვენ კი გაუტეხთ და შიგ გულის მაგიერ ჭიის საგუდარს დაანახვებთ“. ასეთ კაკალს ჰგავს დღეს აფხაზეთი. სანამ ჭიებისგან არ გაიწმინდება, მშვიდობა არ დამყარდება.

**ლეილა კალანდია,**
1989 წ. 30. 10

## 1989 წლის 1 აპრილის ქრონიკები

# თავდასხმა

იმ დღეს, 1989 წლის 1 აპრილს ჩემთვის ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო. მე-13 მარშრუტზე ვმუშაობდი და გავემგზავრე კიდეც აეროპორტში. კარგა ხნის დგომის შემდეგ ცარიელს მომიწია დაძვრა ადგილიდან, რატომღაც იმ კვირა დილით მგზავრები არ ჩანდნენ. ის იყო, დავძარი ავტობუსი, რომ ხუთიოდე ახალგაზრდამ გამაჩერა და მთხოვა ლესელიძეში, მიტინგზე წაყვანა. მათ ამიხსნეს, აფხაზთა და ქართველთა ძმობის მიტინგი ტარდება, თუმცა უსანქციო და იქ მივეჩქარებაო. ჩემი თანხმობის შემდეგ ამოვიდნენ სალონში და გამოვემგზავრეთ სოხუმის მიმართულებით. გზადაგზა ახალგაზრდების რამდენიმე ჯგუფი შემოგვიერთდა და ასე, 40 კაცამდე შეკრებილნი, გავემართეთ ლესელიძისკენ. არც გზად და არც ლესელიძეში შესვლისას არავითარი დაბრკოლება არ შეგვხვედრია. კითხვა-კითხვით მივადექით ადგილს, სადაც მიტინგი ტარდებოდა და შევუერთდით იქ თავშეყრილ ხალხს. მიუხედავად რამდენამდე დაძაბული მდგომარეობისა, მიტინგის მსვლელობისას არაფერი ცუდი არ მომხდარა.

უკან წამოსვლის დროს ჩვენს ჯგუფს ხალხის მნიშვნელოვანი რაოდენობა დაემატა და 90-95 კაცამდე გაიზარდა ჩემი ავტობუსის მგზავრთა რიცხვი. ჩვენთან მოდიოდნენ მერაბ კოსტავა, თამარ ჩხეიძე, ზურაბ ჭავჭავაძე და კიდევ ორი თბილისელი ახალგაზრდა, რომელთა გვარები, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს. ეს ჯგუფი ქ. გაგრის სტადიონთან სხვა მანქანაში გადავიდა.

თითქოს არავითარი საშიშროება არ მოგველოდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ჩვენს გარშემო გახშირდა მანქანების მოძრაობა, მე ცოტა არ იყოს, კი მაეჭვებდა, რაც შემდეგ მოხდა, ამის წარმოდგენა როგორ შემეძლო. ის იყო, ბზიფის ახლოს მივედით, რომ დავინახე თავშეყრილი ბრბო, რომელსაც გზის სავალი ნაწილიც კი გადაეკეტა. დაახლოებით 20 ათასამდე იქნებოდნენ, შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ძალზე ხალხმრავალი თავშეყრა იყო. თავიდან ვიფიქრე, ავტობუსი თუ გადაბრუნდა და ამის გამო შეყრილან-მეთქი, მაგრამ ახლოს რომ მივედი, ბრბოს ყიჟინითა და აგზნებული სახეებით ცხადი გახდა, რომ კარგი დღე არ დაგვადგებოდა. რაღას ვიზამდი, უკვე ალყაშემორტყმულ ავტობუსში ვიყავით გამომწყვდეულნი. ჩემი მანქანის გაჩერება და თავდასხმა ერთი იყო. წამოვიდა ქვების საშინელი წვიმა, ჩაიმსხვრა მინები, გააფთრებულმა აფხაზმა მამაკაცებმა სალონშიც შემოაღწიეს. ერთად ყვიროდნენ: „ვოდიტელ, სდავაისა, მი ტებია ნე ტრონემ, ატო...“ და აქ წამოვიდა გინებისა და მუქარის კორიანტელი. შემოჭრილები ქალებს ეტაკნენ, თმებში ჩააფრინდნენ და გარეთ გათრევას ცდილობდნენ, რამდენიმე მათგანს თითქმის ყველაფერი შემოაძარცვეს ტანზე. იყო გულისგანმგმირავი კივილი, ყვირილი, გაწევ-გამოწევა, გარეთ უარესი ამბავი იყო. ცულებით, ცელებით, ჯოხებით შეიარაღებული ბრბო მთელი ძალით ურტყამდა ავტობუსის კორპუსს, იმსხვრეოდა ჯერ კიდევ ჩაუმსხვრეველი მინები, ქვები აზიანებდნენ ავტობუსში მსხდართ. გონს მოვეგე რამდენიმე წამში და გადავწყვიტე, რაც უნდა დამჯდომოდა, გამერიდებინა ამ გახელებული ბრბოსათვის უდანაშაულო ბავშვები, — „გავიქცევი და თუ გადავბრუნდებით, ამათ მაინც არ დავახოცინებ-მეთქი“, — გავიფიქრე. ამ დროს ავტობუსიდან ინდუსტრიული ტექნიკუმის თანამშრომლებმა დაინახეს ამავე სასწავლო დაწესებულების კომკავშირის კომიტეტის მდივანი ჭენია, იფიქრეს, შეიძლება დაგვეხმაროს, ამ გასაჭირიდან გვიხსნასო და დაენახვენ. ჭენიამ გინებით აგვიკლო და ქვები დაგვიშინა. დაახლოებით ორნახევარ საათს გაგრძელდა ეს არაადამიანური ანგარიშსწორება, მხოლოდ ამის შემდეგ შევძელი ავტობუსის დაძვრა ადგილიდან, მაგრამ სამშვიდობოს ვერა და ვერ გავედით. ყოველ 20-30 მეტრში ავტომანქანებით გვიდგებოდნენ წინ და ცდილობდნენ კვლავ გავეჩერებინეთ. მიუხედავად ამისა, გაჩერება არც მიფიქრია, ვუქცევდი გვერდს, ვეჯახებოდი მანქანებს, გამქონდა გვერდზე და ასე ვიკაფავდი გზას. ისეთი გააფთრებული ხალხი ჩემს დღეში არ მინახავს, ახალ მანქანებსაც კი არ ზოგავდნენ, გვაჯახებდნენ, წინ გვიყენებდნენ, რომ როგორმე კიდევ ერთხელ გავეჩერებინეთ და ბოლომდე მიეყვანათ თავიანთი სისხლიანი საქმე.

თავად მარჯვენა თვალი დამიზიანდა, ამავე დროს ხელში და მუცლის არეში მივიღე ჭრილობები, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მკლავი ცივი იარაღით მქონდა დაჭრილი, ისე ღრმად, რომ ვენაც კი გადაჭრილი მქონდა და ასე დასისხლიანებულს, სისხლის გუბეში მჯდარს, მაინც მიმყავდა მანქანა, რომ როგორმე გავრიდებოდი თავდამსხმელებს. აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოადგილის ი. ნარმანიას, აგრბას, ოზგანის სახეებმა რამდენჯერმე გაიელვეს ჩვენს ავტობუსთან, ჯერ კიდევ მაშინ, ბზიფთან რომ ვიდექით. დანამდვილებით ვერ გეტყვით, რას ამბობდნენ, აქეზებდნენ თუ არა ხალხს, მაგრამ ქვები ან სხვა იარაღი მე მათთვის არ შემიმჩნევია.

დევნა ამით არ დამთავრებულა. მოგვდევდნენ კამაზებით, მოტოციკლეტებით, მსუბუქი მანქანებით, ცდილობდნენ როგორმე გადაესწროთ ჩემი ავტობუსისათვის, რათა გზა ჩაეკეტათ, მე კი გზას ვულობავდი და წინ არ ვუშვებდი, ამ დროს კვლავ გრძელდებოდა ქვების წვიმა. ახლა ორივე მხრიდან გვიშენდნენ. უცებ აფეთქების ხმა გავიგონე, მეგონა „პადუშკა“ თუ გაუსკდა მანქანას-მეთქი, აღმოჩნდა კი, რომ აფხაზთა მხრიდან ვიღაცამ ასაფეთქებელი მოწყობილობა გვესროლა, საბედნიეროდ, იგი მანქანის კორპუსს მოხვდა და მხოლოდ უკუქცევის შემდეგ აფეთქდა. გაგრის სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოსთან, მიუსერასთან, ახალი ათონის საგუშაგოსთან, ვინ იცის, კიდევ სად და რამდენჯერ გვაიძულეს გაჩერება. აქ უკვე მილიციის თანამშრომლები, რომელთაგანაც დახმარებასა და დაცვას მოველოდით, დაგვესხნენ თავს, ერთმა მილიციის კაპიტანმა ქვაც კი მომარტყა ახალ ათონთან. აქ ხუთ წუთამდე შევყოვნდით, მაგრამ რაც გადავიტანეთ, ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. კვლავ გავიქეცით, როგორც იქნა; გამოგვეკიდნენ და აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტის შენობამდე მოგვდიეს.

დაშინებული, დაჭრილ-დასახიჩრებული, კოშმარგამოვლილი ხალხი ავტობუსიდან (უკვე ნაავტობუსარიდან, რომელიც მალე ჩამოწერეს კიდევაც, ისე იყო დანგრეული) აღარ ჩამოდიოდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც თბილისიდან სპეციალური რეისით ჩამოფრინდნენ მთავრობის წარმომადგენლები, ღამის 2 საათზე, დაიწყო მგზავრების ჩაყვანა. სწორედ მაშინ შემიხვიეს მეც სახელდახელოდ დაჭრილი მკლავი. საშინელი სანახავი იყო მანქანის სალონი. მინის ნამსხვრევები, ქვები, რანაირი სიდიდისაც გინდათ, დაფლეთილი ტანსაცმელი, სისხლის გუბეები, ყველაფერი ერთმანეთში არეული და აგლესილი. ბევრმა მგზავრმა მიიღო სხეულის დაზიანება, 45-მდე კაცმა — მსუბუქი, იყო უფრო სერიოზული დაზიანებებიც, რამდენიმე ადამიანი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მკურნალობდა სტაციონარებში.

რაც პირველ აპრილს მოხდა, მისი შეფასება რატომღაც ძლიერ გვიანდება... და აი შემდეგი — 15-16 ივლისის დღეები.

**იური გაგუა**
მძღოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სისხლის მინდორი

როცა იუდამ, რომელმაც გასცა იესო, დაინახა, რომ მას მსჯავრი დაადეს, ინანა და დაუბრუნა ოცდაათი ვერცხლი მღვდელმთავრებს და უხუცესებს.
და უთხრა: შევცოდე, რომ უდანაშაულო სისხლი გავეცი...
გადაყარა ვერცხლი ტაძარში, გამოვიდა, წავიდა და თავი ჩამოიხრჩო.
ხოლო მღვდელმთავრებმა აიღეს ის ვერცხლი და თქვეს: დაუშვებელია ამის დადება საგანძურში, ვინაიდან სისხლის საფასურია იგი.
მოითათბირეს და იმით იყიდეს მეჭურჭლის მინდორი უცხოელთა სასაფლაოდ.
ამის გამო იმ მინდორს დღემდე ეწოდება სისხლის მინდორი.

მათე 27. 3, 4, 5, 6, 7, 8.

# მათ სინდისზე იყოს...

აი, როგორ მზადდებოდა და განხორციელდა აფხაზი ექსტრემისტების ქართველებზე თავდასხმისა და მკვლელობების აქცია რუსთაველის პარკში, პირველ საშუალო სკოლაში და ბოლოს, ლენინისა და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე 1989 წლის 15 ივლისს;

ჩვენ, ამ წერილის ავტორები, ვცხოვრობთ ქ. სოხუმის კუიბიშევისა და ფრუნზეს ქუჩების გადაკვეთაზე, აქვე მდებარეობს აფხაზეთის მწერალთა კავშირი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს შემოქმედებითი სახლი სამართალდამრღვევებისა და განგსტერების ბუნაგია. ვის არ ნახავთ აქ, სახალხო ფორუმის სახელს ამოფარებულთ — მუშას, ვისაც წარმოდგენაც არ აქვს, თუ რისთვის მოდის აქ, გლეხს, რომელმაც არც კი იცის, რა ხდება აფხაზეთში, დაბალი და საშუალო რანგის მოსამსახურეებსა თუ მათ წამქეზებელ მაღალი რანგის თანამდებობის პირთ.

მწერალთა კავშირის აქ გადმოსვლის დღიდან მეზობლებს მოსვენება არ გვაქვს როგორც მანქანების, ასევე ხალხის ხმაურისაგან. ყოველდღე ასობით სახელმწიფო და კერძო მანქანით არის ჩახერგილი აქაურობა.

თავშეყრები განსაკუთრებით გახშირდა 7 ივლისიდან. მუშაობა ღამითაც არ წყდებოდა და ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 20. 07. 89 წლამდე. სწორედ აქ მოიყარა თავი იმ ბრბომ, რომელმაც დაარბია ქართული გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი", შეესია ფილარმონიის შენობას, ხოლო 15 და 16 ივლისს აფხაზ ექსტრემისტთა ისტერიამ აპოგეას მიაღწია.

15 ივლისს მწერალთა კავშირის წინ მდგარ ყველა მანქანაში იარაღი ეწყო. აფხაზი ეროვნების მილიციის თანამშრომლებს მოჰქონდათ ავტომატები და გაფთრებულ ახალგაზრდებს აძლევდნენ. ერთ-ერთი წითელი ფერის ავტომანქანიდან ტყვიამფრქვევიც კი გადმოიღეს და შეიტანეს მწერალთა სახლში. იქვე, შუა ქუჩაში სახალხოდ მზადდებოდა ბოთლებში ბენზინჩასხმული ცეცხლწამკიდი თუ ასაფეთქებელი ჭურვები და ბრბოს ურიგდებოდა სათანადო სიტყვიერი ინსტრუქციებით. ქუჩა სავსე იყო ხელკეტებით, ლურსმნიანი ფიცრებით, რკინის ნაჭრებით, თოფებით, ავტომატებით, ხელყუმბარებით, აქვე იდგა შეიარაღებული ბრბო. შემოქმედებითი სახლის აივანზე გადმომდგარი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ა. გოგუა ხმამაღლა იძახდა: „პუსტ კაჟდიჲ სტაიტ ნა სვაიომ მესტე!"..

15. 07. 89 წ. საღამოს დაახლოებით 22-23 საათზე მწერალთა კავშირის აივნიდან გაისმა ვიღაც უცნობის მიერ ყვირილით გაცემული ბრძანება: — „ორასი კაცი საავადმყოფოებისკენ წავიდეს, ორასი — სადგურისაკენ"... და დაიძრა ბრბო ბრძანების შესასრულებლად. ბარათაშვილის სახელობის რკინიგზის სადგურისკენ მიმავალ ორ განგსტერს ორმა აფხაზმა მილიციელმა ავტომატები მისცა და თავადაც თან გაჰყვნენ.

სულ მალე ქალაქის I საავადმყოფოსთან სროლა ატყდა, იმ საავადმყოფოში მოთავსებული იყო ჩვენს სახლში მცხოვრები პიროვნება, რომელიც დაჭრილი გახლდათ. მან დაგვირეკა და შეგვატყობინა: საავადმყოფოში მყოფ დაჭრილებს აფხაზები დაგვესხნენ თავს, სახლიდან ნუ გამოხვალთ, განურჩევლად ყველა ქართველს ხოცავენო.

სახლიდან გასვლა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, — ყოველ ქეორეს ცეცხლმსროლელი იარაღი ეჭირა ხელთ. ხელკეტებით შეიარაღებული ჩვენი მეზობლები — აფხაზეთის უნივერსიტეტის ლექტორები დამენია და ყურახჩუა მეუღლეებითურთ, ფ. აშხარუა და მისი ვაჟი, დ. ადლეიბა, ლაკვილავა, პედაგოგი მანანა ბუანიაგრბა, პენსიონერი პედაგოგი არგუნი ორი ქალიშვილითურთ, თეატრის ვაიმსახიობი ჯოპუა ერთმანეთს აქეზებდნენ ქართველების დახარბევად.

დაახლოებით ღამის სამ საათზე დამრბევთა ჯგუფი პირველ სადარბაზოში შემოგვივარდა. ძალაყინებით ურტყამდნენ რკინის კარებს, რომლის გავლით მათ სურდათ სახურავზე ასვლა. კარის შემტვრევა ვერ მოახერხეს. ქვევიდან შეძახილები გაისმა: „პაკა პო კვარტირამ ნე ნადო!". სხვა სადარბაზოდან ჩვენი სახლის სახურავზე ასული ყაჩაღები დარბოდნენ და ტყვიებს ჰაერში ისროდნენ. მათ მოპირდაპირე მხრიდან — აფხაზეთის მთავრობის სასახლიდან თოფის სროლით შეეხმიანენ.

გამთენიისას ოთხი კაცი, მათ შორის ა. გოგუაც, ჰაერში ისროდა თოფს და გამარჯვებას ზეიმობდა. ქუჩაში ყაჩაღები ერთმანეთს ეხვეოდნენ შეძახილებით: „მი სვოი პლან ვიპოლნიმ ნა სტო პროცენტოვ!". და გამარჯვებას ულოცავდნენ ერთმანეთს ღვინის ბოთლებით ხელში.

გათენდა. მინისტრთა საბჭოს თავზე სხვა დროშა ფრიალებდა — „CCPA". შეგინებული და შეურაცხყოფილი უიარაღო ქართველი მოსახლეობა დუმდა. სახლიდან გამოსვლას ვერავინ ბედავდა. ავტომატებით შეიარაღებული აფხაზი ექსტრემისტები უნომრო მანქანებით დათარეშობდნენ. მომხდარი ინციდენტების ამბავი მოჰქონდათ მწერალთა კავშირში და ეესტიკულაციებითა და ემოციებით ჰყვებოდნენ.

განსაცვიფრებელი ის იყო, რომ დაუსჯელობას შეჩვეული მილიციის თანამშრომლები ენიკი, შოუა და სხვები დღისით-მზისით მკვლელობათა აქციებში იღებდნენ მონაწილეობას.

ჯერ კიდევ ა. წ. 26 აპრილს „ჟიგულით", რომლის სახელმწიფო ნომერია: ია-51-80-გა და გაზ-50-ით (სახელმწიფო ნომერი 92-60 გნ) დიდძალი ფული შეიტანეს მწერალთა კავშირში...

15. 07. 89 წ. შუადღეს თეთრ ტაქსში, სახელმწიფო ნომრით 56-54 გახ, საბარგულში ეწყო ლურსმნიანი ხელკეტები.

საბარგო მანქანით (ნომერი 85-04-გრხ) შემოზიდეს და დაარიგეს მოკლედ დაჭრილი, მილები.

ყვითელი ფერის ჟიგულით (ნომერი ხ-90-17-გრ) მოვიდა ავტომატიანი ყაჩაღი. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

ლესელიძის მიტინგიდან 1 აპრილს მომავალი ქართველების ავტობუსების დარბევას რომ სათანადო შეფასება მიეღო ზემდგომი ორგანოებისაგან, 9 აპრილი არ იქნებოდა... 15 ივლისიც მათ სინდისზე იყოს!..

**ნ. პაპარაია, თ. დიდიძე, ც. შელია, ჯ. რუხაძე**
20-27. 07. 89 წ.

# „ქართველის ადგილი ამ ქალაქში არ არის..."



ეს მოხდა მიმდინარე წლის 15 ივლისს, დაახლოებით 18 საათზე, ქ. სოხუმის ბოტანიკურ ბაღთან, როცა იქვე მდებარე ატელიესაკენ, მკერავთან მივდიოდი, ვიღაც მამაკაცი გადამიდგა და ჯიქურ დამეკითხა: „შენ ბერძენი ხარ?".

— არა, მე ქართველი ვარ! — მივუგე.

— ქართველისათვის ამ ქალაქში ადგილი არ არის და არც შეიძლება იყოს, — მომიგო მან და თან უწმაწური სიტყვების კორიანტელიც ზედ მოაყოლა.

ამ დაუმსახურებელ გინებას, მართალი გითხრათ, მეც გინებითვე ვუპასუხე. მაშინ მოძალადე უცხომ (როგორც მისი აქცენტიდან ჩანდა, იგი აფხაზი იყო) სახეში მუჭი მთხლიშა, რასაც დარტყმითვე ვუპასუხე.

ამ დროს თავს დამესხა მთელი ბრბო. ერთმა რკინის ჯოხი ჩამარტყა თავში და იქვე დავეცი. სხვა არაფერი მახსოვს. როგორც შემდეგ გავიგე, აფხაზეთის რესპუბლიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიის განყოფილებაში ჩემს ძმას ენვერს მივუყვანივარ. როცა გონს მოვეგე, სისხლს ვაღებინებდი პირიდან, სისხლი მდიოდა ყურებიდან და ცხვირიდან. ყვირიმალის, თავის ქალის ძვლები სულ დამსხვრეული მქონდა, ჭამითაც ვერაფერს ვჭამდი. ერთი თვე ხელოვნური კვებით გამიტანეს მედიცინის მუშაკებმა. არა მხოლოდ თავის ქალისა და ყბა-ყურის ნაკვეთები, არამედ მთელი ტანი დაგლეჯილი და დასერილი მაქვს არმატურის ჯოხების ცემისაგან.

რა თავი მოგაწყინოთ, სრულიად ახალგაზრდა კაცი პირველი ჯგუფის ინვალიდი გავხდი და რომ არა ქალაქ სოხუმის მედიცინის მუშაკთა ასოციაციის აქტიური მხარდაჭერა, ალბათ სამართალსაც ვერ ვიპოვნიდი.

**მარლენ მოისწრაფიშვილი.**

## ენვერ მოისწრაფიშვილის ნაამბობიდან:

ძმა ჩემს მეზობელთან—ნუგზარ იზორიასთან ერთად ვიპოვე ცოცხალ-მკვდარი. ჭავჭავაძის ქუჩაზე, ბოტანიკურ ბაღთან, უგონოდ ეგდო და სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ ემჩნეოდა. ჯერ ჩემს მანქანაში მოვათავსე, შემდეგ „სასწრაფო დახმარების" მანქანა წამომეშველა და საავადმყოფოში მივიყვანეთ. როცა მედიკოსებმა დაჩეხილ და დასახიჩრებულ ნუგზარს დახედეს, გარდაცვლილად მიიჩნიეს, ზედ ზეწარი გადაფარეს და მორგში უნდოდათ განწესება, მაგრამ გულმა ვერ მოუთმინათ და რამდენიმე ნემსი მაინც გაუკეთეს. შემდეგ უგონო „ცხედარს" რაღაც სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეტყო, თითქოს საიქიოდან გამობრუნდა. ამ დროს რესპუბლიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიის განყოფილებაში სინათლე გამოირთო და ექიმები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამას ისიც დაემატა, რომ შეიარაღებული აფხაზი ექსტრემისტები განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს საავადმყოფოს. მთელი მედპერსონალი შველას ითხოვდა, მაგრამ არავინ ჩანდა ქომაგი. მე პირადად სამი ასეთი შეიარაღებული თავდასხმა დავითვალე განყოფილების კორპუსზე. იქვე დაჭრეს ვიღაც პაციენტის ჭირისუფალი და ისიც საავადმყოფოში მოათავსეს.

16 ივლისს დილის 5-6 საათზე ჩემს მანქანაში ჩავჯექი და სახლისაკენ გამოვწიე. ჰოჭუას ქუჩაზე, კურჩენკოს ბაღთან წინ აფხაზ ექსტრემისტთა ჯგუფი გადამიდგა. მე მანქანა შევაჩერე. ერთ-ერთმა ექსტრემისტმა მანქანას ხის ჯოხი დაჰკრა და ფანჯარა ჩაამსხვრია. ვხედავდი, რომ ამათგან ცოცხალს თავის დაღწევა გამიჭირდებოდა და მანქანა მოულოდნელად ადგილიდან დავძარი. მეგონა, თავი დავაღწიე, მაგრამ ნურას უკაცრავად. ექსტრემისტებმა თოფის ბათქა-ბუთქი ატეხეს და ჩემი მეზობელი ზურაბ შენგელია, რომელიც მანქანაში მეჯდა, მკლავში დაჭრეს. ჰოჭუასა და ყაზბეგის ქუჩების შესაყართან ისევ დაგვიშინეს თოფები. მუსიკალურ სასწავლებელთან რომ მივაღწიეთ, ჰოჭუას ქუჩის № 4 სახლიდან ვიღაც თოფიანი აფხაზი გადმოხტა, წინ გადამიდგა და მანქანის გაჩერება მიბრძანა. მე მანქანა შევაჩერე. მაშინ იგი გვერდიდან მომიახლოვდა და თოფი მომიღერა. შევატყვე, რომ საბედისწერო წუთები დგებოდა და მანქანა ისევ მოვწყვიტე ადგილიდან. გაისმა თოფის გასროლის ხმა და საფანტები აწკრიალდნენ ჩემს მანქანაზე. I საავადმყოფოსთან აფხაზ ექსტრემისტებს გზა გადაკეტილი ჰქონდათ. მე ლენინის ქუჩისაკენ გავეშურე და თავი ძლივს დავაღწიე ამ ბანდიტურ თავდასხმებს. ჩემს მანქანას დღესაც „ამშვენებს" ტყვიისაგან 18 ნახვრეტი და საფანტის 30-მდე ნაკვალევი. ორჯერ დამკითხეს, მაგრამ დღემდე შედეგი არა და არ ჩანს.

# ასეთი რამ მხოლოდ ფილმებში ხდება

პირადი საქმეების გამო 15 ივლისს ვიმყოფებოდი ქ. სოხუმში. ქალაქიდან გამგზავრებისას რუსთაველის სახელობის პარკში შევნიშნე ჩემი თანამშრომლები და მეც მათ შევუერთდი. საუბრისას გაირკვა, რომ ქართველთა ეს თავშეყრა იყო საპასუხო აქცია იმ ქმედებაზე, რაც ჩაიდინეს აფხაზებმა, კერძოდ, მათ ალყა შემოარტყეს ქალაქის პირველ საშუალო სკოლას, სადაც მიმდინარეობდა აბიტურიენტთა დოკუმენტების მიღება. დაახლოებით თერთმეტი საათისათვის ჩვენ დაშლა გადავწყვიტეთ, მაგრამ ქალების კივილმა შეგვაჩერა. ვერ გეტყვით, რამ გამოიწვია შეტაკება აფხაზებსა და ქართველებს შორის, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ეს აქცია წინასწარ იყო ჩაფიქრებული და ორგანიზებული და თუ ასე არ არის, მაშ, როგორ ავხსნათ ის გარემოება, რომ აფხაზები შეიარაღებულნი აღმოჩნდნენ ხელკეტებით, ქვებით, რკინის ნაჭრებით, რომლებითაც ისინი უკუქცეულ ხალხს ურტყამდნენ.

ის, რისი მოწმეც მე შემდეგ გავხდი, ნამდვილი საშინელება იყო. ისმოდა გასისხლიანებულ ადამიანთა კვნესა, იყო უამრავი დაჭრილი. ფანატიკურად აღტკინებული დაახლოებით 3000 კაციანი ბრბო არავის ინდობდა. ასეთი რამ მხოლოდ ფილმებში მენახა.

ამ შეხლაში მე არ დავშავებულვარ, მაგრამ ჩემმა თანამშრომლებმა ალექსანდრე პერტაიამ და ვალერი ვეკუამ მიიღეს სხეულის დაზიანება, გამომდინარე მძიმე გართულებებით, რის შედეგადაც ალ. პერტაია საავადმყოფოში აღმოჩნდა.

ვალერი ვეკუას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ სამივენი ცოცხლები დავრჩით.

გაოცებას იწვევს მართლწესრიგის დამცველი ორგანოების მუშაკთა მოქმედება, როგორც ირკვევა მათი ნაწილი (ქართველები) განიარაღებული იყო, მეორე ნაწილი კი (აფხაზები), საბრძოლო იარაღით აღჭურვილი.

გვებადება კითხვა, რად არის უმოქმედოდ საქართველოს მთავრობა? რატომ არ მიიღებენ კარდინალურ ზომებს ამ უმგავსობის წამომწყებთა მიმართ?

ბრბოში შევნიშნე პარტიის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი დუმავა.

**ე. ბეჟვაია,**
გულრიფშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სისხლის მინდორი

> და ვითარცა შევიდა ტაძარსა მას, იწყო გამოსხმად მსყიდელთა მათ და მომსყიდელთა.
> და ჰრქუა მათ: წერილ არს: სახლი ჩემი სახლ სალოცველ არს, ხოლო თქუენ ჰყავთ იგი ქუაბ ავაზაკთა.
> ლუკა 19, 45-46.

# სამი დღის მატიანე

მიმდინარე წლის 15 ივლისს ჩემს ბიძაშვილთან ი. რობაქიძესთან ერთად გავემგზავრე ქალაქ გაგრაში. ეს იყო დაახლოებით 16 საათი.

16 ივლისს 17 საათსა და 30 წუთზე უკან გამოვემგზავრეთ. სახელმწიფო ავტოინსპექციის ბზიფის ჯიხურის ახლოს შევნიშნეთ ადამიანთა დიდი ჯგუფი. იქვე იდგა ორი „იკარუსი“, რომელთაც ჩხრეკდნენ ავტომატებით, შაშხანებითა და სანადირო თოფებით შეიარაღებული აფხაზი ეროვნების წარმომადგენლები. გაჩხრიკეს ჩვენი მანქანაც და გაგვიშვეს. გუდაუთის გზასაყარამდე 5-6-ჯერ გაგვაჩერეს და გაგვჩხრიკეს მოპიკეტეებმა. რკინიგზის ესტაკადასთან კვლავ გაგვჩხრიკეს. ამ დროს ერთი მოპიკეტეთაგანი მოგვიახლოვდა, ჩაარტყა ხელკეტი საქარე მინას, ჩაამსხვრია იგი და თან მითხრა: — „აი, შენ ჩემგან სამახსოვროდ!“. ამის შემდეგ ჩამოგვათრიეს მანქანიდან იმის მომიზეზებით, რომ თითქოს ჩვენ პროვოკატორები ვართ, გვცემეს და გვაიძულეს ისევ გაგრისკენ გავბრუნებულიყავით.

გავემგზავრეთ უკან, გზასაყართან ისევ გაგვაჩერეს, როგორც აღმოჩნდა, ახლა უკვე საბოლოოდ. — „რატომ დადიხართ იქეთ-აქეთ, ალბათ პროვოკატორები ხართ და იმიტომ!“ — გამოგვიცხადეს აფხაზებმა და ისევ გამოგვათრიეს მანქანიდან, ამასთან დაგვპირდნენ, რომ მალე გაგვისწორდებოდნენ: — „ეხლა კი დავლევრით თქვენს სისხლსო“, — გვემუქრებოდნენ.

წამართვეს მანქანის გასაღები და სადღაც გააქროლეს. ჩემი ბიძაშვილი და მე სხვადასხვა მხარეს წაგვათრიეს საცემად. ვიღაცამ ჯოხი ისე ჩამარტყა თავში, რომ გრძნობა დავკარგე. როცა აზრზე მოვედი, დავუწყე ხვეწნა: „ბიჭებო, ახალგაზრდებო, ნუ მცემთ, მე ხომ თქვენი ძმა ვარ, ხნიერი კაცი ვარ“... მათ მტაცეს ხელი და თავიანთ მანქანაში შემაგდეს, მალე მილიციაში აღმოვჩნდით. როცა შიგნით შევედით, იქ შევხვდი კაცს, რომელიც შემდეგ გავიცანი კიდეც. აღმოჩნდა, რომ მასაც ჩემივე ბედი სწეოდა. იწვა გასისხლიანებული ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული სამი და დანით მიყენებული 30-მდე ჭრილობით. მისი მანქანაც დაემტვრიათ და გაეტაცნათ. ეს კაცი აღმოჩნდა ქ. ზუგდიდში, მახარაძის ქ. № 123-ში მცხოვრები ა. ი. კოდუა. გარდა იმისა, რომ მისი მანქანა დაამტვრიეს და გაძარცვეს, პირადად მასაც წაართვეს 400 (ოთხასი) მანეთი ფული, ოქროს ბეჭედი და სხვა პირადი ნივთები.

ჩვენთან ზოგჯერ შემოიჭრებოდნენ ხოლმე არამზადები და საკუთარი სიამოვნების გამო სრულიად უმიზეზოდ გვცემდნენ.

ორი დღის შემდეგ მილიციიდან 300 მეტრის დაშორებით აღმოჩნდა ჩემი ავტომანქანა. იგი სრულებით გაეძარცვათ — არ იყო არც მაგნიტოფონი კასეტებითურთ, არც 3 ახალი პერანგი, რომლებიც გაგრაში მაჩუქეს, სათადარიგო საბურავი, ჰაერსატუმბავი მოწყობილობა და ჭანჭიკებიც კი, სხვა წვრილმანთან ერთად.

18 ივლისს ყველა იქ მყოფი, ნაცემ-დასახიჩრებულნი, ჩაგვსვეს ავტობუსში, უკან გამოაბეს ჩემი მანქანა და მილიციის თანამშრომელთა თანხლებით მიგვიყვანეს საი-ს ეშერის საგუშაგომდე. აქ ჩამოგვსვეს და ჩვენც სახლებისაკენ გავეშურეთ.

როცა მე მათ საბუთები გადავეცი გადასახედად, იქიდან 100 (ასი) მანეთი ამოეღოთ.

უნდა გითხრათ, რომ ფრონტზე ყოფნის 3 წლის განმავლობაში არ გადამხდომია იმდენი საშინელება, რაც იმ სამი დღის განმავლობაში გადავიტანე.

**ალექსანდრე კალანდია,**
ომისა და შრომის ვეტერანი,
მეორე ჯგუფის ინვალიდი

## ვინ ამღვრევს წყალს

ეროვნებით აფხაზი ვარ. ძალიან მწყინს დღევანდელი აფხაზურ-ქართული ურთიერთობა. ჩემი ფიქრით, „წყალი აამღვრიეს“ ე. წ. გააფხაზებულმა ქართველებმა, რომლებმაც სასაუბრო აფხაზურიც არ იციან და თავი აფხაზებად ჩაიწერეს. მე, პირადად, ასეთი ხალხი მიმაჩნია დამნაშავედ. სწორედ ქართული წარმოშობის „აფხაზებისაგან“ უნდა გაიწმინდოს ნამდვილი აფხაზობა. ეს რომ მოხდება, მაშინ, ალბათ, ყველაფერი დალაგდება.

მე გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დასახლებაში ვცხოვრობ, მრავალი ქართველი მიცნობს, მყავს მეგობრებიც, რომლებთანაც შეხვედრა მრცხვენია, თითქოს მე ვიყო დამნაშავე მომხდარში. ჩემი ნაცნობები დამეთანხმებიან, რომ არაფერი ცუდი არ გამიკეთებია ქართველთა მიმართ. ყველა ქართველი (გააფხაზებულთა გარდა) ძმებად მიმაჩნია.

ერის გამყიდველი გააფხაზებული ქართველი არც აფხაზებს მოუტანს სიკეთეს და, რა თქმა უნდა, არც ქართველებს, რადგან ასეთნი და მსგავსნი მათნი „ლამურები“ არიან, ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გადაგვარებულნი. ასეთები თესავენ ერთა შორის მტრობას, აუკულმართებენ ქართველთა და აფხაზთა ძმობას. ისინი გამორჩენის მიზნით გააფხაზდნენ, სინამდვილე ასეთია და სწორედ ამისთანებს უნდა გამოვუცხადოთ ბრძოლა.

**ვალოდია ხაგბა,**
გაზეთი „სამრეკლო“

# შეუხორცებელი ჭრილობა

მთელი საქართველო ფეხზე დააყენა და ერთ მუშტად შეკრა აფხაზეთში დატრიალებულმა ვანდალიზმმა. განგაშის ექოდ გადაუარა საქართველოს აფხაზი ექსტრემისტების მიერ სოხუმის პირველი საშუალო სკოლის დარბევამ (იგი სოხუმში მომხდარი საშინელების ნაწილია მხოლოდ). მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ზემოაღნიშნული ფაქტი არაერთხელ იქნა გაშუქებული, მაგრამ, ვფიქრობთ, არც ამჯერად იქნება ურიგო შეხსენება იმ მუხანათური თავდასხმისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველ საშუალო სკოლაში. ამის საჭიროებას მოითხოვს თუნდაც ამ ფაქტის პირუთვნელი პოლიტიკური შეფასების აუცილებლობა, ასე დაჟინებით რომ მოითხოვს მთელი საზოგადოება და მაინც ყოველგვარი ყურადღებისა და სათანადო რეაგირების გარეშე რჩება. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ამის გარეშე ნდობის ხიდები ვერ გაიდება.

15 ივლისის მუხანათობაზე კიდევ ერთხელ მოგვითხრობენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის თანამშრომლები და ყოფილი სტუდენტები ჯემალ ხარებავა, მერაბ ჯიქია, მამუკა ჭედია, კარლო შამათავა, კახა კვარაცხელია, აბესალომ მიქელაძე, როინ ბერია, მერაბ ლომაძე, მაიზერ ბაბლუანი.

ტრაგიკული მოვლენები საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა. დაძაბულობა და განუკითხავი ალვირახსნილობა 15-16 ივლისის თავდასხმამდე შემზადდა. აშკარა გამაფრთხილებელი მუქარა პირველად მაშინ ვიგრძენით, როდესაც საბუთების მიმღები კომისიის წევრებს სკოლის სადარბაზოში კარები ნაჯახით ჩამოთლილი დაგვხვდა. ამას მოჰყვა აფხაზეთის სახალხო ფორუმ „აიდგილარადან“ ხანდაზმულთა საგანგებო „მოვლინება“. მათი მოთხოვნა ფილიალის ხელმძღვანელობასთან ულტიმატუმის ხასიათს ატარებდა: უნდა შეგვეწყვიტა საბუთების მიღება და უსიტყვოდ შევერთებოდით აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალი ტრაგედია გვიწინასწარმეტყველეს.

14 ივლისს, დახლოებით საღამოს ათ საათზე, მწერალთა კავშირის შენობიდან (სკოლიდან ორიოდ ნაბიჯზეა) დაიძრა აღელვებული მასა და სკოლის შენობას მოაწყდა. იმ პერიოდში, ჩვენთან ერთად, სკოლის შენობაში თორმეტამდე მილიციელი იმყოფებოდა. სკოლა, ფაქტიურად, ალყაში აღმოჩნდა, რის გამოც, დაცვის გაძლიერების მიზნით, გამოიძახეს დამატებითი ძალები. მალე გამოჩნდნენ მაღალი ჩინის წარმომადგენლებიც — ქართველები და აფხაზები და დაიწყო მოლაპარაკება. აფხაზები კატეგორიულად მოითხოვდნენ სკოლის შენობიდან ქართველი მილიციელების გაყვანას და აფხაზების დაყენებას. მოითხოვდნენ შემდეგი მოტივით — 9 აპრილის მემორიალის დარბევა (ეს წინა ღამით მოხდა) ჩვენ გვედება ბრალად, სინამდვილეში ეს ქართველების გაკეთებულია პროვოკაციის მიზნით, ერთაშორის შუღლის ხელოვნურად გასაჩაღებლად, აქაც რომ მსგავსი ინციდენტი განმეორდეს (იგულისხმება დარბევა, ხოლო დამრბევლებში, რა თქმა უნდა, ქართველები) ესეც აფხაზებს დაბრალდება, ამიტომ სკოლა უნდა დაიცვან აფხაზი ეროვნების მილიციელებმაო. მიმღები კომისიის შემადგენლობიდან მხოლოდ სამი კაცის დარჩენა მოითხოვეს. დაგვპირდნენ, რომ ამის შემდეგ ისინი დაშლიდნენ სკოლასთან მოზღვავებულ ხალხს. ამ ულტიმატუმს ესწრებოდა ქ. სოხუმის მილიციის განყოფილების ყოფილი უფროსი ჯ. რაფავა, რომლის დაჟინებული თხოვნითაც ჩვენ დავტოვეთ შენობა. დარჩა მხოლოდ მიმღები კომისიის სამი წევრი.

პირობა უმალ დაირღვა. ხალხი არ დაიშალა, რის შემდეგ ჩვენები ისევ უკან მობრუნდნენ. ცოტა ხანში იმავე მოთხოვნით მოვიდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარმომადგენელი ბერულავა (ეროვნებით აფხაზი) და განაცხადა, თუ შენობას დავტოვებთ (სამი კაცის გარდა), ხალხიც დაიშლებაო. ჩვენ დავინტერესდით, იყო თუ არა პირადად შეთანხმებული ხალხთან (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს პირობა მათი მხრიდან ერთხელ დაირღვა). ბერულავამ უარი განაცხადა და ჩვენ შენობაში დარჩენა გადავწყვიტეთ.

სკოლის ალყას ტელეფონის გამორთვაც დაემატა. აღმოვჩნდით სრულ იზოლაციაში. გამთენიისას (15-ში) ტელეფონი ნახევარი საათით ამუშავდა, მაგრამ ვიღაცამ მავთული დანით გადაჭრა.

გარედან ყვირილი, მუქარა და ლანძღვა-გინება მატულობდა. დილით ქართველი მილიციელები შეცვალეს აფხაზებით. ნაშუადღევს მოვიდა აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი ჩულკოვი. მან მოგვცა პირობა, რომ გადამჭრელ ზომებს მიიღებდა უსაფრთხოებისათვის (საზოგადოებას კარგად მოეხსენება, როგორ დაიცვა მინისტრმა ჩვენი უსაფრთხოება), თანაც (ეტყობა, გაითვალისწინა რა ჩვენი ორდღიანი იძულებითი შიმშილობა) სადილსაც დაგვპირდა. დაახლოებით სამ საათზე სკოლის შენობაში „შემოაღწია“ ორმა ქართველმა მილიციელმა, მათ მინისტრის მიერ დაპირებული სადილი მოიტანეს. არ გამოცხვა „ობლის კვერი“ — გახელებულმა ბრბომ აიწყვიტა, უმართავი გახდა. სცემეს ქალაქის მილიციის განყოფილების უფროსი რაფავა, რომელიც სკოლის შენობაში შესვლას ცდილობდა, დალეწეს მილიციის მანქანა. სადილი მომტანებმა ხელუხლებლად უკან წაიღეს. თავაწყვეტილი ბრბოს ჟინი ამით არ დამცხრალა. აღელვებამ თავის აპოგეას საღამოს ექვს საათზე მიაღწია. ჯერ ატყდა ქვების სროლა სკოლის მიმართულებით. ჩაიმსხვრა მინები. დერეფანში დაყოვნება შეუძლებელი იყო. აფხაზი მილიციელების „რჩევით“, ჩვენ გადავინაცვლეთ მეორე სართულზე, სამასწავლებლოში. სულის მოთქმა ძლივს მოვასწარით, რომ სკოლის უკანა მხრიდან შემოიჭრა გამძვინვარებული მასა, რაღაც წამებში ჩამოიღეს სამასწავლებლოს კარები და, რკინის ხელკეტებით შეიარაღებულებმა, დაგვიწყეს ულმობელი ანგარიშსწორება.

ყველაფერი ეს ხდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარის ნაწილებისა (ისინი სკოლის ეზოს წინა მხარეს „იცავდნენ“) და შეიარაღებული აფხაზი მილიციელების თვალწინ, რომლებიც დერეფანში იდგნენ და წინააღმდეგობის გაწევა არც უცდიათ. „დამცველები“ სისხლიანი დრამის შემდეგ გამოჩნდნენ სამასწავლებლოში და რის ვაი-ვაგლახით, აფხაზებისაგან აღებული ნებართვის შემდეგ, მოახერხეს დასახიჩრებულთა გადაყვანა საავადმყოფოში.

ივლისის მუხანათობით მიყენებული ჭრილობა არ შეხორცებულა და მოუშუშებელი დარჩება მანამ, ხანამ სიმართლის სანთელ-საკმეველს მალამოდ არ დაიდებს. უპრინციპობა და გაუმართლებელი ლოიალობა მხოლოდ ვნებს საქმეს. არადა, ხალხი ელის... ელის პირუთვნელ მსჯავრს — განურჩევლად რანგისა და წოდებისა.



**სურათზე:** ქ. სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის I საშუალო სკოლა დარბევის შემდეგ.

# წერტილი უნდა დაესვას

15 ივლისს, დაახლოებით 10 საათზე ვიმყოფებოდი ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში, იმასთან დაკავშირებით, რომ მსურდა გამეგო გამოცდების დაწყების დრო. ზემოთ აღნიშნული დროისათვის პირველი საშუალო სკოლის შენობასთან, სადაც იყო განლაგებული ფილიალი, შეგროვდა აფხაზი ეროვნების მრავალი წარმომადგენელი. ფაქტიურად მათ შენობა ალყაში მოიქციეს და შიგ არავის უშვებდნენ. ქართველი მოსახლეობის ერთი ნაწილი, 100-მდე კაცი, იდგა იქვე, ჭავჭავაძის ქუჩაზე. მათ შორის იყვნენ ფილიალის პროფესორ-მასწავლებლები და სკოლების კურსდამთავრებულები, რომელთაც შეჰქონდათ საბუთები ფილიალში. მდგომარეობა იძაბებოდა. მოსახლეობის აფხაზური ნაწილი გამომწვევად მოქმედებდა.

პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად ქართველები გადავიდნენ რუსთაველის სახელობის პარკში, თან გადაწყვიტეს მიემართათ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისათვის, რათა მათ მიეღოთ სათანადო ზომები. საოლქო კომიტეტში წარმომადგენლების გაგზავნამ შედეგი არ გამოიღო — პასუხი ძალზე იგვიანებდა. რუსთაველის პარკში საღამოსათვის შეიკრიბა 400-მდე ქართველი, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს ქალები შეადგენდნენ; ბოტანიკური ბაღის ახლოს, პუშკინის ქუჩის მხრიდან აფხაზები შეგროვდნენ.

საოლქო კომიტეტის პასუხის მომლოდინე ქართველებს ლაკობას ქუჩიდან მიუახლოვდა ავტომანქანა გაზ-24, რომლის მძღოლმა იქ მდგომი ხალხის პროვოცირება დაიწყო. ეს გახდა ინციდენტის მიზეზი. აღშფოთებულმა ხალხმა იგი მანქანიდან გადმოათრია. უცნობებმა გაქცევა მოახერხეს.

ამ მომენტიდან რამდენიმე წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ რკინის საგნებით და ქვებით შეიარაღებული ბრბო თავს დაგვესხა. ამ ჯგლეთასა და არეულობაში მე რესტორან „ამრასთან“ აღმოვჩნდი. აქ გარს შემომერტყა ოცდაათამდე აფხაზი, როდესაც გაიგეს, რომ მე ქართველი ვარ, დამიწყეს ცემა სხვადასხვა საგნებით, ერთმა ზურგში ჩამარტყა ქვა. როგორღაც ზღვაში გადახტომა მოვასწარი. ისინი მაინც არ მომეშვნენ და იქაც მიშენდნენ ქვებს.

როცა წყლიდან ამოვედი, ოფიციანტებმა დამმალეს რესტორნის შენობაში.

ამას ვწერ არა იმიტომ, რომ მხოლოდ საკუთარი თავის გამო ვდარდობ, არამედ იმიტომაც, რომ ვწუხვარ უდანაშაულოდ დაღუპულ ადამიანთა გამო, რომ ტრაგედიის მიზეზების ტენდენციურმა განხილვამ შეიძლება კვლავ სისხლისღვრა გამოიწვიოს.

მწამს, რომ ყველაფერი შესწავლილი იქნება სათანადოდ და მთელი ობიექტურობით; უნდა დაისაჯოს ყველა, ვისი ხელიც ურევია ამ საზიზღარ აქციაში, რათა სამუდამოდ დაესვას წერტილი ამგვარ უმსგავსოებებს.

თავდამსხმელთა რიგებში მე ვნახე საოლქო კომიტეტის მუშაკი დუმავა.

**ჯ. ვეკუა,**
გულრიფშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე

[illegible]

ხალხს როდი ვგულისხმობ, ხალხი არ შეიძლება დამნაშავე იყ[illegible] პიროვნებები არიან. ვლოცულობ ქართველთათვის და ვლოცუ[illegible] თვისაც, რომლებსაც თავგზას უბნევენ უკეთურები. ყველაფერ[illegible] ორ ხალხს შორის მშვიდობა აღდგეს. ეს ჩემს მისიად მიმაჩნია.

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი

## მიმართვა საქართველოს მოსახლეობას

ჩვენ, აფხაზეთის ქართველი საზოგადოება, პროტესტს გამოვთქვამთ საქართველოში (აფხაზეთი, ქვემო ქართლი, სამაჩაბლო) შექმნილი ვითარების გამო. კერძოდ, კვლავ აქვს ადგილი ეროვნული შუღლის პროვოცირების მცდელობას, ამიტომ სასიცოცხლო საჭიროებად მიგვაჩნია საქართველოს მმართველობამ არსებულ მდგომარეობას მისცეს ზუსტი, ობიექტური პოლიტიკური შეფასება. სახელდობრ, უმოკლეს ვადაში უნდა გაირკვეს და ფართო საზოგადოების სააშკარაოზე გამომზეურდეს ეროვნული შუღლის გამომწვევი ნამდვილი მიზეზები და აღიკვეთოს მისი კვლავ წარმოშობის საშუალება. ასევე, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული თუ სხვა სახის სასჯელი დაედოთ იმ კონკრეტულ პირებს, რომლებიც ქართველმა საზოგადოებამ ამხილა ეროვნული შუღლის პროვოცირებაში, განურჩევლად ეროვნებისა. აღნიშნულ პირთა სია აფხაზეთში მცხოვრები ქართველი საზოგადოების მიერ არაერთხელ გადაეცა საქართველოს მმართველობის წარმომადგენლებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველი ცდა ქართველი საზოგადოებისა, მიმართული ვითარების სტაბილიზაციისაკენ, უგულებელყოფილ იქნა, რის გამოც უნდობლობას ვუცხადებთ საქართველოს მმართველობას.

აფხაზეთის ქართველი საზოგადოება.
26.10.1989 წ. თბილისი.

# წყალს გაჰყვა ყველაფერი

მოგეხსენებათ, მემანქანის საქმიანობა ხიფათებითა და ფათერაკებითაა სავსე, მაგრამ ის, რაც მიმდინარე წლის 17 ივლისს ჩვენ დაგვათიეს ახალი ათონის რკინიგზის ხაზზე, თვით ჩემს წარმოდგენასაც კი აღემატება. 15-16 ივლისს, როცა ის სისხლიანი დღეები გავვითენეს ჩვენ, ქართველებს, შეწყდა მატარებლების მოძრაობა ამიერკავკასიის რკინიგზაზე. ამის შესახებ, რასაკვირველია, უცბად შეიტყვეს საკავშირო სამინისტროში და საქმის მოსაგვარებლად მინისტრის მოადგილე ნიკიფოროვი აქეთკენ გამოემართა. ნიკიფოროვი ადლერის აეროპორტში ჩამოფრინდა, მაგრამ უცბად მანაც ვერ მოახერხა სოხუმის სალოკომოტივო დეპოში ჩამოსვლა. იქიდან ტელეფონით დაუკავშირდა დეპოს ხელმძღვანელობას და სთხოვა, ადლერის რკინიგზის სადგურში სამგზავრო მატარებლის მთელი შემადგენლობა დგას, რომელშიაც ჩელიაბინსკიდან გუდაუთისაკენ დასასვენებლად მომავალი ბავშვები იმყოფებიანო და ითხოვა ამ შემადგენლობის გუდაუთაში ჩამოყვანა. დეპოს უფროსმა მინისტრის მოადგილის ეს თხოვნა ჩვენ, მემანქანეებს, გამოგვიცხადა, რომლებიც იქ ვიყავით შეკრებილნი, და თან დასძინა, მართალია, მძიმე მდგომარეობაა, მაგრამ ბავშვებთან გვაქვს საქმე და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთო. სიჩუმე ჩამოვარდა, ჩვენ გაფიცულები ვიყავით და გვიჭირდა ამ გამონაკლისის გაკეთება. მე, როგორც პენსიონერი, ამ დროს უფასო შვებულებაში ვიყავი და სურვილი გამოვთქვი, რომ წავიდოდი ამ თხოვნის შესასრულებლად.

— ძალიან კარგი, — გაუხარდა დეპოს უფროსს.

ჩემთან ერთად წამოსვლის სურვილი განაცხადეს მემანქანის თანაშემწემ ქამუშაძემ და მემანქანე ქოიავამ.

ჩვენ ისიც გავითვალისწინეთ, შეიძლება მართლაც რაიმე მოხდესო და მეორე მემანქანეც ავიყვანეთ.

31 წლის მუშაობის სტაჟი მაქვს სალოკომოტივო დეპოში და, მართალი გითხრათ, მეამაყება კიდეც, რომ ვინც კი რკინიგზის ხაზის მიმოლმა ცხოვრობს აფხაზეთში, თითქმის ყველა მიცნობს. ამიტომ წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ვინმე სათოფედ და სატყვიოდ გამიმეტებდა ამ ხაზზე. ამანაც გამაბედვინა იმ მძიმე დღეებში საპატიო მოვალეობის შესრულებისათვის გამგზავრება.

ჩვენთან ერთად კიდევ ერთი მემანქანე — ფოჩხიძეც წამოვიდა, რომელიც გუდაუთის მახლობლად, სოფელ ორჯონიკიძეში ცხოვრობს და თავს იმ უბანზე შინაურად გრძნობს. მას ხშირად უხდება მუშაობა ზვანდრიფშის, მიუსერას და ბზიფის გადასარბენებზე. 15 ივლისს, დილით ელმავალი დეპოში ტექნიკური კონტროლისათვის ჩამოიყვანა. საღამოს კი აფხაზები დაგვეცნენ თავზე და, რადგან არც ერთი სახის ტრანსპორტი აფხაზეთში არ მოძრაობდა, დარჩა დეპოში. მეორე დღეს ვიღაცამ თქვა, იქ, სადაც ფოჩხიძე ცხოვრობს, ათი სახლი დაწვესო, მაგრამ როგორც მერე გაირკვა, ტყუილი გამოდგა.

ერთი სიტყვით, ჩვენ შევადგინეთ მოქმედების გეგმა, მივედით სელექტორთან და დისპეტჩერს დაველაპარაკეთ. გავიგეთ, რომ ხაზზე არც ერთი მატარებელი არ მოძრაობდა და ჩვენ ერთადერთი ვიქნებოდით. თან გავაფრთხილეთ, რომ უკან უნდა მოვბრუნებულიყავით. მანაც წაგვაქეზა, მოდით, ნუ გეშინიათ, ყველაფერი რიგზე იქნებაო. გამოვედით ოთხივე დეპოდან ელმავლით, მივედით სადგურში, იქაც მწვანე გზა მოგვცეს და გამოვედით სოხუმიდან. გავიარეთ ეშერის სადგური, თითქოსდა ყველაფერი რიგზე იყო. შევედით გვირაბში და მაშინვე შევამჩნიეთ, რომ გვირაბს არავინ დარაჯობდა. ახალი ათონის რკინიგზის სადგურში რომ შევედით, შევნიშნეთ, რომ ხიდის თავთან შვიდი მოქალაქე ამოდიოდა. ერთს, რომელიც წინ მიუძღოდა, ხელთ ავტომატი ეჭირა, დანარჩენები კი შეიარაღებული იყვნენ სანადირო თოფებით და მარცხენა მხრიდან მარჯვნივ გადადიოდნენ. მათ შორის ორს, შედარებით ტანმორჩილით, სამხედრო ფორმა ეცვათ. ერთი სიტყვით, შვიდივე მეორე მხარეს გადადიოდნენ თავჩაღუნულნი. როდესაც ბაქანს მივუახლოვდით, დავინახეთ, რომ ხალხი ბლომად იდგა ბაქანზე, ამდენი ხალხი აქ არასოდეს მინახავს. უმეტესობა შეიარაღებული იყო. როდესაც მივუახლოვდით გასასვლელ ნიშან-სვეტს, იგი გადაიკეტა, მაგრამ მალევე გაიღო და გზა ისევ გავაგრძელეთ. შევედით ისევ გვირაბში. სიჩქარე, ასე, 50 კმ. იქნებოდა საათში. პირველი გვირაბიდან რომ გადიხარ, მოსახვევია და აი, ამ მოსახვევში შევნიშნე, ირიბულად დაედოთ რელსი ლიანდაგზე. მე ელმავალის შეჩერება ვერ მოვასწარი, რელსი ელმავალის ქვეშ მოექცა და აითრია. ვიდრე მე ელმავალის გაჩერებას ვცდილობდი, ის რელსი გვერდზე გადავარდა და მეც გულზე მომეშვა. გზა განვაგრძე და შევედი მეორე გვირაბში. როგორც კი გვირაბიდან გავედი, შევნიშნე, რომ ბუჩქებში ვიღაცეები იმალებოდნენ. მათი თავები მოჩანდა ბუჩქებიდან. სადგურ არსაულს რომ მივუახლოვდით, ხალხი მოგვესია, რუსები, სომხები და შორიდან ხელებით გვანიშნებდნენ, ამას იქით არ წახვიდეთო, საშიშიაო. მერე მართლა ჩვენც შევატყვეთ, რომ მთლად ისე არ იყო საქმე, ჩვენ რომ გვეგონა და უკან გამოვბრუნდით. როდესაც სადგურში შემოვედით, ნიშან-სვეტი გზას გვიჩვენებდა, მაგრამ უცბად გადაიკეტა. აქ კი შევფიქრიანდით, მაგრამ გაჩერება არამც და არამც არ გვიფიქრია. გადავწყვიტეთ, რომ გაგვევლო ამკრძალავი სიგნალი. მაგრამ სადგურის სამორიგეოსთან, შუა ლიანდაგში ჩამდგარიყო მილიციის მუშაკი. იმის გვარი არის ჰედია, ცხოვრობს გუდაუთაში და მუშაობს ახალი ათონის სადგურზე. ამ ჰედიას გვერდით ვიღაც შავებში ჩაცმული მამაკაციც იდგა და ხელების წრიული მოძრაობით გვანიშნებდნენ შეჩერებას. მაგრამ დაინახეს რა, რომ არ ვჩერდებოდით, უცბად იკადრეს და ამოხტნენ ბაქანზე. ამათ რომ გავცდით, ბაქანზე, სადაც საპირფარეშოა, ანძის გვერდით იდგნენ ქალი და კაცი. ქალმა შემზარავი ხმით წამოიკივლა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ იქით არ გაგეხედა, მართლაც შეუძლებელი იყო. რადგან მე ვმართავდი ელმავალს და სწორედ იმ მხარეს ვიდექი, საიდანაც კივილი გაისმა, მეც გადავიხედე და... ამ დროს მამაკაცმა, რომელიც ქალის გვერდით იდგა, შემართა ხელი და გაისმა გასროლის ხმა. ეს იყო გადაჭრილი თოფი. ამას მართლა არ მოველოდი და დავიბენი, მაგრამ როცა შევნიშნე, რომ ყველა ჩემი მეგობარი იატაკზე გაწოლილიყო, მეც ვიკადრე და მათ მივუწექი გვერდით.. და, აი, მაშინ ატყდა ავტომატებისა და თოფების ისეთი სროლა და ბათქაბუთქი, რომ ფრონტის წინა ხაზზე გვგონებოდათ თავი. როცა ვიგრძენით, რომ სადგურის საზღვარი გავლილი გვქონდა, წამოვდექით და ერთმანეთს დიდხანს ვათვალიერებდით, დაჭრილი ხომ არავინ იყო. მაგრამ, ბედად, ყველა მთელი და უვნებელი ვიყავით.

მერე ყველამ ერთად ვიფიქრეთ და დავასკვენით, რომ იმ ქალმა რომ იკივლა, ეს საგანგებო კივილი იყო. იცოდა, რომ ქართველი კაცი ვერ მოითმენდა გაჭირვებულის კივილის გაგონებას და მიიხედავდა... და ის მილიციელიც საგანგებოდ იდგა ლიანდაგებში... ის შამხანი კაციც... ყველას ერთი მიზანი ჰქონდა, ტყვია ესროლათ ჩვენთვის და იქვე დავეხვრიტეთ.

კარგი, კაცი კაცია, მაგრამ ახლა ის ქალი, მითხარით, რა ქალია, რა ბავშვებს დაზრდის და რა იქნებიან მისი დაზრდილები?!.

სწორედ მახეთი ქალების დაზრდილი ხალხია, დღეს ასე რომ არიეს და დარიეს ყველაფერი აფხაზეთში.

აბა, ერთი მითხარით, ამას რად უნდა დიდი ძიება და ქექვა, იმ მილიციის კაპიტანმა ყველაფერი იცის, ვინ იყო იქ და ვინ მონაწილეობდა ჩვენი ელმავლის დახვრეტაში...

მე კი მაინც იმ ბავშვებზე ვფიქრობ, ჩელიაბინსკიდან რომ ჩამოვიდნენ და სოჭიდან გუდაუთაში რომ ვერ გადმოვსხით...

და კიდევ იცით, რაზე ვფიქრობ?!.. რამდენი აფხაზის ოჯახში ვყოფილვარ და ისინიც რამდენჯერ ყოფილან ჩემს ოჯახში და რამდენი პურ-მარილი მიგვირთმევია ერთად. ღმერთო ჩემო, რავა ყველაფერი წყალში ჩაიყარა და წყალს გაჰყვა!..

ყოველივე მსგავსის მოთავესა და შემოქმედს ისე უნდა გაუხადო კბილები, რომ პურმარილს კი არა, ფაფასაც ვერ უსინჯავდეს გემოს!

გიორგი თომაძე,
სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.



სურათზე: აი, როგორ გამოიყურებოდა ახალი ათონის გადასარბენზე აფხაზი ექსტრემისტების მიერ ტყვიებით დაცხრილული ელმავალი.

# სისხლიანი ივლისი

# გზანი წამებისანი

ხუთ თვეზე მეტი გავიდა ივლისის ტრაგიკული დღეებიდან. გარეგნულად თითქოს სიმშვიდეა ყველგან, თითქოს ყველაფერი ჩაცხრა და მიწყნარდა, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. თუ სინამდვილეს თვალებში შევხედავთ, სრულ განუკითხაობასა და უსამართლობას წავაწყდებით. ადამიანები გალიაში გამომწყვდეული ფრინველის ბედს იზიარებენ. ასეა ჩვენთანაც — რესპუბლიკის სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში. ხუთი თვეა ვეძებთ სიმართლეს და ვგავართ დიოგენს, დღისით, მზისით სიმართლის მოსაძებნად ანთებული ლამპარი რომ უჭირავს ხელში... და მაინც ვეძებთ, ვის არ ვაწვდენთ ხმას — ტიტულოვან თუ უტიტულო ინსტანციებს, მაგრამ ჯერჯერობით ამაოდ...

ყველაფერი კი ა. წ. 15 ივლისის ტრაგიკულ დღეს დაიწყო. ადამიანი, რომელიც ჩვენს სამედიცინო დაწესებულებას ხელმძღვანელობს, იმ დღეს შეიარაღებული მონაწილეობდა აფხაზი ექსტრემისტების მიერ მოწყობილ „სისხლიან შაბათობაში". მხოლოდ 24 ივლისს მოვიდა იგი სამსახურში გამარჯვებულის იერით, ამაყი, უდრეკი...

აქედან დაიწყო ჩვენთვის გზანი წამებისანი — კრებები ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის და სხვა თანამდებობის პირთა თანდასწრებით. შეკითხვაზე — „რატომ იდგა იმათ შორის, ვინც თავს დაესხა და უმოწყალოდ დაარბია № 1 საშუალო სკოლა და იქ მყოფნი" — ჩვენმა ვაიხელმძღვანელმა ამაყად განაცხადა: — „ვიდექი იქ, სადაც ჩემი ხალხი იდგა"-ო. ისევ შეკითხვა: „თქვენ თავდამსხმელთა შორის იყავით, როგორც ექიმმა, რა დახმარება გაუწიეთ დაზარალებულთ?" — პასუხი საკმაოდ ცინიკური და კონკრეტულია: — „მე სტომატოლოგი ვარ და არა ქირურგი, რა დახმარება შემეძლო ვინმესთვის აღმომეჩინა?" — ამას ამბობს ადამიანი, რომელსაც თეთრი ხალათი მოსავს, ვინც ჰიპოკრატეს წმინდა ფიცი დასდო, ვინც ყველაზე სათუთი, გულმოწყალე პროფესიის მიმდევრად თვლის საკუთარ თავს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ი. მენაღარიშვილის კითხვას, თუ რატომ არ მოვიდა იგი სამსახურში 24 ივლისამდე, მან სრულიად მოულოდნელი პასუხი გასცა: — „შემეშინდა, ქალაქში არეულობა იყო..." ამ სიტყვების შემდეგ რაიმეს თქმა ძნელი აღმოჩნდა.

ამის შემდეგ დაიწყო აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრ ა. აქშბას თანადგომა მის მიმართ: ფორმდება ფასიანი და უხელფასო შვებულებები, იხსნება ავადმყოფობის ფურცელი ქალაქის № 2 საავადმყოფოში (მთავარი ექიმი ვ. ახუბა) და ასე, თანდათან იწყება სიმართლის გაყალბება.

ა. აქშბა საქმეს განსახილველად ქალაქის პროკურატურას გადასცემს. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, გამოძიებას აწარმოებს ქალაქის პროკურორის მოადგილე ო. სანაია. ჩვენ ისევ მოვითხოვთ დაისაჯოს იური კოლონია როგორც ხელმძღვანელი, რო-

[illegible]



მივესალმები ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ეს წინგადადგმული ნაბიჯია ერთა თვითგამორკვევის საქმეში. ეს მისია აკისრია რუსთაველის საზოგადოებას, საქართველოს სახალხო ფრონტს. სწორედ მათ უნდა შეაკავშირონ სრულიად საქართველო და ნათელი მომავლისაკენ წარუძღვნენ...

ქართველი ხალხი ყოველთვის იყო და არის კაცთმოყვარე, სტუმართმოყვარე, გულღიად მიმღები, თავისუფლების მოყვარე, რაც არაერთხელ დაამტკიცა საუკუნეების მანძილზე.

სომეხი ხალხი სიხარულით შეხვდა ეროვნულ მოძრაობას. ქართველნი და სომეხნი წარმოადგენენ უძველესი ცივილიზაციის მქონე ერებს, რომელთაც ყოველთვის გააჩნდათ თვითმყოფადობა და, ამასთან, ერთმანეთის მიმართ მეზობლური, მეგობრული დამოკიდებულება. ეს ორი ერი ურთიერთმხარდაჭერით იკაფავდა გზას რთულ ისტორიულ პირობებში. თანადგომამ დიდად შეუწყო ხელი ტრადიციების შენარჩუნებას.

ასე იყო ათასწლეულების განმავლობაში, ასეა ჩვენს დროშიც და ასეც უნდა გაგრძელდეს. სომხეთს რომ გაუჭირდა, ქართველმა ხალხმა პირველმა გაუწოდა დახმარების ხელი, ჭრილობები დაუამა და და იმ მძიმე დღეებში მომავლის რწმენა ჩაუნერგა.

საქართველოსაც ძნელი დღეები უდგას და ჩვენც უნდა ამოვუდგეთ მხარში, ჩვენც უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ბევრი რამა გვაქვს საერთო... განდგომას, ღალატს არ გვაპატიებს წინაპართა სახელები...

გ. ტოროკანიანი,
„სამრეკლო", № 1, 1989 წ.



[illegible]

[illegible]

ლ. ჯაოშვილი

1989 წლის
15-16 ივლისის
დღეებში
დატრიალებული
ტრაგედიის
მსხვერპლთა სია

ქართველები

[illegible]

10. ჯვარელია სოსო (ზაზა) ავთანდილის ძე, დაბადებული 1962 წელს, ქ. ხენაკი

11. მიქაძე კონსტანტინე გიორგის ძე...

[illegible]

ლი 1928 წელს, ოჩამჩირის რაიონი, სოფ. კვ[illegible] ტოული

5. ჩქოტუა ბესლან რაჟდენის ძე, დაბადებული 1958 წელს, ქ. გუდაუთა

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზაჯვარედინი

მექანიზმი, რომელიც 9 აპრილის დამსჯელ ოპერაციას, ქვემო ქართლის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კრიზისებს გეგმავს, საბჭოური წარმოების მორალურად გაცვეთილი ყველა სხვა აპარატივით შეცდომას შეცდომაზე უშვებს და ეს მერამდენედ იღებს უკუეფექტს: დათმობებისა და უდრტვინველი მორჩილების დრო დასრულდა, საქართველო თავისუფლებისათვის იბრძვის.

საბოლოოდ დაესვა წერტილი გააფსუების გზით გარუსების პროცესსაც, რომელიც სსრ კავშირის იმპერიულ, საქართველოს მარიონეტულ და აფხაზეთის ანტიქართულ მთავრობებს შორის სულშეხუთულ ქართველებს მოგვახვიეს თავს და ახლა სხვის ხელში პაიკივით ათამაშებული ძმადყოფილიც ხედავს (თუმც თავს არ უტყდება), რომ პოზიციები შეერყა. კერძოდ, ფუჭი აღმოჩნდა იმედი სადღაც „ზემოთ" შეთხზული ლეგენდისა დავით აღმაშენებლის ერის პოლიტიკური სიბეცისა თუ უმწიფარობის შესახებ, რომელზედაც იყო გათვლილი ივლისის აქცია, წარსულს ჩაბარდა მორჩილება და გულარხეინობა, რომლითაც ვადევნებდით თვალს უმცროს ძმად მიჩნეული ეთნიკური ჯგუფის პრივილეგიების გაუმართლებელ ზრდას ჩვენი უფლებებისა და ინტერესების ხარჯზე. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობა ოჩამჩირეში (და არა ოჩამჩირაში), რადგან ქართული მოსახლეობა აქ სულ ბოლო დრომდე გამოირჩეოდა გადაჭარბებული შემწყნარებლობით თუ მოთმინებით აფსუური თავკერძობისადმი, რასაც რუსიფიკაციის წლებში მძლავრად გაფოთლილ პრაქტიციზმთან და მისგან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებისადმი გულგრილობასთან ერთად ასაზრდოებდა, როგორც შემდგომში გაირკვა, ცალმხრივად მხოლოდ მასზე მოქმედი ინერცია, შემორჩენილი ურთიერთსიყვარულისა და ძმობის თურმე კარგა ხნის გარდასული დროიდან.

გვინდა მკითხველმა სწორად გაგვიგოს. საქმე აქ „აფხაზეთის კოზირით" მოთამაშე მესამე ძალისა და მისით გულმიცემული სეპარატისტებისადმი პროტესტის მასშტაბებს ეხება, თორემ ბედიის, მოქვისა და ილორის მხარეს აქამდეც ჰყავდა ლელთ ღუნიები, რომლებიც პერიფერიის ინტელიგენტის მრავლისმტვირთველი გულით ახკდებოდნენ პრივილეგირებული კასტის ჯავშანს და ყველასაგან, მათ შორის ახლა ერისკაცობის დამჩემებელი ბევრი მეცნიერისა თუ მწერლისაგან მიტოვებულნი, ერთმანეთს იმედივით გადასცემდნენ ერთიანად გაცრეცილ „ოქროს საწმისს" თუ სიმართლისათვის დევნილი ქრისტესმიერი ძმების შემდგომდროინდელ წერილებს.

„აფხაზურმა წერილმა" და „ლიხნის დეკლარაციამ", რომლის ხელმოწერის კამპანია განსაკუთრებული აქტივობით ჩაატარა აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას" ოჩამჩირის რეგიონალურმა ორგანიზაციამ, თავისი ცილისმწამებლური არსით სავსებით კანონზომიერად გამოიწვია ოჩამჩირის ქართული მოსახლეობის ყველაზე ინდიფერენტულად და ლოიალურად განწყობილი ნაწილის მკვეთრად უარყოფითი რეაქციაც კი, რომელიც შემდგომში უკიდურესად გაამწვავა № 1 საშუალო სკოლის ეზოში 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალის გახსნასთან დაკავშირებულმა გახმაურებულმა ექსცესმა, რომელსაც უკავშირდება ჯავშანტრანსპორტიორების პირველი გამოჩენა ამ მშვიდობიანი ქალაქის ქუჩებში აფეთქებასაშიში ვითარების განმუხტვის მიზნით. მაისის იმ დღეებში ქართულმა მოსახლეობამ თვალნათლივ დაინახა და ღრმად გააცნობიერა თავისი სრული უუფლებობა და მოსახლეობის აფხაზური ნაწილის მრავალრიცხოვანი ჯგუფის ფსიქოლოგიური მზადყოფნა ფიზიკური ანგარიშსწორებისათვის. აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში ფართოდ გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანმა, პოლიტიკურმა ხასიათმა, ე. წ. ქართული არაფორმალური გაერთიანებების წარმომადგენელთა უტყუარმა პოზიციამ და თვით მოსახლეობის ტრადიციულმა თავდაჭერამ შესაძლებელი გახადა მდგომარეობის განმუხტვა, რის შემდეგაც ქვის უპრეტენზიო ფილა გადატანილ იქნა ილორის წმიდა გიორგის ეკლესიის ეზოში, ხოლო რაიონულ ცენტრს საკმაოდ დაშორებული სოფლებიდან აფხაზთა არა სტიქიურად, არამედ სავსებით ორგანიზებულად და მიზანდასახულად ჩამოყვანის ინიციატორები, რომელთაც ხელოვნურად გამოიწვიეს დესტაბილიზაცია, დაუსჯელნი დარჩნენ.

შეიძლება ითქვას, სწორედ იქიდან და არა ივლისის ტრაგედიის დღეებიდან, დაიწყო ქართული ეროვნული სულისკვეთების მკვეთრი აღმავლობა რაიონში, რომელიც გამოიხატა არა სხვათა შეურაცხმყოფელ მიტინგებსა და კოლექტიურ პასკვილებში, არამედ მშობლიური ენის წიაღისაკენ მასობრივ მიბრუნებაში, საკუთარი პოზიციების, ცხოვრების წესის გადაფასებაში, კონსტიტუციური უფლებების დაცვის სავსებით კანონიერი გზების მოძიებაში, სრული მორალური მხარდაჭერით საქართველოში მიმდინარე ჯანსაღი პროცესებისადმი, რასაც კიდევ უფრო მძლავრი სტიმული მისცა ივლისის მოვლენებმა და, განსაკუთრებით, ზემოხსენებულმა მექანიზმმა, რომლის მიერ პრესასა და ტელევიზიაში მეთოდურად გავრცელებულმა დეზინფორმაციამ მთელი სისრულით წარმოაჩინა საქმეთა ჭეშმარიტი ვითარება.

და აი, ოჩამჩირეს ოთხი თვეა აზანზარებს გაფიცვების, შიმშილობების, მანიფესტაციების, პროტესტის სხვა მშვიდობიანი ფორმების ტალღები, რომელთა სიმაღლე ადრინდელი ინდიფერენტიზმის უკუპროპორციულია, როგორც შედეგი თვალის ახელის მტკივნეული პროცესისა.

ოჩამჩირის ქართველობა მოქმედებს ორგანიზებულად, ყველა ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების დაცვით, მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკური ფორმებით იბრძვის თავისი კონსტიტუციური უფლებების დასაცავად, ეთნოკრიზისის პოლიტიკურ კრიზისში გადასაზრდელად.

ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა ოქტომბრის ექსცესმა, რომელიც საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას გლოვის დღეებში იქნა ორგანიზებული „აიდგილარას" რეგიონალური ორგანიზაციის მიერ და გამოიხატა ეროვნული დროშის ხელყოფაში, აფეთქებასაშიში მდგომარეობის შექმნაში. ისევ დაიღვარა ქართველი ვაჟკაცისა და მოზარდის სისხლი, მაგრამ ამას არც ამჯერად მოჰყოლია ბრმა შურისგება და ლინჩის წესის მოქმედება ქართველთა მხრიდან.

დიახ, ოჩამჩირის ქართველობა მზად არის დიალოგისათვის, ტრადიციული ჯანსაღი ურთიერთობის აღდგენისათვის, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც კუთვნილი მიეზღვებათ მშვიდობიან ქართულ მოსახლეობაზე შეიარაღებული თავდასხმის ორგანიზატორებს, შეიცვლება წლების მანძილზე უკიდურესად დამახინჯებული საკადრო პოლიტიკა და ქართული მკვიდრი მოსახლეობა, რომლის რიცხოვნება აქ 1979 წლის აღწერის მონაცემებით, 81000-ს აღემატება, აღდგება თავის კანონიერ უფლებებში.

**ნონა ქობალია**

# იმ საბედისწერო ღამეს...

**აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის სამინისტროს რესპუბლიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიული განყოფილების ექიმის, გიორგი გიორგის ძე კვარაცხელიას მონათხრობიდან (სტილი დაცულია)**

სამორიგეოდ მიმდინარე წლის 15 ივლისს გამოვედი ექიმ ბ. ბ. ჩიქოვანთან ერთად, რომელიც რეანიმაციულ განყოფილებაში მორიგეობდა.

ჩვენ გავიგეთ, რომ 1 საშუალო სკოლასთან უამრავი აფხაზი შეგროვილიყო, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ მივანიჭეთ, ხოლო რაც შეეხება ექსცესებს, მათ არც კი მოველოდით.

19 საათისათვის პირველი დაშავებულები მოიყვანეს. როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებისა და დაშავებულთა სიტყვებიდან გავიგეთ, მათ თავს დასხმიან ხელკეტებითა და რკინის ჯოხებით შეიარაღებული აფხაზები, ექიმებმა გვითხრეს, რომ იქ ძალიან ბევრი დაშავებულია, მათ შორის მძიმედ დაშავებულნიც. დაუყოვნებლივ გავაგზავნე სანიტარული მანქანა გალში, სადაც ნათესავებთან იმყოფებოდნენ ჩვენი განყოფილების ექიმები: განყოფილების გამგე ნ. მესხია, უფროსი ორდინატორი დ. ძანძავა, ორდინატორი ვ. სექანია.

ავადმყოფთა მიღება გრძელდებოდა.

სასწრაფო დახმარების მანქანას მოჰყავდა 3-3, 4-4 დაშავებული. პირველ ორ საათში ვღებულობდით მძიმედ ტრავმირებულ ავადმყოფებს, სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობებით თავის არეში და ა. შ. დახმარების შემდეგ მათ პალატებში ვათავსებდით, შესაძლებლობის შემთხვევაში ოპერაციებს დროებით ვაყოვნებდით, რადგან ვერ ავუდიოდით დაშავებულთა მიღებას.

დაახლოებით 21 საათიდან უკვე დაჭრილები მოჰყავდათ, განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფები, აუცილებელი გამოკვლევების (რენტგენოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია) შემდეგ რეანიმაციაში აგვყავდა, სხვებს კი პალატებში, დერეფანში, კაბინეტებში თუ დამხმარე სამსახურის ოთახებში ვათავსებდით, —პალატები უკვე აღარ გვყოფნიდა. ბევრი დაშავებული უარს აცხადებდა ჰოსპიტალიზაციაზე. დაშავებულები კი განუწყვეტლივ მოჰყავდათ და მოჰყავდათ. ყველას რეგისტრაცია შეუძლებელი იყო. 15-16 ივლისს ჰოსპიტალიზებული იქნა 31 ავადმყოფი, ისინი უპირატესად ქართველები იყვნენ. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, მათ შორის სამიღა აღმოჩნდა აფხაზი ეროვნებისა. ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი კი ყველა ქართველი იყო.

22 საათისათვის მოვიდა ჩვენი განყოფილების ექიმი-რეანიმატოლოგი ნ. ხარჩილავა, რომელმაც მკითხა, ხომ არ მინახავს ექიმი გ. ჯენია, ვუპასუხე, რომ ვნახე, მაგრამ წავიდა. ჩემს თხოვნაზე, დამხმარებოდა, ხარჩილავამ უარი განმიცხადა და დამტოვა. რეანიმაციულ განყოფილებაში, ახალშემოსულთა გარდა, იყვნენ მძიმე ავადმყოფებიც, რომლებიც ინტენსიურ საექიმო მეთვალყურეობას საჭიროებდნენ. ექიმი ბ. ბ. ჩიქოვანი იძულებული შეიქნა დროებით მიეტოვებინა რეანიმაციული განყოფილება. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ მოჰყავთ ჩვენთან არაპროფილირებული ავადმყოფები, სასწრაფო დახმარების ექიმმა მიპასუხა, რომ ქალაქის მეორე საავადმყოფოში ქართველი ეროვნების ავადმყოფებს არ ღებულობენ, მათ იქ განუცხადეს, რომ ქართველები „ქართველთა" საავადმყოფოში მიიყვანეთო. ამ დროისათვის ჩვენს დასახმარებლად სხვა განყოფილებათა ექიმები მოვიდნენ, მოვიდნენ ჩვენი განყოფილეების ექთნებიც 24 საათზე მოვიდნენ ექიმები დ. ძანძავა, ვ. სექანია და ანესთეზიოლოგი ა. კოსტომანოვი, რომლებმაც განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფები გასინჯეს და სასწრაფო ოპერაციების კეთებას შეუდგნენ. მე და სხვა ექიმები კი დაშავებულთა მიღებას ვაგრძელებდით, რომელთა ნაკადი წუთითაც არ წყდებოდა. ამ დროისათვის ჩვენი განყოფილების ტერიტორია დაშავებულებითა და მათი ნათესავებით გაივსო, დაახლოებით 200 ადამიანს მოეყარა აქ თავი. პირველ დაშავებულთა მიღებისას, როცა სანიტარული მანქანის მძღოლს ვაძლევდი განკარგულებას, მე ვხედავდი თუ როგორ მიჰქროდნენ მსუბუქი მანქანები გუდაუთის რაიონის მიმართულებით, მათ შორის შავი ვოლგებიც. ნომრებს მე, რა თქმა უნდა, ყურადღებას არ ვაქცევდი, უბრალოდ, არ მეცალა ამისათვის. რამდენიმე საათის შემდეგ, კერძოდ, ღამის 01 საათიდან, ქალაქის მიმართულებით მოჰქროდნენ სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანები, რომელთა კაბინებსა და ძარაზე იჯდა შეიარაღებული ხალხი. ზოგიერთები ჩვენი კორპუსის წინ ჩერდებოდნენ და ცეცხლს უშენდნენ იქ შეგროვილ ხალხს. ერთ-ერთი ასეთი აქციისას დაიჭრა ორი ადამიანი, ორივეს ქვედა კიდურების გამჭოლი ნატყვიარი ჭრილობა ჰქონდა. მე მათ პირველი დახმარება აღმოვუჩინე და ქირურგიულ განყოფილებაში გადავიყვანე. 6 საათისათვის კორპუსის წინ გაჩერდა ავტომანქანა „ვაზ-2106", იგი გუდაუთის რაიონის მიმართულებით მიდიოდა, პირებმა, რომლებიც მასში ისხდნენ, ცეცხლი დაუშინეს ეზოში მყოფ ადამიანებს და თან ცინიკურად იღიმებოდნენ.

16 ივლისს, დილის 11-12 საათისათვის, გუდაუთის რაიონის მიმართულებით სატვირთო, მსუბუქი მანქანებისა და ავტობუსების დიდი კოლონა მიემართებოდა, მათში ისხდნენ შეიარაღებული პირები, რომლებიც ჩვენსკენ იყურებოდნენ, არაადამიანურად ხარხარებდნენ და გაიძახოდნენ: „ესეც თქვენ, ქართველებო!"..

# ისევ 15-16 ივლისის დღეების შესახებ

**ქვემოთ ვაქვეყნებთ ფრაგმენტებს 15-16 ივლისს ოჩამჩირეში მიმდინარე მოვლენების თვითმხილველთა ჩანაწერებიდან (სტილი დაცულია), რაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოჩამჩირის კომიტეტმა დიდსულოვნად შემოგვთავაზა თავისი მდიდარი არქივიდან.**

...15 ივლისს, გვიან ღამით, ოჩამჩირის შინაგან საქმეთა რაიონულმა განყოფილებამ ხიდის ჩასახერგად დიდძალ საბარგო მანქანას მოუყარა თავი მდინარე ღალიძგის პირას. ავტომობილები ჯერ-ჯერობით შეუფერხებლად მოძრაობდნენ, ხიდთან იდგა მილიციის სპეცმანქანა — „კანარეიკა", საიდანაც რაციით ლაპარაკი ისმოდა, სოხუმის ავტოინსპექციის თანამშრომლები მიმართავდნენ აფხაზეთის ავტოინსპექციის ხელმძღვანელობას, რომ გუდაუთიდან მოდის დიდი რაოდენობის ავტომანქანები, რომლებიც არ ემორჩილებიან ავტოინსპექციის თანამშრომლებს და თხოულობენ გუმისთის ხიდის გადაკეტვას და მოძრაობის შეჩერებას ორივე მიმართულებითო.

დაახლოებით 24 საათისთვის ღალიძგის ხიდზე მყოფმა მილიციის თანამშრომლებმა დაიწყეს ორივე მიმართულებით მოძრავი მანქანების მძღოლთა საბუთების შემოწმება და ვინც მუდმივი ჩაწერის მიმართულებით არ მიდიოდა, უბრძანებდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ **(ეს ღონისძიება გუმისთის ხიდზე არ გაუტარებიათ. — რედ.)** თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ხიდს მოადგა ვაზ-2109 მარკის მანქანა, რომელიც მოდიოდა სოხუმიდან. მანქანას ჩამსხვრეული ჰქონდა ჰაერსაწინააღმდეგო მინა, სამივე მგზავრი ნაცემი იყო, ისინი ამბობდნენ, რომ სოხუმში ქართველებს სცემენ განურჩევლად სქესისა და ასაკისა და მოკლულებიც არიანო. ეს ლაპარაკი რომ მოისმინეს, ხიდზე მდგარი მანქანების პატრონებმა, რომელთაც არ უშვებდნენ სოხუმის მიმართულებით, კატეგორიულად მოითხოვეს გაეშვათ სოხუმისკენ. იქ ცოლ-შვილი დაგვრჩა და თუ არ გჯერათ, მილიციის თანამშრომლები გაგვაყოლეთო, მაგრამ მათი თხოვნა ყურად არ იღეს და ეს მაშინ, როცა ამ დროისათვის გალის მიმართულებით ხიდი შეუფერხებლად გადაიარა „ჟიგულის" მარკის მანქანამ და კარგადაც დაზვერა იქაურობა. ხალხის მოთხოვნით იგი შეაჩერეს მილიციელებმა. შემოწმებისას გაირკვა, რომ მძღოლი აფხაზი ეროვნებისა იყო, ხოლო საბარგულში აღმოაჩნდა რამდენიმე სანადირო თოფი და ხელკეტი; შემოწმებისას მანქანასთან იდგა ოჩამჩირის რაიპროკურატურის თანამშრომელი ფირცხელია, მილიციის გაძლიერებულ რაზმთან ერთად, მაგრამ იარაღი არ ჩამოურთმევია და შეუფერხებლად გაუშვა. ამის შემყურე შეჩერებული მანქანების პატრონები აღშფოთდნენ, ზოგიერთი გალისკენ დაიძრა, ჩვენც მოვიყვანთ ქართველებს და მოვბრუნდებითო. ამის გაგონებაზე მილიციის თანამშრომლებმა ავტომანქანებით ჩახერგეს ხიდი სასადილო „ღალიძგასთან". დაახლოებით 01 საათსა და 30 წუთზე გალიდან მოსულმა ხალხმა (ყველა უიარაღო იყო!) გადააგორა მანქანები, გაათავისუფლა გზა და ოჩამჩირისკენ დაიძრა რამდენიმე მანქანით. როცა მიაღწიეს საკონტროლო პუნქტს, გაისმა სანადირო თოფებისა და დაკუთხვილი იარაღის სროლის ხმა. რამდენიმე წუთში ხმა გავარდა, კაცი მოკლესო (იგი ოქუმელი ნური შამათავა აღმოჩნდა). მოკლული მსუბუქ მანქანაში ჩაასვენეს და გალის მხარეს მობრუნდნენ. მას გამოჰყვა ყველა სხვა მანქანა. აქ გავიგონე, რომ ვიღაც ხანშიშესული კაცი მოუწოდებდა ყველა ქართველს, დაწყნარდით, უკან დავბრუნდეთ, ხომ ხედავთ, შეიარაღებულნი არიან და ცარიელი ხელებით ტყუილად ვერაფერს გავხდებითო. ამის შემდეგ მე გამაგზავნეს ოჩამჩირის მხარეს. აქ დავინახე უამრავი შეიარაღებული აფხაზი. დავინახე ავტოგასამართის თანამშრომელი ქალი ეთერ ბუიუკ-ოღლი, რომელმაც შეკითხვაზე, როგორაა საქმეო, აღმართა სისხლში დასვრილი ხელი და დაიძახა: „ასე უნდა დაიღვაროს ყველა ქართველის სისხლი!". ეს იყო მოკლული შამათავას სისხლი.

●

16 ივლისს, გათენებამდე რაიონის შს განყოფილების შენობას მიადგა ათასამდე აფხაზი შეიარაღებული ქვებით, ასაფეთქებელი ნივთიერებებით და მოითხოვეს იარაღის გაცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ შენობის აფეთქებითა და მილიციის თანამშრომელთა ფიზიკური განადგურებით, რაც ნაწილობრივ შეასრულეს კიდეც, ჩაამსხვრიეს ფანჯრები, კარები, შენობას წაუკიდეს ცეცხლი. ბრბოში იდგა რაიონის პროკურორი ვ. გურჯუა, რომელმაც ხმამაღლა დაიძახა, სანადირო თოფები აქ არ არის, ბანკშია შენახულიო. აფხაზებმა პირი იბრუნეს ბანკისაკენ. პროკურორმა იცოდა, ვისთან ინახებოდა გასაღები და კატეგორიულად მოსთხოვა მილიციის ამ თანამშრომელს გაეღო ბანკი, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ პროკურორმა გურჯუამ სადღაც სხვაგან ნაშოვნი გასაღებით გააღო შესასვლელი კარი, ხალხი შეიჭრა შიგნით, გატეხა იარაღის ოთახის კარი და დაიტაცა თოფები, რომლებიც ჯერ კიდევ აპრილში ჩამოერთვა მოსახლეობას. არასაუწყებო დაცვის უფროსმა შლარბამ გააღო მონკავშირის მაღაზია და ვაზნები დაურიგა აფხაზებს. მათი ნაწილი ხიდზე დარჩა, ნაწილი კი იარაღით ხელში ფეხით თუ მანქანებით მოედო ქალაქის ქუჩებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკკპ ცკ-ის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს

## ქ. სოხუმის „სასწრაფო-სამედიცინო დახმარების“ სადგურის კოლექტივებისაგან

პატივცემულო მიხეილ სერგის ძევ!

თქვენ, რასაკვირველია, უკვე იცით და გაშფოთებთ ის ტრაგიკული მოვლენები, აფხაზეთში რომ დატრიალდა. ისინი მწარე ტკივილად შევიდნენ ამ არეულობის მონაწილეთა სულსა და გულში, დიდად იმოქმედეს მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ჩვენ დღემდე განვიცდით ამ მოვლენებს. განსაკუთრებით გულსატკენია ის, რომ ადგილი აქვს მცდელობებს, მათი საშუალებით ჩრდილი მიაყენონ ქართველი ხალხის რეპუტაციასა და მორალურ სახეს, რომლის მიმართაც თქვენ, თქვენსავე მიმართვაში, ასეთი თბილი სიტყვები გამოთქვით.

რასაკვირველია, ჩვენს შორისაც არიან ადამიანები, რომლებიც უკიდურეს პოზიციებზე დგანან, არ ესმით „პერესტროიკისა“ და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების არსი, მაგრამ მთელმა ქართველმა ხალხმა მთელი გულით მიიღო ის სასიკეთო ცვლილებები, რომლებსაც თქვენს სახელს, სკკპ კურსს უკავშირებენ და მზად არიან ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რათა ეს კურსი წარმატებით დაგვირგვინდეს.

ახლა მიმდინარეობს აფხაზეთის მოვლენების გამოძიება. ჩვენი ერთადერთი თხოვნაა, რომ იგი იქნეს ობიექტური და სამართლიანი.

ბევრი შიშობს, რომ, როგორც ადრე ხდებოდა, არც ახლა გამომჟღავნდება სიმართლე და მსხვერპლნი და დამნაშავენი დაახლოებით თანასწორ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს, მედიცინის მუშაკთა ჩვენებას, მედიცინის მუშაკთა, რომლებიც თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ, — სამედიცინო დახმარებას უწევდნენ დაშავებულებს მათი ეროვნების მიუხედავად. მაშინ ჩვენ სერიოზულ, თითქმის გადაულახავ სიძნელეებს წავაწყდით, თვალნათლივ ვნახეთ თუ რა საშიშია გამხეცებული ბრბო, რომელიც ფეხქვეშ თელავს ადამიანურობის კანონებს. ჩვენ ვერასოდეს დავივიწყებთ იმ სახეებს, რომელთა გამომეტყველება აშკარა სიძულვილით იყო გაჟღენთილი, იმ ბინძურ გინებას საერთოდ ქართველების და მუქარას ჩვენს მიმართ. გვემუქრებოდნენ, რომ დაგვხოცავდნენ არა მარტო ჩვენ, არამედ დაჭრილებსაც, დახმარებას რომ ვუწევდით, ვიმეორებთ, ეროვნების მიუხედავად. ავადმყოფები გვიამბობდნენ, რომ მათ სცემდნენ და ხოცავდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ქართველები იყვნენ, ზოგი იმასაც ამბობდა, რომ შინაგან საქმეთა განყოფილებებში არ სურდათ ფაქტების ფიქსირებაც კი.

განსაკუთრებით შემზარავი მდგომარეობა იყო პირველ საშუალო სკოლასთან, სადაც თსუ სოხუმის ფილიალი მდებარეობდა, გაიმართა საშინელი ხოცვა-ჟლეტა, დაარბიეს შენობა, სასწრაფო დახმარების მანქანებს ალყა შემოარტყა ძალაყინებითა და ქვებით შეიარაღებულმა ხალხმა, აბუჩად იგდებდნენ ექიმებს, ტანზე ახევდნენ ხალათებს. მძღოლები მანქანებიდან გამოჰყავდათ და ემუქრებოდნენ, ერთი ლამის დაახრჩეს კიდეც და უკრძალავდნენ დაზარალებულთა გადაყვანას სტაციონარებში, თუკი ისინი ქართველები იქნებოდნენ. შემთხვევის ადგილიდან საგანგაშო სიგნალები მოდიოდა. როცა გაიგეს, რომ ერთი ექთანი ქართველი იყო, მოითხოვეს მოეკლათ. მილიციელმა, რომელიც იქვე იდგა, დახლოებით ასეთი რამ თქვა: „გაუშვით, მაგრამ თუკი იგი ქართველებს გამოიყვანს, მოკალით ყველასთან ერთად“.

როგორც ცნობილია, ჟენევის კონვენციის თანახმად, მედიცინის მუშაკებზე თავდასხმა უდრის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს. გვებადება კითხვა: ვინ აღზარდა ეს სიძულვილი, სად იყვნენ პარტიული ორგანიზაციები, იდეოლოგიური სამსახური, რომელიც პირდაპირ პასუხისმგებელია საზოგადოების მორალური მდგომარეობისათვის?

განა მომხდარმა თვალნათლივ არ გვაჩვენა, რა დონეზეა ჩვენში იდეოლოგიური სამსახური, მათ შორის ინტერნაციონალისტური აღზრდის დარგშიც? როგორ შეიძლება ეს შევათავსოთ იმასთან, რომ იდეოლოგიური სამსახურის პასუხისმგებელი პირი დამყაყების პერიოდში (ასე ვუწოდოთ „უძრაობის პერიოდად“ მონათლულ წლებს), აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, „პერესტროიკის“ წლებში იდეოლოგიური მუშაობის განმგებელი, რაღაც მანქანების წყალობით, ამ მოვლენების შემდეგ, ამ იდეოლოგიური მუშაობის კრახის შემდეგ პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნად გვევლინება იმავე იდეოლოგიის დარგში.

სამწუხაროდ, ნაციონალიზმის სიბინძურე შეეხო ჩვენს კოლეგებსაც. ქ. სოხუმის ქალაქის მეორე საავადმყოფოში, სადაც იმ ღამეს აფხაზი ექიმები მორიგეობდნენ, მისაღებში ასეთი რამ გავიგონეთ: „თქვენი ქართველები ქართველებთან წაიყვანეთო“. ქალაქის პირველი საავადმყოფოდან, სადაც ქართველი ექიმები მორიგეობდნენ, მძიმედ დაჭრილების მიყვანის შემდეგ უკან გამობრუნება ვერ შევძელით, — შენობა შეიარაღებული ხალხით იყო გარშემორტყმული, ამასობაში კი ქართველი ექიმები ოპერაციას უკეთებდნენ აფხაზებს და საკუთარ სისხლს აძლევდნენ მათ, — ერთი სიტყვით, თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ, სხვანაირად ისინი ვერა და არც მოიქცეოდნენ.

მსგავსი სიტუაცია შეიქმნა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც დილის სამიდან ხუთ საათამდე ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულმა ხულიგნებმა დააკავეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ოთხი ბრიგადა. კარებში იდგა „კამაზის“ მარკის ავტომანქანა, საიდანაც ცეცხლს უშენდნენ სასწრაფო დახმარების მანქანებს საავადმყოფოდან გამოსვლის მცდელობისას, ისმოდა უშვერი გინება ქართველების მისამართით. როცა ექიმებმა აფხაზეთის ამ სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელს თარბას მიმართეს დახმარებისათვის, მან განაცხადა: „მე მილიციელი არ ვარ, ხანშიშესული კაცი ვარ და რისკზე წასვლას არ ვაპირებ. იქ დაიცდუპონ, დილისათვის შეგვპირდნენ არმიას და ისინი ყველაფერში გაერკვევიან“-ო, ამ დროს იგი ყავას მიირთმევდა. სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი აფხაზი, როგორც ჩანდა, არათანამდებობის პირები, მაინც მოდიოდნენ და ერთგულად გვეხმარებოდნენ ჩვენი ადამიანური ვალის შესრულებაში.

იმ საღამოს ბევრი დაიჭრა. ზოგიერთნი სადარბაზოებში იმალებოდნენ, სხვები ბუჩქებში თუ საგაზეთო ჯიხურების უკან და როგორც კი ქართულ საუბარს გაიგონებდნენ, შველას ითხოვდნენ.

ბრიგადებს საოცრად მძიმე პირობებში მოუწიათ მუშაობა. წითელჯვრიანი მანქანები ხშირად იქცეოდნენ სროლის სამიზნედ, გვემუქრებოდნენ, რომ სიცოცხლეს გამოგვასალმებდნენ, თუკი ქართველებს აღმოვუჩენდით დახმარებას. ასეთი ატმოსფერო სუფევდა ქალაქში.

ყველაფერ ამის მიუხედავად, სასწრაფო დახმარების მანქანების საშუალებით, ქალაქის სტაციონარებში მოვათავსეთ დაახლოებით 400-მდე დაჭრილი, მორგში გადავიტანეთ 8 გვამი. დაშავებულთა 95%-ი ქართველები იყვნენ.

ძვირფასო მიხეილ სერგის ძევ!

ნებისმიერი ადამიანი დაგვეთანხმება, რომ ეს არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მოხდა. იმისათვის, რომ მსგავსი რამ არ განმეორდეს, აუცილებელია, გავერკვეთ იმ მიზეზებში, რომელმაც აქამდე მიგვიყვანა.

გარწმუნებთ, რომ ყველა ჩვენგანს, მიუხედავად მომხდარისა, იმედი აქვს, აღსდგება სამართლიანობა. ჩვენი მხრივ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში გარდაქმნის საქმემ გაიმარჯვოს.

ქ. სოხუმის „სასწრაფო დახმარების“ სადგურის კოლექტივი, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა, სულ 30 ხელმოწერა.

---

## სიცრუე და ორპირობა

# ორი სკამიდან... მესამე სკამზე

ჩვენს საუკუნეში ცოტა რამ თუ რჩება უცვლელი. ყველაფერი იცვლება და, მით უფრო, იცვლებიან ადამიანები. ჯერ იყო და, ძეხორციელი, სკამი რაა, ერთ სკამსაც კი ვერ ეგუებოდა. თავისუფლება უყვარდა და ტყე-ველ ნავარდი. მაგრამ მერე ისე შეუყვარდა სკამი, რომ ზოგჯერ ერთს კი არა, ორსაც არ სჯერდებოდა, მით უფრო, როცა ამ სკამს თან მრავალი დაუმსახურებელი სიკეთეც ახლდა.

...და ჩვენც სწორედ აქა ვართ!.. როცა დაუმსახურებელ სიკეთეს ანიჭებს ადამიანს სავარძელი, შიშობს, არ დაკარგოს იგი და იწყებს მონაცვლეობას ერთი სავარძლიდან მეორეში და ზოგჯერ ორივეში ერთად ცდილობს მოკალათდეს.

უფრო ნათლად რომ ვთქვათ სათქმელი, დღეს ერთს ამბობს, ხვალ — მეორეს და ზეგ კიდევ — მესამეს. ჩემთან — თეთრია, შენთან — შავი, მასთან — ყავისფერი.

ასეთი ფერიცვალება და მონაცვლეობა განსაკუთრებით მოდაში გახლავთ აფხაზეთში. მსგავს სუბიექტთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს აფხაზეთის ასსრ ტელერადიოგადაცემათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შამილ ჰუსეინის ძე ფილია.

უფრო დაწვრილებით: უკვე ათ წელზე მეტია, რაც აფხაზეთში მიმდინარეობს ტელეგადაცემები მხოლოდ აფხაზურ ენაზე. გვეგონა, რომ ეს სიკეთე აფხაზ ხალხთან ერთად შეიძლებოდა გაენაწილებინათ და სამართლიანადაც (ქართულ და რუსულ ენებზე) აფხაზეთის კანონიერ მცხოვრებლებს, ქართველებსა და სხვა ეროვნების ხალხებს, რომლებიც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ.

ამის შესახებ არაერთხელ მიმართა აფხაზეთის საზოგადოებრიობამ ზემდგომ ორგანოებს.

და, აი, როგორც იყო, ეს მეტად მტკივნეული საკითხი გადაწყვეტის პრიზმაში მოექცა: საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შედგა საქმიანი თათბირი, რომელზეც შემუშავდა და დაისახა კონკრეტული საკითხები. თათბირში აქტიური მონაწილეობა მიიღო თვით შამილ ფილიამ. მან მხურვალედ დაუჭირა მხარი, რომ აფხაზეთში ტელეგადაცემები, მსგავსად რადიოგადაცემისა, მიმდინარეობდეს აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე. იგი ესაუბრა და შეუთანხმა მთელი რიგი საკითხებისა საქართველოს ტელერადიოკომიტეტის ხელმძღვანელობას.

საქართველოს კომპარტიის ცკ განყოფილების გამგე ვაჟა ლორთქიფანიძე პირადად დაუკავშირდა და ესაუბრა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ვლადიმერ ხიშბას, სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებს, ხოლო საქართველოს კომპარტიის ცკ 15 ივნისის ბიუროს სხდომაზე, სადაც ზემოთ აღნიშნული საკითხი იხილებოდა, შამილ ფილიასთან ერთად მიწვეულ იქნა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, მაშინდელი თავმჯდომარე ოთარ ზუხბაია.

აქ საკამათო არაფერი იყო: მოსახლეობას, რომლის შრომითი წილი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 80%-ზე მეტს შეადგენს, რეგიონის ეკონომიკური და კულტურული განვითარების პერსპექტივაც უნდა შეეხოს. ბიუროს სხდომაზე გადაწყდა, რომ მიმდინარე წლის IV კვარტლიდან აფხაზეთში ორგანიზებულიყო ტელეგადაცემები ქართულ და რუსულ ენებზე.

ამ ერთი შეხედვით კეთილ, უწყინარ და სამართლიან დადგენილებას მხურვალედ (ეს უკვე მეორე გზის) მხარი დაუჭირა და ბიუროს სხდომაზე მადლიერების სიტყვაც წარმოთქვა აფხაზეთის ტელერადიოგადაცემათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ შამილ ფილიამ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს იყო წლეულს, 15 ივნისს.

და, აი, ამ დადგენილებიდან ჩვიდმეტიოდე დღის შემდეგ, 2 ივლისს გამოდის აფხაზეთის სახალხო ფორუმის გაზეთი „აიდგილარა“, სადაც ამავე ფორუმის თავმჯდომარის ა. გოგუას, მისი მოადგილის ი. მარხოლიას და თვით შ. ფილიას ხელმოწერით დაბეჭდეს მიმართვა სკკპ ცკ მდივნის ვ. მედვედევის, სსრკ სახელმწიფო ტელერადიკომიტეტის თავმჯდომარე მ. ნენაშევის და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ხიშბას მისამართით, რომელშიც თეთრზე შავით ვკითხულობთ, რომ:

«Данное решение вызвало озабоченность среди широких слоев населения Абхазской АССР... что в Абхазии под угрозой размежевания по национальному признаку находятся практически все творческие организации и идеологические учреждения»...

თურმე ნუ იტყვით, მოსახლეობის 46%-მა რომ თავის მშობლიურ ენაზე გადაცემა მოითხოვოს, ეს მიზეზია „რზაბოჩენნოსტის“ და იწვევს ეროვნული ნიშნის მიხედვით დანაწილებასა და დაყოფას. იქნებ ამ ვაჟბატონების პრინციპით, ქართული რადიოგადაცემაც უნდა გააუქმონ აფხაზეთში? იქნებ ქართული სკოლები, ქართული უმაღლესი სასწავლებლები და ფაკულტეტები დახურონ და ერთენოვან, ერთსახოვან, ერთფეროვან „ყაზარმებში“ მოვათავსოთ ყველა ქართველი ბავშვი და ახალგაზრდა, როგორც ეს კომუნიზმის დროს წარმოედგინა ზოგიერთ ვაი-მარქსისტს?!.

თუმცა კარგად რომ ჩავუკვირდეთ, ეს მოლიდერო ელემენტები, თითქოსდა ეროვნული მოძრაობის დროშით რომ გამოდიან, არც თუ მთლად შეფარვით სწორედ ასეთი „ყაზარმული“ გაერთფეროვნებისა და გაერთეროვნების ლოზუნგებით გაჰყვირიან და ჩვენს, აფხაზეთის ქართველების, ბედსაც ხელის ერთი მოსმით წყვეტენ:

«У сложившейся ситуации подавляющая часть населения Абхазии мечтает оптимальным развитие Абхазского телевидения на принципах двуязычия (абхазском, русском), при этом учитывается тот фактор, что русский язык в многонациональной автономной республике является единственным языком, выражающим интересы всех населяющих ее народов».

ალბათ, მიმიხვდი, მკითხველო, საითაც უკაკუნებენ ეს ვაჟბატონები: ოღონდ ქართული გადაცემები არ იქნეს ორგანიზებული აფხაზეთში და, თუ გნებავთ, ჩვენს მშობლიურ, აფხაზურ ენაზეც უარს ვიტყვით და რუსულად ვიჭიკჭიკებთო.

თუმცა ისინი ამას ისედაც აკეთებენ, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, აფხაზეთის მოსახლეობის 46%-ს, რატომ არ გვეკითხებიან, თანახმა ვართ თუ არა, ისეთი ძვირფასი ზვარაკის გაღებაზე, რასაც მშობლიური ენა ჰქვია, ან აფხაზი ხალხი თუ არის თანახმა, დაივიწყოს თავისი ენა და სხვათა და სხვათა ენაზე იჭიკჭიკოს ამ ენაგაკრეფილი ვაჟბატონების რჩევით?!.

და მაინც, ამჟამად ჩვენი საუბრის თემა ის არის, რომ ამ „საჩივარ-მიმართვაში“ საკითხი ისე არის წარმოჩენილი, თითქოს საქართველოს კომპარტიის ცკ ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ წინასწარ არაფერი იცოდა აფხაზეთის ოფიციოზმა და არც თვით შამილ ფილიამ.

რა არის ეს, გულმავიწყობა თუ... ორპირობა?!.

თუ გავიხსენებთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ თათბირსა და ბიუროს სხდომაზე შ. ფილია აღნიშნულ დადგენილებას მხურვალედ უჭერდა მხარს, სიტყვითაც გამოვიდა, იქ სხვას გაიძახოდა და აქ, „აიდგილარას“ ფურცლებზე, სხვას გაიძახის, მისი საქციელისათვის სახელის შერქმევა მკითხველს არ გაუჭირდება.

იქნებ ბატონ შამილს რუსთაველი შევახსენოთ: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ და ორ სკამზე მჯდომი თავმჯდომარე, იქნებ მესამე სკამზე გადაბრძანდეს?!.

რაც შეეხება ტელეგადაცემათა ქართულ და რუსულ ენებზე ორგანიზაციას აფხაზეთიდან, ეს საკითხი „მიმართვის“ ავტორებმა ითხოვეს ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციაში დარჩენილიყო. არ ვიცით, დაუჯერეს თუ არა წერილის ავტორებს ადრესატებმა, მაგრამ ერთი კი ცხადია: საქართველოს კომპარტიის ცკ ბიუროს დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის დღემდე არაფერი გაკეთებულა.

**ფილუ ფულარია**

---

# „ინციდენტი“ ანუ თავდასხმა

19 ივნისს, ქალაქ სოხუმის XV პარტყრილობის სახელობის ტურისტულ ბაზაში თავს დაესხნენ პლაჟის გამგეს აფრასიძეს.

18 ივლისს ტურბაზის ტერიტორიაზე ძალით ცდილობდა შესვლას ორი მთვრალი ახალგაზრდა აფსუა. დარაჯმა და აფრასიძემ ეს ხულიგნები ტურბაზის ტერიტორიაზე არ შეუშვეს. მეორე დღეს, საღამოს 6 საათზე, ტურბაზას მოადგა 60 კაცი. მათ შორის მილიციის ოფიცერი შოუა. მან აფრასიძე გაიძახა გარეთ, ფიზიკური ძალის გამოყენებით შეაგდეს მანქანაში. აფრასიძემ შეძლო თავდამსხმელებს დასხლტომოდა და ტურბაზის ტერიტორიაზე შესულიყო, მაგრამ ბრბო დაედევნა, დაიჭირეს და სასტიკად სცემეს. მილიცია მოვიდა, არავინ დაუჭერიათ. ეს თავდასხმა ჩათვალეს ბიჭების ჩხუბად, რომლებიც გასართობად არ შეუშვეს ტურბაზის ტერიტორიაზე. გამოძიებას აწარმოებენ ბერულავა და ბარკალაია მეტად ტენდენციურად.

ცნობისათვის: ტურბაზაში გამეფებულია ქართული ეროვნული სული. თავდასხმაც დაშინების, შურისძიების მიზნით მოხდა.

მესამე წელია აფხაზეთში ცხოვრობს დამეწყრილი სვანების 100 ოჯახი, რომლებიც საკარმიდამო ნაკვეთებს ამაოდ ითხოვენ. აფსუები სასტიკად ეწინააღმდეგებიან ქართველთა აფხაზეთში დასახლებას მაშინ, როდესაც სომხებს, რუსებს და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს სიხარულით ურიგებენ ქართულ მიწებს.

ქ. სოხუმი
21. 06. 89 წ.
გაზეთი „ერთიანი საქართველო“

**შენიშვნა:** ეს სწორედ ის შოუაა, რომელიც იარაღით ხელში მონაწილეობდა 15-16 ივლისის სისხლიან აქციებში და დღეს უკვე სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის შს სამინისტროს სისტემაში ერთი და ორი შოუა როდი აღმოჩნდა.

რეპორტაჟი

# მოლბერტთან... ღია ცის ქვეშ

ქალაქ სოხუმში, ფრუნზესა და ოქტომბრის ქუჩების გადაკვეთაზე, გამვლელს თვალში მოხვდება ლამაზი ნაგებობა. თვალსაჩინო ეს სახლი ადრე ცნობილი იყო, როგორც შემოქმედებითი კავშირების შენობა, სადაც ერთ ჭერქვეშ ილვწოდნენ ქართველები, აფხაზები, სხვა ეროვნების წარმომადგენლები. დღეს ამ შენობას შორიდან თუ ჩაუვლის საქმეში ჩახედული კაცი, რადგან იგი ანტიქართული მოძრაობის ბუდედაა ცნობილი... და არცთუ უსაფუძვლოდ. სწორედ აქ უდევს შტაბბინა აფხაზეთის სახალხო ფორუმ „აიდგილარას", აქვეა აფხაზეთის მწერალთა კავშირი, მხატვართა კავშირი და სხვა შემოქმედებითი ორგანიზაციები (ბუნებრივია, ისინი „აიდგილარას" მიერ მოწოდებული რეცეპტებით წარმართავენ „აფხაზური მოძრაობის" გეზსა და მიმართულებას).

შემოქმედებითი კავშირების სახლზეა საუბარი... პირუთვნელად შეიძლება ითქვას, რომ 15-16 ივლისის გაუგონარ ვანდალიზმამდეც და მას შემდეგაც, ამ სახლში ყველაფერი კეთდებოდა... შემოქმედების გარდა.

აქ დაბუდებულმა განუკითხაობამ აიძულა ქართველი მწერლები გასულიყვნენ შენობიდან და სხვაგან ეძებნათ კანონიერი ჭერი. მადლობა ღმერთს, საზოგადოების საერთო ძალისხმევით ეს საქმე დადებითად მოგვარდა.

ამჟერად ქართველი მხატვრები აღმოჩნდით სავალალო მდგომარეობაში. დამცირებული, აბუჩად აგდებული ქართველი მხატვრები ქუჩაში თუ ვხვდებით ერთმანეთს. მაინც კონკრეტულად ვინაა გამთიშველი, ერთა შორის შუღლის მთესველი? — იკითხავს ცნობისმოყვარე და ჩვენც პირდაპირ დავუსახელებთ. ესენი არიან საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული მხატვრის წოდებით „დამშვენებული" მარინე ეშბა, ვალერი გამგია, ხუტა ავიძბა, ტარიელ ამპარი, ვალენტინა ხურხუმალი, ზოია ჯინჯოლია... მათ ენერგიულად ამოუდგნენ მხარში მხატვართა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებიც. ამათგან უმეტესობას თბილისის სამხატვრო აკადემია აქვს დამთავრებული. ამ ხალხს თავკაცობს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე სერგო გაბელია. ეს ის კაცია, რომელიც ქართულს შესანიშნავად ფლობს და თბილისში ჩასული, ზოგიერთი ვაი-აფხაზივით ძმობა-მეგობრობაზე დებს თავს, ხოლო სოხუმში მობრუნებული ეროვნებათშორის ცეცხლის გამჩაღებელია. ეს ის გაბელიაა, ივლისის ტრაგედიის პირველ დღეებში მხატვართა კავშირში ჩემთან საუბარიც რომ არ ისურვა და გაოგნებულს მომახალა: „შენ მადლობა თქვი, რომ ჩემს მიწაზე დღეს ცოცხალი დაიარები!"..

აქამდე მიგვიყვანა დათმობის პოლიტიკამ და საკუთარმავე უგერგილობამ. ალბათ მართალნი არიან ის აფხაზები, რომლებიც ამბობენ: „ეტი ნი ტე აბხაზცი". უთუოდ ასეთებში უნდა ვიგულისხმოთ გაბელიები, გამგიები, ჩხეიძეები, კვარაცხელიები, მიქავები, კარაოღლები, ჰკადუები, ოზგანები, ისკანდერები, და ბოლოს ჩემი მოგვარეები — ქაჯაიებიც...

ახლა კი, სტატისტიკის მოხმობით, იმ სრულ განუკითხაობასაც გადავავლოთ თვალი, რომელიც აფხაზეთის მხატვართა კავშირის ორგანიზაციაში სუფევს.

აფხაზეთის მხატვართა კავშირში აღრიცხვაზეა ასზე მეტი მხატვარი. აქედან 42 აფხაზია, 37 ქართველი, 21 სხვადასხვა ეროვნებისაა. სსრკ მხატვართა კავშირის წევრია 66. აქედან 30 აფხაზი (ესეც პრივილეგიებით), 18 ქართველი, 16 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი. მხატვართა კავშირის გამგეობაში 9 კაცია გაერთიანებული. აქედან 8 აფხაზია, ერთი რუსი და არც ერთი ქართველი (ნუ გვიწყენს ქალბატონი ოლგა ბრენდელი, ის გამგეობაში ოქმების რუსულად გამფორმებლადაა შეყვანილი). საქართველოს სსრ დამსახურებული 11 მხატვრიდან 7 აფხაზია, 3 ქართველი, 1 რუსი. აფხაზეთის ასსრ დამსახურებული 8 მხატვრიდან 4 აფხაზია, 2 ქართველი, 1 რუსი, 1 უკრაინელი. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეა ორი და ორივე აფხაზი. აფხაზეთის ასსრ გულიას სახელობის პრემიის 6 ლაურეატიდან 5 აფხაზია, ერთი ქართველი.

ახლა სხვა მონაცემებსაც გადავხედოთ:

1987 წელს კულტურის სამინისტრომ შეისყიდა 13850 მანეთის აფხაზი მხატვრების ნამუშევრები, 2400 მანეთის სხვადასხვა ეროვნების და 800 მანეთის მხოლოდ ქართველის.

1988 წელს შესყიდულ იქნა აფხაზი მხატვრების ნამუშევრები 9400 მანეთის ოდენობის, 2200 მანეთის ქართველის, 1000 მანეთის სხვა ერის წარმომადგენლის.

1989 წელს საშემოდგომო გამოფენიდან მარტო გუდაუთის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონების რაიკომის მდივნებმა ოზგანმა, ბაგაფშმა, ხვარცკიამ მაშინდელი საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბ. ადლეიბას მითითებით შეისყიდეს 44420 მანეთის აფხაზი მხატვრების ნამუშევრები, 6171 მანეთის სხვადასხვა ეროვნების და არც ერთი — ქართველის.

საცხოვრებელი ბინები — აფხაზ მხატვრებს, მიწის ნაკვეთები სახელოსნოებისათვის — აფხაზ მხატვრებს, უცხოეთში მოგზაურობა — აფხაზ მხატვრებს, შემოქმედებითი მივლინებები საზღვარგარეთ — მათ, მსუბუქი ავტომანქანები — მათ, წოდებების მინიჭება და ლაურეატობა — მათ, სამხატვრო ტექნიკუმში ხელმძღვანელობა — მათ, მატერიალური დახმარებები — მათ, ლიმიტები სამხატვრო აკადემიაში — მათ, მხოლოდ და მხოლოდ მათ.

ქართველი მხატვრის ადგილი მოლბერტთან დარჩა... ოღონდ ღია ცის ქვეშ. არავის ადარდებს გაწვიმს თუ გათოვს, გშია თუ გწყურია...

დანარჩენის განსჯა შენთვის მოგვინდვია, პირუთვნელო მკითხველო!...

**დოდო ქაჯაია**

სსრკ მხატვართა კავშირის წევრი



# ეშმაკი თავდაყირა დადის

მართლაც უპრეცედენტო მოვლენების და ამ მოვლენათა განვითარების მოწმენი ვხდებით. აფხაზეთის 15-16 ივლისის ტრაგიკული ამბების შემდეგ, რომელმაც, პირდაპირ რომ ვთქვათ, 30-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და რომლის ორგანიზატორები და მთავარი მოქმედი პირები აფსუა-ექსტრემისტები გახლდნენ, მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის მზადყოფნისა და მონანიების ნაცვლად გაღმა შედავების პოლიტიკა აირჩიეს. თუმც რატომაც არა, როცა კანონი არ კანონობს, ან იგი თვით მკვლელთა და ინსპირატორთა ხელთაა, ყველაფერი პირუკუ გამოიყურება.

და აი, მგლოვიარე ქართველი ხალხის პროტესტისა და წყევლა-კრულვის ნაცვლად თვით მკვლელებმა და მათმა წარმომადგენლებმა წამოიწყეს აქციები. მართლაც, რომ იტყვიან, ეშმაკი თავდაყირა დადისო, ამის დასტური იყო ის, რომ სოხუმში, გუდაუთაში, გაგრაში, ტყვარჩელსა და ბიჭვინთაში თვით აფხაზმა ექსტრემისტებმა გამოაცხადეს გაფიცვები, რომელსაც ზედ შიმშილობაც მიაყოლეს.

მართალი რომ ვთქვათ, აბა, რომელი ბოროტმოქმედი და მკვლელი გინახავთ, გაიძახოდეს, ბოროტმოქმედი და მკვლელი ვარო. გარდა ამისა, ციხეში ჯდომასა და კოლონიებში გამწესებას განა თეატრებისა და კინოთეატრების კომფორტაბელურ დარბაზებსა და ფოიეში წამოწოლა არ სჯობს?!

...და ასედაც მოიქცნენ აფსუა ექსტრემისტები.

და ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ კეთდებოდა, რომ ხელი შეეშალათ და შეუშალონ სამართალდამცვით ორგანოებს სიმართლის დადგენაში, რომ მკაცრ სასჯელს აეცდინონ ის ხელმძღვანელი აფსუა დამნაშავეები, რომლებიც აშკარად და აქტიურად მონაწილეობდნენ ივლისის სისხლიან აქციებში.

დიახ, ეს ყველაფერი მიგვითითებს, რომ აქციები აფხაზეთში „ზემოდან" იყო ორგანიზებული და ნაკარნახევი.

როგორც იყო, ივლისის ტრაგიკული მოვლენებით გაოგნებული და დამწუხრებული აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა გონზე მოდის და 26 ოქტომბრისათვის თბილისში თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმთან სხდებიან მთელი აფხაზეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. პეტიციაში, რომლითაც მათ საქართველოს მთავრობას უნდობლობა გამოუცხადეს და სრულიად საქართველოს საზოგადოებას მიმართეს, ლაპარაკია იმ უმოქმედობაზე, რაც ასე აშკარად აშფოთებს და მოთმინებას უკარგავს ყველა კეთილშობილ ადამიანს, რასაც იჩენენ 15-16 ივლისის ტრაგიკული ამბების დამნაშავეთა მხილებასა და დასჯაში, აფხაზეთის საკადრო პოლიტიკაში. ყოველივე ეს კი აფხაზ ექსტრემისტებს კვლავინდებურად საშუალებას აძლევს დისკრიმინაცია გაუწიოს აფხაზეთის ქართველ მოსახლეობას, კვლავ მეფობდეს აფხაზეთში უკანონობა და განუკითხაობა. პეტიციას ხელს აწერენ არა მარტო ქართველი ეროვნების წარმომადგენლები, არამედ რუსები, სომხები და თვით აფხაზებიც კი.

და ეს ლოგიკურია, რადგან აფხაზი ექსტრემისტები იბრძვიან არა აფხაზი ხალხის ინტერესებისათვის, არამედ ერთი მუჭა პრივილეგირებული აფსუა-სეპარატისტების ინტერესებისა და კარიერისათვის.

მჯდომარე გაფიცვის მონაწილეები (მათ შორის ორი აფხაზიც გახლდათ) მოითხოვდნენ პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მიეცეს 15-16 ივლისის სისხლიან აქციას, საკადრო პოლიტიკის კარდინალურ გადასინჯვას, აფხაზ ექსტრემისტულ დაჯგუფებათა განიარაღებას.

29 ოქტომბერს კინოს სახლთან სახალხო ფრონტის ინიციატივით გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელმაც მიმოიხილა რესპუბლიკაში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. მომიტინგენი მოითხოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის სასწრაფოდ მოწვევას. მიტინგის მონაწილეები ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და წმიდა ილია მართლის საზოგადოების ლიდერებთან ერთად გაემართნენ მთავრობის სასახლისაკენ და იქვე დაიწყეს საპროტესტო მჯდომარე აქცია. მათ შემოუერთდნენ საქართველოში არსებული ყველა პარტიის წარმომადგენლები და დაჯგუფებანი. აქვე აღსდგა ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი. მთავრობის სასახლის წინ მჯდომარე აქციას შემოუერთდნენ აფხაზეთის საზოგადოებრიობისა და ქართველ წვევამდელთა წარმომადგენლები,

აღსანიშნავია, რომ 31 ოქტომბერს, 1 და 3 ნოემბერს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი შეხვდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, სადაც დაისვა საკითხი 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის ფაქტისა და, რომ საყოველთაო-სახალხო გამოკითხვის — რეფერენდუმის გზით უნდა დადგინდეს, სურს თუ არა საქართველოს კანონიერ მოსახლეობას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ამ საკითხის დაყენება საერთაშორისო საზოგადოებრივი, სამართებლივი თუ პოლიტიკური ორგანიზაციების წინაშე.

აფხაზეთის საზოგადოებრიობის მჯდომარე აქციების მონაწილეებმა ძმებმა ვახტანგ და ბესიკ ჯოლოხავებმა ჩვენთან საუბრისას განაცხადეს, რომ აფხაზეთსა და ამასთან ერთად სამაჩაბლოშიც ეთნოკრიზისული მდგომარეობა კვლავაც დაძაბულია. როგორც ჩანს, საქართველოს ამ ორი რეგიონის უკანასკნელდროინდელი გამუდმებული შფოთი და პროვოკაციები საერთო ხელწერისაა, კარგადაცაა დაგეგმილი — ვის მიერ, ალბათ ყველასთვის ცხადია. მაგრამ სიმართლე სიმართლეა და მას წინ ვერაფერი და ვერავინ აღუდგება. ეს არაერთხელ დაამტკიცა ისტორიამ და კვლავაც დაამტკიცებს. მოთხოვნები, რომლებიც ჩვენ საქართველოს პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლებს წავუყენეთ, დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს, რადგან ამაზეა დამოკიდებული არა მარტო ჩვენი, არამედ მათი ხვალინდელი დღეც.

**ბიძინა ბარდაველიძე**

# ДЕЙСТВИТЕЛЬНО ЛИ...

**ПИСЬМО В РЕДАКЦИЮ ЖУРНАЛА «ОГОНЕК»**

В Вашем журнале (№ 46 за 1989 год) опубликована интересная статья Льва Копелева «Вопрос без ответа». В ней речь идет о грубейших извращениях и без того неправильной национальной политики партии. Перечислив народы, выселенные полностью или частично из родных мест (не названы грузины, греки и другие), автор добавляет: «А в 1953 году предстояло выселение евреев и абхазов». Можно предположить, что в тоталитарном, неправовом государстве, где правили тираны, такой преступный план мог в принципе появиться. Во всяком случае, соображения морали, справедливости или какой-то еще там законности не помешали бы тогдашним правителям совершить в интересах ныне осужденной, но пока не полностью отброшенной политической системы очередное тягчайшее преступление.

Грузинский народ сполна испытавший все ужасы чудовищных репрессий, чуть ли не с начала своего существования ведущий освободительную борьбу против разного рода поработителей, до глубины души оскорбленный сегодня вероломным предательством «старших» и «младших» братьев, оклеветанный стараниями центральной прессы, близко к сердцу воспринимает страдания любого народа, в том числе, конечно, еврейского, представители которого около 26-ти веков жили с нами дружно (и сейчас многие живут), сохранив искреннюю любовь ко всему грузинскому и после возвращения на свою настоящую, историческую Родину.

Мы, разумеется, не можем равнодушно относиться к судьбе не по своей воле и не в собственных интересах враждующего теперь с нами, жестоко обманутого внешними и внутренними темными силами, благородного и излишне доверчивого, многострадального абхазского народа, с которым более двух тысяч лет жили на одной земле, как настоящие братья, разделяя радость и горе. В известный период он на самом деле пострадал не меньше других народов СССР. Но все же в 1953 г. действительно ли предстояло переселение абхазов? Кто принял такое страшное решение? Чем оно мотивировалось? Кто его отменил? Вот «ВОПРОСЫ», которых, надеемся, редакция и сам Л. Копелев «БЕЗ ОТВЕТА» не оставят. Они имеют принципиальное значение. Дело в том, что слухи о якобы существовавших планах переселения абзахов давно муссируется определенными кругами для разжигания националистическ и х страстей. Абхазскому народу сегодня почти не напоминают (и правильно делают), что не мифическое, а реальное, массовое переселение в Турцию, имевшее катастрофические последствия, устроили ему русский царизм и переродившаяся (отуреченная) часть собственной феодальной знати (денационализированная часть собственного народа всегда опаснее самых худших врагов), зато довольно часто говорят о «предстоящем», но фактически не имевшем место переселении, всерьез рассказывают даже о присланном сюда для отправки людей товарном поезде и т. д. При этом методически проводится мысль, что этот смертный приговор вынесли целому народу его «непримиримые враги» — грузины.

Сегодня, когда отношения между грузинами и абхазцами остаются напряженными, нельзя оперировать такими непроверенными фактами, подливающими масла в огонь, делать их достоянием всесоюзного читателя. В то же время документально установленная правда, какая бы горькая она не была, будет лишь способствовать достижению взаимопонимания между двумя родственными народами. Если это в интересах всемогущего журнала «Огонек» (чего раньше не наблюдали), то он легко сумеет освободиться от влияния печально знаменитого «Абхазского письма», и, проявив свойственную ему настойчивость, без труда установит точно или опровергнет факт «предстоящего переселения абхазов», с тем, чтобы еще раз всем вместе заклеймить злодеев или же снять с повестки дня вопрос, используемый для обострения межнациональных отношений.

**С уважением**
**Д. О. ГАМАХАРИЯ**

# Бесспорно одно

## В РЕДАКЦИЮ ЕЖЕНЕДЕЛЬНИКА «АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ»

В сороковом номере Вашего еженедельника с возмущением прочли ответ В. Кобахия на вопрос читателя по поводу «массовой» голодовки в Абхазии. Лишний раз убеждаемся, что против грузинского народа существует настоящий заговор центральной прессы, отчетливо проявившийся в дни апрельской трагедии. Но тогда правдивые факты все же просочились в некоторых серьезных изданиях. После июльских событий в Сухуми произошло что-то невероятное. Советская и мировая общественность введена в заблуждение нашей прессой, изображавшей грузинский народ, вопреки очевидным фактам, нападавшей агрессивной стороной, в то время, как он, наоборот, стал жертвой хорошо подготовленной вооруженной авантюры абхазских экстремистов. Ваш еженедельник, как в апреле, так и в июле занимал явно антигрузинскую позицию, печатая фальсифицированные материалы о событиях в республике. И на этот раз создается впечатление, что кое-кто очень постарался «организовать» как вопрос, так и ответ на него. Иначе редакция обратилась бы за разъяснением к новым руководителям — первому секретарю обкома или председателю Совмина Абхазской АССР, но никак не к одному из организаторов июльского побоища в г. Сухуми, фактически бывшему руководящему работнику автономной республики, уже выведенному из состава бюро Абхазского обкома КП Грузии и досиживающему последние дни в основательно пошатнувшемся президентском кресле в ожидании созыва очередной сессии Верховного Совета, к человеку, в отношении которого идет следствие по факту «умелого руководства» им в те драматические дни вооруженным штурмом и взятием, в буквальном смысле слова, местного Зимнего дворца — Дома правительства с низвержением республиканского флага.

Вполне понятно, что «аргументы» и «факты», приведенные этим человеком сомнительной репутации умышленно дезинформируют многомиллионную всесоюзную читательскую аудиторию, и не только ее. Все это до глубины души оскорбляет грузинский народ, который не успел выйти из шокового состояния после 9 апреля, и которому подстрекаемые абхазским «президентом» и другими высокопоставленными преступниками вооруженные бандиты 15—16 июля решили учинить «вторую Фергану».

Вся политическая карьера Кобахия совпадает с тем периодом, когда ложь являлась формой, а обман — испытанным методом «идеологической работы с массами», и, надо ему отдать должное, он овладел ими в совершенстве. Судите сами. Бывший президент - экстремист пишет, что забастовки охватили 140 предприятий и организаций, где работает 41.585 человек (?!). Какая завидная массовость — наверняка подумают даже донецкие и кузбасские шахтеры. По нашим проверенным данным бастовали 70 предприятий и организаций (не считая, правда, сельских магазинов), в которых заняты около 8 тыс. рабочих, абхазской национальности. Вообще небезынтересно будет знать органу общества «Знание», что «эксплуатируемые» грузинами абхазцы, составляя более 17% населения автономной республики, в рядах рабочего класса имеют всего лишь четырехпроцентную прослойку. Зато более 50% ключевых должностей в партийно - государственном, административном и хозяйственном аппарате принадлежат им. Это и позволило организаторам забастовки разыграть «массовость». Районные руководители и директора предприятий абхазской национальности просто закрывали двери фабрик и заводов, не допуская к работе лиц других национальностей.

Прошедшие в Абхазии забастовки и особенно голодовки, кажется, по оригинальному методу Хайдера явились тщетной попыткой Кобахия и его подручных спасти свою шкуру, уйти от ответственности, но это им не удалось и никогда не удастся даже с Вашей помощью, уважаемая редакция.

Чем же недовольны и чего же требуют разные Кобахии, им подобные Озганы и прочие Таркилы — организаторы погрома грузин и устроители забастовки? — Отстранить от расследования июльских событий органы прокуратуры Грузии и передать расследование в ведение Прокуратуры СССР. Выходит, что террористы совершили кровавое преступление, а теперь пытаются диктовать свои условия. Не выйдет! Расследование и до и после забастовки ведется Прокуратурой Грузии под контролем союзной Прокуратуры и с привлечением большого числа опытных следователей из разных республик. Побывавший недавно в Абхазии зам. Генерального прокурора СССР Кравцев дал высокую оценку их работе. Обо всем этом при желании и добром намерении редакция могла осведомиться, связавшись в Москве же по телефону с уважаемым учреждением по улице Долгорукова.

Еще на одно обстоятельство хотим обратить Ваше внимание. Абхазские экстремисты, имеющие широкие связи и влиятельных покровителей в Москве, не скрывают, что если следствие будет передано в союзную прокуратуру, то, даже несмотря на удаление с политической арены большого друга сепаратистов и убийц Чебрикова, отделаются легким испугом.

Бастующие, — пишет их духовный отец, — требовали также закрытия филиала ТГУ, т. к. в Сухуми, видите ли, есть «свой университет, и необходимость появления второго — спорна». Верный себе бывший «президент» открыто лжет. Он «забывает» о том, что в абхазском университете, особенно в последнее время (примерно, после сочинения пресловутого «Абхазского письма» в 1988 г.) для грузин были созданы невыносимые условия, их там постоянно унижали, оскорбляли и притесняли. Около двух месяцев (апрель—май 1989 г.), преподаватели и студенты грузинской национальности (почти половина университета) находились на улице, требуя лишь снятия ректора. Тогда Кобахия только посмеивались на них и палец о палец не ударили для ликвидации конфликта в самом зародыше. Это вынудило грузинскую часть университета и поддержавшую ее общественность поставить вопрос о выделении из Абхазского университета грузинской части и создания на ее базе временно филиала ТГУ. Таким образом, открыт не новый вуз, который действительно не требуется, во всяком случае, сегодня, но по вине абхазских экстремистов произошел раскол одного коллектива.

Боевики Кобахия устроили вооруженное нападение на филиал, опустошили его, жестоко избили членов приемной комиссии, а теперь требуют объединения. Странно получается: вчера половину университета вышвырнули на улицу, а сегодня жить без них «не могут». Хотя ничего странного здесь нет: господа хотят вернуть своих крепостных...

Вся грузинская общественность настаивает на том, чтобы объединение университета по взаимоприемлемой форме произошло ТОЛЬКО после наказания убийц и их вдохновителей. стабилизации политической ситуации в автономной республике, официального осуждения клеветнического «Абхазского письма» и сетета невозможно, оно даже ского обращения». Другими словами, без устранения причин, приведших к расколу, объединение университета невозможно... перестроечными силами мы опасно.

Рассчитывать на оздоровление обстановки в ближайшее время не приходится. Абхазский национальный народный фронт «Андгилара» требует введения комендантского часа с последующим установлением особого управления по карабахскому образцу (так они намереваются «освободиться» от грузинского «ига»). Для достижения заветной цели генштаб абхазских экстремистов «Андгилара» и после организованной им июльской трагедии продолжает разрабатывать провокационные планы, дестабилизирующие ситуацию. Чем хуже, тем лучше для экстремистов. Они как огня боятся демократизации, возможной потери части привилегий. В условиях же комендантского часа и особого управления они еще надеются сохранить кое-что. Вот с какими антиперестроечными силами мы имеем здесь дело.

Не будем дальше писать о других вопросах, в частности о тех 7% промышленного производства, которыми управляет абхазское правительство, ибо серьезные читатели знают, что в аналогичном положении находятся абсолютно все союзные и автономные республики, благодаря всемогущему «сильному центру». Не стоит писать и о том, что Абхазия действительно вырабатывает электроэнергию, что у нас есть самая мощная в Грузии электростанция — ИнгуриГЭС, о сооружении и функционировании которой Кобахия и те, которых он пытается защищать, могут знать только по телевизору.

Хотели бы посоветовать, даже просить редакцию всесторонне и объективно изучить положение дел в Абхазии и выяснить подлинные причины недовольства самого привилегированного в Союзе народа. На самом деле, что же получается? Абхазцы давно имеют все то, чего подавляющее большинство союзных республик лишь сегодня в условиях перестройки начало требовать. Ну а автономные формирования, многие из которых значительно превосходят Абхазию по территории, численности населения, экономическому и интеллектуальному потенциалу, о тех благах даже не осмеливаются мечтать вслух.

Например, у нас одним из государственных языков уже более 60 лет является абхазский язык, что мы одобряем и поддерживаем. Многие союзные республики, в том числе крупные суверенные государства, члены ООН — Белоруссия и даже 50-миллионная Украина не имеют в своих столичных университетах национальные сектора, а 90-тысячный абхазский народ давно имеет возможность обучать свою молодежь на абхазских секторах всех факультетов университета, техникумов. Он имеет также национальные школы, детсады и ясли. Прибавим ко всему этому национальное телевидение, театр, газеты, журналы, многочисленную писательскую и другие творческие организации. Мы уже говорили о том, что больше половины ключевых должностей принадлежат абхазцам. Ведь, по союзным меркам, это максимальное удовлетворение социально - культурных потребностей народа, к тому же задолго до перестройки. Конечно, у абхазцев есть свои национальные проблемы, как и у всех народов СССР, но остается бесспорным фактом, что они занимают привилегированное положение по сравнению с остальными. Нас мало интересует, почему и по чьей вине не имеют тех же благ автономные формирования в других республиках, даже в некоторых союзных республиках. Однако нас очень волнует вопрос о том, почему абхазцы при широких привилегиях на весь мир трубят о мнимых притеснениях, поднимают оружие на грузин, находят при этом даже сочувствие у центральной прессы, а лишенные элементарных прав автономии, например, в РСФСР, практически молчали до последнего времени, да и сейчас с ними мало кто считается?

Найдя убедительный ответ на поставленный вопрос, редакция сможет тем самым устранить упорно распространяемые злыми языками слухи об искусственном провоцировании «сильным центром» по опыту царской России межнационального конфликта в Абахзии с целью нанесения удара по национально - освободительному движению в Грузии, о стремлении, абхазских экстремистов создать в Союзе с народами Северного Кавказа большое мусульманское государство турецкой ориентации и так далее.

Для нас бесспорно одно: только завоевав полный суверенитет и независимость, провозглашенную нашей, пока фиктивной Конституцией, Грузия сможет демократическим путем разрешить межнациональные проблемы. Несвотря на клевету центральной прессы, грузинский народ полон решимости довести до логического конца свою справедливую, законную борьбу в этом направлении. Гарантией успеха является братский союз со свободной и демократической Россией, которая на наших глазах рождается сегодня, отбрасывая остатки шовинизма, имперского мышления, тоталитаризма, очищая общество от чебриковых, родионовых и им подобных.

**ПРАВЛЕНИЕ АБХАЗСКОЙ РЕГИОНАЛЬНОЙ ОРГАНИЗАЦИИ НАРОДНОГО ФРОНТА ГРУЗИИ.**

## Строки без комментари

### ПРОКУРОРУ АБХАЗСКОЙ АССР СТАРШЕМУ СОВЕТНИКУ ЮСТИЦИИ КВИЦИНИЯ А. К.

В ходе расследования уголовного дела по факту убийства Чхотуа Л. Р. и Мгебришвили Р. В. был задержан гр. Квициния Мераб Алексеевич, житель города Сухуми.

Квициния М. А. подозревался в участии 16.07.89 г. в обстреле людей на перекрестке улиц Чочуа и Дзидзария из кабины автомашины КАМАЗ г/н 43-86 ГАХ, во время которого был убит гр. Мгебришвили Р. В. и ранено значительное количество граждан.

На протяжении двух месяцев Квициния М. А. не являлся в прокуратуру, несмотря на неоднократные вызовы и скрывался в городах Ленинграде, Москве. В прокуратуру Квициния М. А., был доставлен в принудительном порядке лишь 30.09.89 г. из г. Москвы. Причем последний уже имел визу на выезд в ЧССР.

Несмотря на то, что участие Квициния М. А. в совершении указанного преступления полностью подтвердилось проведенным расследованием, прокурор г. Сухуми Барциц З. С. 3.10.89 г., а затем Ваш заместитель, Черкезия Л. Д. необоснованно отказали в даче санкции на арест Квициния М. А.

В связи с изложенным следствие было вынуждено 4.10.89 г. изменить Квициния М. А. меру пресечения — арест на подписку о невыезде.

При принятии решения об освобождении Квициния М. А. из-под стражи Вами было заявлено, что он не будет скрываться, и, кроме того, Вы в любое время обеспечите его явку.

В своем заявлении на имя прокурора Абхазской АССР он прямо указал, что будет скрываться от следствия, не отрицая факта нахождения в КАМАЗе.

5.10.89 г. первым заместителем прокурора Грузинской ССР арест Квициния М. А. санкционирован, однако, последний скрылся, и 7.10.89 г. объявлен его розыск.

Родственники Квициния М. А. открыто препятствуют его явке в прокуратуру, что создало значительные сложности в расследовании обстоятельств убийства гр. Чхотуа Л. Р. и Мгебришвили Р. В. В частности, материалами дела установлено, что Квициния М. А. при совершении указанного преступления был ранен в область ноги. В настоящее время он намеревается с целью уничтожения доказательств по делу изъять пулю при помощи медицинских работников.

Исходя из изложенного, прошу Вашего содействия в обеспечени явки Квициния М. А. в прокуратуру.

**З. М. КВИРКВЕЛИЯ,**
**начальник следственного управления прокуратуры Грузинской ССР,**

## მეცნიერის არქივიდან

აფხაზ ექსტრემისტთა ე. წ. ნაციონალური მოძრაობის ფესვები, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოდ ღრმადაა გადგმული და მას მრავალი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ რელიგიური ქვეწყარო ასაზრდოებს. ამ მიზეზთა დადგენის ცდა გახლავთ ოთარ ხვინგიას განცხადება, რომლითაც მან ჯერ კიდევ 1967 წლის 24 ივნისს მიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებს, რათა წაეკითხა იგი პარტიის საოლქო კომიტეტის მომავალ პლენუმზე, რომელიც აფხაზეთში იდეოლოგიური მუშაობის საკითხს განიხილავდა. რასაკვირველია, სიტყვა განმცხადებელს არ მიუღია, მაგრამ მან მაინც შეძლო აღნიშნული განცხადების წაკითხვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, რომლის საზღაურად ოთარ ხვინგია წლების მანძილზე აფხაზ ნაციონალისტ-ექსტრემისტებისაგან დევნასა და შევიწროებას განიცდიდა. იგი 1986 წლის 9 მარტს, უკვე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, გულის მწვავე მიოკარდიით მოულოდნელად გარდაიცვალა, მაგრამ მისი მრავალი წინასწარმეტყველება და სიმპტომი, რომელიც განცხადებაშია დასმული, თუ როგორ ახდა, დღეს არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

აღნიშნული განცხადება რუსულ ენაზეა დაწერილი, იგი ვთარგმნეთ და, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვბეჭდავთ მცირეოდენი შემოკლებით.



# მიზეზები და შედეგები

ამხანაგებო! — ნაციონალისტური განწყობილების აღორძინება აფხაზეთში 1956 წლიდან დაიწყო. ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ნაციონალისტებმა უკვე სამჯერ მოაწყვეს ორგანიზებული გამოსვლა და მაშინ, როცა ეს მოვლენები პარტიული მსჯელობის საგნად იქცეოდა, ყოველთვის ასეთი ფორმულით სარგებლობდნენ, „არაა საჭირო მდგომარეობის გამწვავება“, მაგრამ როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, ამ ფორმულის პრაქტიკაში განხორციელებამ წარმატება ვერ მოგვიტანა, ამას არავითარი დადებითი შედეგი არ მოუცია. პირიქით, შედეგი უფრო საპირისპირო შეიქნა.

ვფიქრობ, ახლა, როცა ჩვენ უკვე გაგვაჩნია ათწლიანი სავალალო გამოცდილება ზემოხსენებული ფორმულის („არაა საჭირო მდგომარეობის გამწვავება“) გამოყენებისა, აუცილებელია მთელი პასუხისმგებლობით ვკითხოთ საკუთარ თავს: რატომაა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფორმულით ვმოქმედებთ, მდგომარეობა, ფაქტიურად, დღითიდღე მწვავდება და ჭერჭერობით არა გვაქვს არავითარი გარანტია იმისა, რომ უკეთესით შეიცვლება.

რატომ ხდება ასე? საქმე ის არის, რომ აზრი ფორმულისა „არაა საჭირო მდგომარეობის გამწვავება“, ფაქტიურად, მიდის იქამდე, რომ იგი ხალხს საკუთარი აზრის გამოთქმას უკრძალავს ნაციონალისტურ გამოხტომებზე. მაშასადამე, ამ ფორმულის საშუალებით იხშობა ნაციონალისტების კრიტიკა და ამით, რადგან ნაციონალისტების წინააღმდეგ არავითარი ზომები არ ტარდება, ისინი მოქმედების სრულ თავისუფლებას იღებენ. მათ არავინ უშლის აშკარადავრცელონ თავიანთი ნაციონალისტური შეხედულებანი.

ერთი სიტყვით, გვსურს ეს ჩვენ თუ არა, ფორმულა „არაა საჭირო მდგომარეობის გამწვავება“, პრაქტიკულად აქეზებს ნაციონალისტებს და ხელ-ფეხს უკრავს, ვინც მათ არ ეთანხმება, ამიტომ, თუკი ჩვენ მართლა გვსურს, რომ ნაციონალიზმს ვებრძოლოთ და მდგომარეობა კიდევ უფრო არ გამწვავდეს, უარი უნდა ვუთხრათ ამ მცდარ ფორმულასა და ცრუ გეზს. უკვე დროა, პრინციპულ პოზიციებზე დავდგეთ და თავისი სახელი ვუწოდოთ მოვლენებს.

1967 წლის 7-10 აპრილის სოხუმის მოვლენები, როგორც შინაარსით, ისევე ფორმითაც აშკარად ნაციონალისტური ხასიათის მატარებელია, ისინი მიმართულია ჩვენი ქვეყნის ხალხების მეგობრობისა და ერთობის შერყევისაკენ. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუკი მოვისურვებთ არსებითად გავერკვეთ მათში.

მართლაცდა, რაზეა ლაპარაკი, რას ესწრაფვიან ნაციონალისტები? ისინი ითხოვენ აფხაზეთის გამოყოფას საქართველოდან. აქ არ ვბედავთ იმის საჭიროებას, რომ საკითხის ამგვარად დაყენების უსაფუძვლობა ვამტკიცოთ. მაგრამ, შესაძლოა, მაინც აქვს აზრი, შევახსენოთ, რომ საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად, არ შეიძლება მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრების ცალმხრივი გადახალისება. მაგრამ ამჟამად საქმე ამას არ ეხება.

ყველასათვის ცნობილია, რომ სოხუმში, აფხაზი მოსახლეობის უკანასკნელ, მრავალრიცხოვან შეკრებაზე, წაიკითხეს და ერთსულოვნად მოიწონეს წინასწარ მომზადებული ნაციონალისტური წერილი. ამასთანავე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის, რომ აღნიშნულ დოკუმენტში, არა თუ უბრალოდ აყენებენ ცალკეულ მოთხოვნებს, არამედ ცდილობენ თეორიულადაც დაასაბუთონ ისინი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს გარკვეულ, იდეოლოგიურად ნაციონალისტურ მოძრაობასთან. აღნიშნული წერილის ავტორები ცდილობენ „მეცნიერულად დაასაბუთონ“ ჩვენს ქვეყანაში მცირე ავტონომიურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის არასამართლიანობა და ითხოვენ აფხაზეთისთვის მოკავშირე რესპუბლიკის უფლებათა მინიჭებას.

მოდით, ვამხილოთ ამ საკითხის პოლიტიკური მხარე.

ჩვენი ახლადგამომცხვარი თეორეტიკოსების ლოგიკით გამოდის, რომ თუკი ავტონომია არ აკმაყოფილებს აფხაზებს, იგი, ბუნებრივად, არ შეიძლება მისაღები იყოს სხვა ერებისთვისაც. მაშასადამე, აფხაზეთი პრეცენდენტად უნდა იქცეს თავდაპირველად ყველა ავტონომიური რესპუბლიკისა და, შემდგომ, ალბათ, ავტონომიური ოლქებისა და მხარეების საკავშირო რესპუბლიკებად გამოცხადებისა. ამის შედეგად ჩვენთან უნდა შეიქმნას 53 მოკავშირე სახელმწიფო.

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო მოწყობას ჩვენ არა მხოლოდ დღევანდელი დღის გათვალისწინებით უნდა შევხედოთ, არამედ ობიექტური პერსპექტივების გათვალისწინებითაც. ამ საგანგებოდ მნიშვნელოვან საკითხში არ შეიძლება ნაციონალისტურ გრძნობებს მოვატყუებინოთ თავი.

ახლა, როცა უკვე მოგახსენეთ, თუ რა სურთ ნაციონალისტებს, ვნახოთ, თუ როგორ ასაბუთებენ თავიანთ სურვილს აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის შესახებ. ნაციონალისტები ამბობენ, რომ ისინი გამოყოფისათვის თითქოს იმიტომ იბრძვიან, რომ ქართველები აფხაზების მიმართ თურმე, ნუ იკითხავთ და, კოლონიზატორულ და გენოციდის პოლიტიკას ატარებენ.

გენოციდი ერთ-ერთი ყველაზე უმძიმესი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე, რომელიც რასობრივი, ეროვნული და რელიგიური მოტივებით მიმართულია მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ფიზიკური განადგურებისაკენ. გენოციდი, საერთაშორისო სამართლის თანახმად, მთელმა ცივილიზებულმა, პროგრესულმა სამყარომ დაგმო.

სავსებით უნდა დაჰკარგო სინდისი და სირცხვილი, მსგავს ცილისწამებამდე რომ დაეცე. მე არ ვაპირებ ენაბილწ ცილისმწამებლებთან კამათში ჩარევას, მაგრამ, რადგან ეს ღვარძლიანი ცილისწამება ფართოდაა გავრცელებული და, ასე განსაჭეთ, უცხოეთის რადიოს ავლადიდებადაც კი იქცა, არ შეიძლება უპასუხოდ დატოვო. ჩვენ უნდა ვამხილოთ ამ მონაჩმახის ნამდვილი სათავე. ეს მწარე ცილისწამება წარმოადგენს იაფი, ბურჟუაზიული პროპაგანდის გადამღერებას საბჭოთა კოლონიალიზმის შესახებ. ეს კი ნიშნავს, რომ ადგილობრივი ნაციონალისტები, ფაქტიურად, იდეოლოგიური დივერსიის შემწედ იქცნენ.

იქნებ ვინმემ თქვას, არაა საჭირო ფერების გამუქება და არაფრისაგან ხმაურის შექმნაო, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ასეა საქმე. ნაციონალისტურმა პროვოკაციებმა აფხაზეთში სისტემატური ხასიათი მიიღეს და ამასთანავე, ისინი კიდით-კიდე ვითარდებიან წლითიწლობით. ნაციონალისტებს უკვე კარგა ხანია შემუშავებული აქვთ თავიანთი მოქმედების ტაქტიკა და პროგრამა. საიდუმლო არაა, რომ მათ შეძლეს შეცდომაში შეეყვანათ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. უკანასკნელმა მოვლენებმა ისეთი მახინჯი ფორმა მიიღო, რომ მთელი რესპუბლიკა შეაძრწუნა. ნაციონალისტები მოსვენებას უკარგავენ ხალხს და ხელს უშლიან მშვიდად იცხოვრონ და იშრომონ. მათ, გარკვეულწილად, პარტიული ორგანოების პარალიზებაც კი მოახდინეს: ამას ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ დღემდე პასუხისგებაში არაა მიცემული ნაციონალისტური გამოსვლების არცერთი ორგანიზატორი.

ეს ყველაფერი, უთუოდ, საკმაო საფუძველია აფხაზეთში ნაციონალიზმის შესახებ სერიოზული და პრინციპული მსჯელობისათვის.

იმისათვის, რომ წარმატებით ვებრძოლოთ ნაციონალიზმს, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, მისი არსებობის მიზეზების სწორი განსაზღვრა. როგორც ცნობილია, ნაციონალიზმი ერის ეკონომიკური, პოლიტიკური ან კულტურული შევიწროვებისას წარმოიშობა ხოლმე, მაგრამ აფხაზეთში მსგავსი არაფერი ხდება. ეკონომიკურად აფხაზები ცხოვრობენ გაცილებით უკეთ, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების მშრომელები. დიდი პრივილეგიები აქვთ, ამავე დროს, პოლიტიკური, სახელმწიფო და კულტურული თვალსაზრისით. გამოდის, რომ აფხაზებში არაა და არც შეიძლება იყოს არსებული ნაციონალიზმის ობიექტური მიზეზები.

ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვა: საიდან მოვიდა თანამედროვე, ადგილობრივი ნაციონალიზმი? იგი ხელოვნურად შექმნეს ერთმა მუჭა ნაციონალისტ-პროვოკატორებმა გრძნობებზე თამაშის გზით, შანტაჟითა და ხალხის მოტყუებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ საქმე გვაქვს ნაციონალიზმის განსაკუთრებულ, კონკრეტულ სახესთან, — პროვოცირებულ ნაციონალიზმთან, ე. ი. ნაციონალიზმთან, რომელიც მოკლებულია ხალხში ყოველგვარ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საფუძვლებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ეს მდგომარეობა, რადგან ნებას იძლევა ვამხილოთ ადგილობრივი ნაციონალიზმის ჭეშმარიტი მიზნები და თვისება-ხასიათი. მასში იოტისოდენადაც არაა გამოხატული ხალხის ჭეშმარიტი ინტერესები, — მას ხალხში არ გააჩნია არავითარი ობიექტური ნიადაგი. ხალხს ცალკეული პირების კარიერისტული მისწრაფებანი ამოძრავებს. ადგილობრივი ნაციონალიზმის შინაგანი იმპულსია ავტონომიურ რესპუბლიკაში ყველა ხელმძღვანელი თანამდებობის დათრევა და ხელში ჩაგდება.

როგორ აღმოვფხვრათ პროვოცირებული ნაციონალიზმი?

პასუხი ნათელია: საჭიროა აღვკვეთოთ მიზეზი ამ ნაციონალიზმისა — ერთი მუჭა პროვოკატორები და ინტრიგანები, ისინი განკვეთილნი უნდა იქნენ ხალხისაგან. ამისათვის ყველა პროვოკატორი, ნაციონალისტურ გამოსვლებს რომ აწყობდნენ, უნდა გამოვავლინოთ, დავასახელოთ და იდეურად ვამხილოთ. ხალხს აუცილებლად უნდა ვუჩვენოთ, რომ ნაციონალისტები საკუთარი ანგარების მიზნით თესენ ეროვნულ შუღლს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საკმარისია ყოველივე ამის შესახებ ხმამაღლა, გულახდილად და ჰკვიანურად ვუთხრათ ხალხს და ისიც სწრაფად განასხვავებს სიმართლეს სიცრუისაგან. მაგრამ რატომღაც ჩვენს ხელმძღვანელ მუშაკებს, — ოფიციოზს ჭიუტად არ სურს ეს და ჩვენც, რა თქმა უნდა, ძლიერ გვაღელვებს მათი ასეთი პოზიცია. ბევრისთვის, მაგალითად, სრულიად გაუგებარია, რატომაა, რომ მთელი დანაშაულის გადაბრალება აშკარად მოტყუებული ხალხისათვის სურთ და ჭეშმარიტი დამნაშავეების სახელის ხსენებასაც კი კრძალავენ. რა ხდება? ჩვენ გვსურდა პასუხი მიგველო ამ კითხვაზე. ნუთუ პოლიტიკურად უფრო გამართლებულია მკაცრი ზომების მიღება პროვოცირებული გლეხების მიმართ, ვიდრე გვირგვინის ახდა იმ ერთი მუჭა „ინტელიგენტი“ კარიერისტებისათვის. ვფიქრობთ, რომ ასეთი მიდგომა შექმნილი მდგომარეობის გადასაწყვეტად სავსებით გამოუსადეგარია.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, თუ რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, ჩვენ რომ გლეხობა გაგვეგულისებინა: ჯერ ერთი, რომ ამას ნაციონალისტები მაშინვე გამოიყენებდნენ თავიანთი ცილისწამების დასასაბუთებლად გენოციდისა და კოლონიალისტური პოლიტიკის გატარების შესახებ, მეორე მხრივ, ეს გამოუსწორებელ დარტყმას მიაყენებდა საქართველოში მცხოვრები ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას.

ამასთან დაკავშირებით, მე მთელი პასუხისმგებლობით მსურს განვაცხადო, რომ თუკი ჩვენ მომავალშიც პროვოცირებულ მშრომელ მასას გავუგულისდებით და ნაციონალისტ-პროვოკატორებს ყოველნაირად ავაცილებთ კრიტიკას, ეს აუცილებლად მიგვიყვანს იქამდე, რომ ნაციონალიზმის მიზეზი თავად ხალხში წარმოიქმნება და მაშინ უკვე გაცილებით ძნელი გახდება მდგომარეობის გამოსწორება.

რატომაა, რომ სულ უფრო და უფრო ყვავის ნაციონალიზმი აფხაზეთში?

ეს იმით აიხსნება, რომ ყველა აქამდე მიღებული ზომა მიზანს არ ხვდებოდა და არც ახლა ხვდება, რადგან ისინი მიმართულია არა ნაციონალიზმის მიზეზების აღმოსაფხვრელად, არამედ მისი საბაბის ლიკვიდაციისაკენ. ნაციონალისტები ამბობენ, რომ ხალხი გროვდება და უკმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ მათ აღაშფოთებთ მეცნიერთა მიერ აფხაზთა წარმოშობის საკითხის არასწორი გაშუქება. სავსებით დასაშვებია, ბევრს ეს გულწრფელად აწუხებდეს, მაგრამ, ამავე დროს, უნდა ვაღიაროთ, რომ მეცნიერება თავისთავად, მათ შორის ონომასტიკასთან, ტოპონიმიკასა და ხალხების წარმოშობასთან დაკავშირებული პრობლემები, არ შეიძლება იყოს ნაციონალიზმის მიზეზი. ადგილობრივმა ნაციონალისტებმა კი წარმატებით გამოიყენეს ეს საკითხები თავიანთი ნაციონალისტური გამოხტომების მიზეზად. ეს უცილობლად მტკიცდება იმით, რომ ნაციონალისტებმა თავიანთი ძირითადი მოთხოვნები წამოაყენეს ჯერ კიდევ 1956 წელს, ხრუშჩოვისადმი მიწერილ სამ წერილში, ე. ი. ერთი წლით ადრე, ვიდრე ინგოროყვას, ბლაუბასა და ბერძენიშვილის ცნობილი წიგნები გამოიცემოდა. მაშასადამე, სრული უაზრობა იქნებოდა, რომ ამ წიგნებში გვეძებნა აფხაზეთში წარმოშობილი ნაციონალიზმის მიზეზები. სხვათაშორის, ზოგიერთი ამხანაგი თვალებს ხუჭავს ამ აშკარა ფაქტზე, ნათელს რომ ჰფენს საქმის ჭეშმარიტ მდგომარეობას.

რასაკვირველია, პროვოკატორებს არამც და არამც არ უნდა მიეცეთ მიზეზი, მაგრამ, როგორც იტყვიან, თუ სურვილია, მიზეზიც ყოველთვის მოიძებნება. ამიტომ გაცილებით ეფექტური იქნება, თუკი ბრძოლას ნაციონალიზმის მიზეზთა აღმოსაფხვრელად მივმართავთ. ბოლოსდაბოლოს, გონს უნდა მოვიყვანოთ ყველა ჯურის პროვოკატორი, ნაციონალისტი იქნება თუ შოვინისტი, მაშინ მიზეზსაც ვერავინ მისცემს და ვერც ვერავინ მოძებნის საბაბს მორიგი ნაციონალისტური გამოხტომისათვის.

აი, კიდევ რის შესახებ უნდა ითქვას:

დოკუმენტებში, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, 7-10 აპრილის მოვლენები მონათლულია, როგორც თვითნებური თავყრილობა. მე არ ვამბობ, რომ არადამაჯერებელია ასეთი შეფასება. მნიშვნელოვანია სხვა რამე, — იგი პოლიტიკურადაა მცდარი.

თუკი დავეთანხმებით იმას, რომ ეს იყო თვითნებური, ე. ი. არავის მიერ ორგანიზებული თავყრილობა, მაშინ გამოდის, რომ ნაციონალიზმის მიზეზი თავად ხალხშია, — ეს კი არ შეესაბამება სინამდვილეს. აფხაზი ხალხი თავისი ბუნებით ღრმად ინტერნაციონალურია... ერთი ნათელია — ხალხმა თავად უნდა მოძებნოს თავის რიგებში ძალები პროვოცირებული ნაციონალიზმის გადასალახავად, ხოლო პარტიულმა და ხამთავრობო ხელმძღვანელობამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხს ამ მიზეზების დადგენასა და აღმოფხვრაში, თუ თავად არ არის დაინტერესებული ამ პროვოცირებული ნაციონალისტური მოძრაობის განვითარებით.

**ოთარ ხვინგია,**
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

**1967 წლის 24 ივნისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძმობისა და მეგობრობის გვერდი

# სისხლი სისხლისმიერი

ამ წერილში გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ მხოლოდ ერთ ფაქტზე, რომელიც ზემოთ მოტანილი აზრის ნათელი ილუსტრაციაა. საკითხი ეხება დასავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების ყარაჩა-ბალყარელებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის მივიწყებულ ტრადიციებს. მართალია, ყარაჩა-ბალყარელები არ ეკუთვნიან იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს, საუკუნეების განმავლობაში ქართველ მთიელებსა და ყარაჩა-ბალყარელებს შორის ადგილი ჰქონდა ცალკეული ეთნიკური ჯგუფების ასიმილაციისა და ინფილტრაციის პროცესებს. ამან ისეთი ინტენსიური ხასიათი შეიძინა, რომ ყარაჩა-ბალყარელთა დიდი ნაწილი ქართული წარმოშობისაა. ამას თვითონაც ალიარებენ, უფრო მეტიც, ბევრი დღემდე ატარებს თავდაპირველ გვარს. ამ ფაქტმა თავისებური გამოხატულება ჰპოვა ყარაჩა-ბალყარელთა ფსიქიკაში, ხასიათში, ანთროპოლოგიური ფორმირების პროცესში და ა. შ.

აღნიშნულ პრობლემას ეძღვნება ჩემი მონოგრაფიაც (თ. მიბჩუანი, მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1986). ცნობილია, რომ ყარაჩა-ბალყარელების, როგორც ერთ-ერთი ყივჩაღური შტოს ფორმირება ხდებოდა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ძირითადად ქართულ (სვანურ) ეთნიკურ ნიადაგზე. სვანური დასახლებები ბალყარეთის ტერიტორიაზე მე-19 ს. შუა წლებამდე გვხვდება. ყარაჩა-ბალყარეთის ტერიტორია მოფენილია ქრისტიანული მონასტრებითა (სენტი, შოანა — XI-XII სს.) და სალოცავებით, ქართული წარწერებით, სვანური კოშკებით, სვანური გეოგრაფიული სახელებით, ქართული ქრისტიანული სამარხებით. ნიკონისეული რუსული მატიანის ცნობით ყარაჩა-ბალყარეთის ტერიტორიაზე XVI საუკუნეში 164 სვანური დასახლება არსებობდა. ცხადია, საუკუნეების განმავლობაში იქ მოსახლე ქართველები თანდათანობით კარგავდნენ ქრისტიანობასა და ენას, მაგრამ თაობიდან თაობაში გადადიოდა ხსოვნა ქართული წარმომავლობისა. დღესაც ყარაჩა-ბალყარეთის ტერიტორიაზე ქართული გვარის ბევრი ადამიანი ცხოვრობს. გასაბჭოებამდე ამიერ და იმიერ კავკასიის ერთმოგვარეებს შორის მჭიდრო ნათესაური კონტაქტები არსებობდა, ისინი ერთმანეთს გვერდში ედგნენ ჭირსა თუ ლხინში. ეს ხელს უწყობდა ქართველ მთიელებსა და ყარაჩა-ბალყარელებს შორის მტკიცე მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ, როცა ყველა ეს ხალხები კრემლმა იშვილა, მისი მოიმედენი ერთმანეთს თითქმის გაემიჯნენ და ნათესაური ურთიერთობის ძირძველი ტრადიციებიც დავიწყებას მიეცა.

ყარაჩა-ბალყარელებში თავს ქართულ წარმოშობისად თვლიან შემდეგი გვარის მატარებლები: ბოტაევები (კახიანები), გეკიევები (კახიანები), ებზეევები (არღვლიანები), ერისტაევები (ერისთავები), ერისტოვები (ერისთავები), ოთაროვები (დადეშქელიანები), უაბელოვები (დადეშქელიანები), უაბოევები (დადეშქელიანები), უაბიევები (დადეშქელიანები), სოტიაევები (ყიფიანები), ტაპასხანოვები (ქურდიანები), ქურდიანოვები (ქურდიანები), შახმურზაევები, ელმურზაევები, ათმურზაევები (გუჯეჯიანები), ჩარკვიანოვები (ჩარკვიანები), ჯაპუევები, ჯაფაროვები (ჯაფარიძეები), თეყუევები (გუჯეჯიანები), ალბუტომვები (ქოჩქიანები), ჯარაშუევები (კახიანები), გურჩევები (გურჩიანები), დადუევები (დადუანები), დინაევები (?„დინა“ სვან. ქალიშვილი), მამუჩევები (მიბჩუანები), მეჩიევები (?„მეჩი“ სვან. „მოხუცი“), ხუბიევები (ხვიბლიანები), ჭოჭაევები (ჯაჭვლიანები), სუბელოვები (სუბელიანები), წულკიანოვები (წულკიანები) და ა. შ.

ეს გვარები მოიცავენ ყარაჩა-ბალყარეთის მთელ რიგ სოფლებს. ზოგიერთი მათგანის სიმრავლე აღემატება ყარაჩა-ბალყარელთა ნებისმიერი გვარის რაოდენობას. ყველა ამ გვარების მატარებლებმა იციან თავიანთი გვარის წარმომავლობის ისტორია, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. მაგალითად, „ტაპასხან“ ბალყარულად „მარდად ხტომას“ ნიშნავს. ვინმე ქურდიანს მოძალადე თავადი მოუკლავს, მერე გაქცეულა, მდინარეზე მარდად გადამხტარა და გადაკარგულა. იგი სხვა სოფელში დასახლებულა და იქ მომრავლებულა. მას იმ დღიდან „ტაპასხანს“ ეძახდნენ ხოლმე და მერე იგი მისი შთამომავლობის გვარად იქცა.

სოტაევები ყვებიან, რომ მათი შორეული წინაპარი ყოფილა ვინმე ლევან ყიფიანი. ლაშკუტველი 90 წლის იუსუფ სოტაევის სიტყვით, მათ ოჯახში მგზავრობის დროს ხშირად შემოივლიდა თბილისელი მიხეილ ყიფიანი, როგორც ერთმოგვარეებთან. იგი განათლებული კაცი იყო. მახსოვს, გვეუბნებოდა, თქვენ ქართველები ხართ და ეს არ უნდა დაგავიწყდეთო. გვარი „სოტაევი“ მომდინარეობს ლევანის ცოლის სოტას სახელისაგან. ლევანს ყარაჩაში ვილაც სხვა ქალი შეჰყვარებია, ბახანში ცოლშვილი მიუტოვებია, შვილები სოტას გაუზრდია. ამის შემდეგ ამ ოჯახს და მის შთამომავლობას გვარად სოტაევი დაუმკვიდრდათ. თითქმის ანალოგიური, ოპონიმური წარმოშობისაა სხვა ზემოთ ჩამოთვლილი მთელი რიგი გვარები. ამ სტრიქონების ავტორთან ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ს სახალხო პოეტმა, ბალყარელმა პირველმა განმანათლებელმა საიდ ოსმანის ძე შახმატაზოევმა, რომელიც ჩვენი შეხვედრის დროს (1970 წ.) 82 წლის იყო, თქვა, რომ მათი მოგვარეები არიან მულახელი გუჯეჯიანები. 1969 წელს იგი მულახელ გუჯეჯიანებს ქორწილში დაუპატიჟნიათ, მაგრამ ამ სიბერეში უღელტეხილზე გადასვლა ვერ შევძელიო. ადრე სვან გუჯეჯიანებს, ბალყარელ შახმურზაევებს, ელმურზაევებს და ათმურზაევებს შორის ერთმოგვარეობის ნიადაგზე დამყარებული ნათესაობის ტრადიცია ძალიან მტკიცედ გვქონდაო დაცული. იგივე უნდა ითქვას სხვა დანარჩენ მოგვარეებზეც. ასე ამბობენ ამას სვანეთში, რაჭაში და ყარაჩა-ბალყარეთშიც.

რაჭველი რეხვიაშვილები იქ რახაევებად იწოდებიან. რახაევები ძალიან მრავალრიცხოვანი გვარია. როცა ბეზინგელ 96 წლის ადილ რახაევს უთხრეს, რომ მე ქართველი ვიყავი, მან ჩემი ხელი ჯერ ჩაიხუტა და შემდეგ მაკოცა, ჩვენც ქართველები ვართო და თვალის უპეები ცრემლებით აევსო. ასეთივე შეხვედრები მქონდა ბახსანში ქურდიანოვებთან, ყარაჩაევსკში ებზეევებთან და სხვ.

სხვათაშორის, საიდ შახმურზაევმა ისიც მითხრა, რომ აწ განსვენებული პოეტის ყაისინ ყულიევის თქმით მისი წინაპრები სვანები ყოფილან. ყულიევებს ებზელებს (ე. ი. სვანებს) ეძახიანო, მაგრამ მათში არავის ახსოვს თავდაპირველი სვანური გვარი.

ყაბარდო-ბალყარეთში ყოფნისას ერთი საინტერესო გადმოცემაც ჩამაწერინეს: „ქაშაგი და სონა ძმები ყოფილან. მათ გადაუწყვეტიათ კავკასიონიდან ღმერთამდე ასვლა. რომელი მწვერვალით უნდა ასულიყვნენ ღმერთამდე, ამაში წაკამათებულან და გზას ცალ-ცალკე გასდგომიან. ქაშაგი მწვერვალებს შეუშინებია და ბარში დაბრუნებულა, სონა ღმერთამდე ვერ ასულა და მთებს შერჩენია. ამის მერე სონას სამკვიდრო ადგილს ეწოდაო სვანეთი, ხოლო ქაშაგისას—ჩერქეზეთი“.

სონა სვანთა ეთნარქოსია, ქაშაგი კი — ყაბარდოელების, ჩერქეზების, ადიღეელებისა.

**თეიმურაზ მიბჩუანი,**
თსუ-ის სოხუმის ფილიალის ისტორიის კათედრის დოცენტი

# ჩემი ადიღეელი ძმები

„ჩამოვიარე მე ჩერქეზეთი,
ვუახლოვდები ჩვენსკენ
დარიალს...“

*ტ. ტაბიძე*

ბოლო წლებში წაკითხული წიგნებიდან ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა აწ განსვენებული მწერლის, წარმოშობით ჩერქეზის მიხეილ ლოხვიცკის წიგნმა „მეხთატეხა“. ჩრდილო-კავკასიის ხალხთა ისტორიაში ავად თუ კარგად გარკვეულმა კაცმა იცის (უნდა იცოდეს!), რა დიდი ტრაგედია გადაიტანა ადიღმა ხალხმა (ადიღეელები, ყაბარდოელები, ჩერქეზები) XIX საუკუნეში. მწერალი ოსტატურად აღწერს ხალხთა ამ უპრეცედენტო, ძალდატანებითი გადასახლების საშინელ სურათებს. რუსეთთან ბრძოლით ქანცგაწყვეტილი, დათრგუნვილი, თურქეთის ვერაგული პოლიტიკით დაბანგული ხალხი იძულებული გახდა მშობლიური მიწა-წყლიდან აყრილიყო და შორეულ თურქეთში გადახვეწილიყო, საიდანაც მერე მთელ მუსულმანურ სამყაროში მიმოიფანტნენ, თუმცა სადაც უნდა ცხოვრობდნენ დღეს მაშინდელ ლტოლვილთა შთამომავალნი, თურქეთსა თუ სირიაში, იორდანიასა თუ ისრაელში, იუგოსლავიასა თუ შორეულ ავსტრალიაშიც, მაინც არ დაუკარგავთ თავიანთი ენა და ადათ-წესები.

ამ დღეებში ისევ გადავფურცლე ეს წიგნი და ადიღედან ახლადაბრუნებულს დამებადა სურვილი ორიოდე სიტყვა მეთქვა იმ ადიღეელებზე, ჩემს მეგობრებზე, რომლებიც დღეს ცხოვრობენ ადიღეში აულ ჯეჯხაბლში, ნეშუყაიში, პანეჟუყაიში, ყუნჩუსაბლში, ადიღეს დედაქალაქ მიაყვაფში.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ამ ხალხთან გარდა პირადი სიმპათიებისა, ნათესაური კავშირიც მაქვს. ჩემი მეუღლე თამარ უჯუხუ თავის დროზე სხვა ახალგაზრდა ადიღეელებთან ერთად სასწავლებლად ჩამოვიდა თბილისში. აწ განსვენებული დიდი ქართველი მეცნიერის, კავკასიელი ხალხების თაყვანისმცემლისა და ქომაგის არნოლდ ჩიქობავას, პროფესორ გიორგი როგავას და აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის ხელმძღვანელობით მან [illegible] წავლა ქართული ენა, ეზიარა ქართულ კულტურას, შეიყვარა ქართველები და საქართველო.

თითქმის ათი წელია, წელიწადში ერთხელ მაინც მივდივარ ადიღეში, მეუღლის სამშობლოში. ათი წელია ადიღეს კართან მეგებებიან ჩემი მეგობრები აულ ჯეჯხაბლიდან რუსლანი და რაშიდი, ადამი და ასლანი, აზამატი და ანზაური, მურატი და რამაზანი... ყველას სახელს რა ჩამოთვლის, ბევრნი არიან ისინი, ჩემი ადიღეელი მეგობრები.

ხვევნა-კოცნით არ მხვდებიან. ან როდის იყო კავკასიელი მამაკაცები ერთმანეთს ლოშნიდნენ! დიდრონ ტორებს გამომიწვდიან და ერთი მაგრად შემაჯანჯღარებენ. უგ არის მაგათი მოფერება.

უმალ მშობლებს მომიკითხავენ, — ხომ კარგად არიან, ჯანმრთელადო, და-ძმა როგორ გყავსო, — მეკითხება ძველი მეგობარიც და ისიც, ეს წუთია, რომ გამაცნეს. უჯუხების სახლში მისულს, ნათესავების მოკითხვას ძლივს დამაცდიან და უკვე მაჩქარებენ, წამოდი, ამდენ ხანს სახლში ყოფნა ვინ გაიგონაო. ჭკუა ვისწავლე და აღარ ვეკითხები, სად მივდივართ ან შინ როდის დავბრუნდებით-მეთქი. ვიცი, მაინც არ მიპასუხებენ, ან მეტყვიან — „მივდივართ, რაღაო“... მართლაც რა კაცის საქმეა ამდენი ცნობისმოყვარეობა, სადაც საჭიროა, იქ მივდივართ. ეს „იქ“ კი შეიძლება იყოს აულ ნეშუყაის სანახები, სადაც მდორედ მიიზლაზნება მდინარე მარტა და სადაც ასწლოვანი მუხების ჩრდილში უკვე გველოდებიან დანარჩენები... აქ კი, როგორც თვითონ უყვართ თქმა, „ბუნების წიაღში“, — დაწვრილებით გამომკითხავენ, თუ რა ხდება საქართველოში, მერე აუცილებლად მოიგონებენ ეპიზოდს, როგორ შეხვდნენ შორს, რუსეთში ქართველ ბიჭებს, ჯერ რომ კინაღამ იჩხუბეს, მერე კი უცებ დაძმაკაცდნენ და ერთი მაგრადაც „შეუბერეს“.

ასე მიდის დღეები. დღეს პანეჟუყაიში მივდივართ სახლის დასალოცად, ხვალ ღობუყვაიში ვართ ქორწილში დაპატიჟებულნი, კვირას კი მამითადში ვართ დაძახილები, რუსლან ჯარიმოყვა სახლს აშენებს და უნდა დავეხმაროთ.

ასე გაგრძელდება მანამდე, ვიდრე ვინმე მათგანი არ მომადგება და არ მეტყვის: — წამო, ჩაეგდე მანქანაში, ხომ ვიცი, მიაყვაფელი მეგობრები მოგენატრა, მეც იქით გამიწევია და შენც წაგიყვანო.

მივყვები ასლანს და წინასწარ მიხარია, რომ შევხვდები ნალბი ყოიოყვას, ყაზბეგ შაზოს, ტეუჩეჟ ყატს, ბატირბი ბერსირს, იური დაუტს, ალიკ ფარანუყვას, ნურბი ლევფაჟს, ყასეი ხაჩეგოგოს, ზამუდინს... — მწერლებს, მხატვრებს, ექიმებს, მეცნიერებს...

პირველად, რა თქმა უნდა, შამსუდინთან მივალ, შამსუდინ ხუტთან, შესანიშნავ მეცნიერ-ფოლკლორისტთან. იგი ნამდვილად ღირსეული შთამომავალია თავისი წინაპრებისა. მიუხედავად იმისა, რომ თორმეტი წლის წინ თვალისჩინი დაკარგა, ნირი მაინც არ შესცვლია და დღესაც მეტად ნაყოფიერად შრომობს. შამსუდინიც, როგორც ბევრი მისი მეგობარი, ქართული ლიტერატურის, კულტურის შესანიშნავი მცოდნე და საქართველოს დიდი მოყვარულია. იგი დღეს სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს და მალე დაიცავს კიდევაც მას თბილისში, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. საკანდიდატოც ხომ აქ დაიცვა!

და განა მარტო შამსუდინმა, თბილისში მიიღეს მეცნიერული ნათლობა დღეისათვის უკვე ცნობილმა მეცნიერებმა ასკერ გადაგატლმა და აბუ სხალიახომ, ყაზბეგ შაზომ და ბატირბი ბერსირმა, რაია უნაროყვამ და ყუტას ჯარიმოყვამ და მრავალმა სხვამ. ყველა მათგანი დიდი სითბოთი იხსენებს იმ დღეებს, რომელიც თბილისში გაატარეს, დიდი კრძალვით მოიგონებენ აწ განსვენებულ მეცნიერებს არნოლდ ჩიქობავას და მიხეილ ჩიქოვანს, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს ადიღეს მეცნიერთა კადრების აღზრდასა და დაკვალიანებაში. მოიკითხავენ მხცოვან მეცნიერებს იოსებ მეგრელიძეს, ქეთევან ლომთათიძეს, გიორგი როგავას და, რაღა თქმა უნდა, თავიანთ „ჩერქეზ ძმას“, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს ვაჟა შენგელიას. მოკითხვას შემოუთვლიან მხატვრული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგიის თანამშრომლებს, რომლებიც ასეთ კარგ ლიტერატურულ წელიწდეულს — „კავკასიაში“ ბეჭდავენ „კავკასიურ [illegible]ას“, იქნება ეს ადიღი პოეტების ნალბი ყოიოყვას და ფაზუ ბეშთოყოს ლექსები, დაღესტნელი მეცნიერის ფატიმა აბაქაროვას საინტერესო წერილი ქართულ-დაღესტნურ ლიტერატურულ ურთიერთობებზე თუ ადიღური და უბიხური ფოლკლორის ნიმუშები, რაც მხოლოდ მცირეოდენი ნაწილია იმ მრავალტომიანი ანთოლოგიისა, რაზეც უკვე დიდი ხანია მუშაობენ და მალე დაიწყება მისი გამოცემა ორიგინალის, ქართულ და რუსულ ენებზე. გამოსაცემად უკვე მომზადებულია ამ ანთოლოგიის პირველი ტომი „ადიღური ფოლკლორი“.

მიაყვაფში აუცილებლად წავალ ეროვნულ თეატრში და ვნახავ სპექტაკლებს „მე ვხედავ მზეს“, „ნუ გეშინია დედა!“ „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი...“ აქ დასახელებული ქართული პიესების ჩამოთვლით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ადიღეს ეროვნულ თეატრში ხშირად იდგმება ქართველ ავტორთა ნაწარმოებები.

ილევა შვებულების დღეები, ვემშვიდობები ჩემს ჩერქეზ მეგობრებს და გული მწყდება, რომ ვერც ამჯერად მოვახერხე ბათირბის ქალიშვილის რუსუდანის ნახვა. ამ პატარა გოგონასი, რომელსაც მამამისმა შესანიშნავი ქართველი ქალბატონის რუსუდან ჯანაშიას პატივსაცემად მისი სახელი დაარქვა.

...სევდიანი იყო წლევანდელი ჩემი შეხვედრა ადიღეელ მეგობრებთან. სამძიმარი მითხრეს 9 აპრილის გამო, 15-16 ივლისის გამო, გული ბოღმიანად ჩაიმჯილეს რაშიდმა და მურატმა, აზამატმა და ნალბიმ, ანზაურმა და ახმედმა, მხარზე თავი დამადო და ნაღვლიანად გაყუჩდა ქართველების ძველი ერთგული, მამაცი მეზობლების — ადიღების შთამომავალი პატარა მურატ ფარანუყვა, შვილიშვილი განსვენებული ადიღეელი პოეტის მურატ ფარანუყვასი.

მერე თვალი გამისწორეს ჩემმა ჩერქეზმა ძმებმა და მითხრეს: „ავს, გულღრძოს და უმადურ კაცს, ძალიანაც რომ გინდოდეს, გზას ვერ აუქცევ, სადღაც მაინც გადაეყრები. ერთი-ორი ავსიტყვა ჩვენშიც გამოერია, აფხა- [illegible] ბენ, გაავრცელონ ჭორები ქართველების ჰეგემონიზმზე, თითქოს მათ აფხაზეთის ამოელეტა, მერე კი დანარჩენი კავკასიელი ხალხების დამონება ჰქონდეთ განზრახული. არ ვიცით, თბილისში როგორ ჩადის ასეთი ჭორი, ვიღაცას უთქვამს ადიღეელები თოფ-იარაღით მოდიან აფხაზების დასაცავადო. არა, ძმაო, არ დაიჯეროთ, ჩერქეზებს რა აქვთ ქართველებთან გასაყოფი, ან აფხაზებს დასაცავი რა აქვთ, დასაცავები ჩვენა ვართ, აგერ, ჩვენი, ბედის ანაბარა მიტოვებული შაფსუღები გაგვწირვებია, ამ ყიამყრალებს კი, სოხუმსა და მაიკოპს შუა რომ დარბიან, დავიწყებიათ ანდაზა — „აგორებული ქვა ხავსს ვერ მოიკიდებსო“. მაგათი აქ არავის სჯერა, თქვენც ნუ ათხოვებთ ყურს მითქმა-მოთქმას, აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ ყველას გვატკინა გული, ერთნიც ჩვენი ძმები ხართ და მეორენიც, ჩვენი ერთადერთი სურვილი ის არის, რომ შერიგდნენ ძმები, მშვიდობა დამყარდეს ამდენი სტიქიური უბედურებებით, მტრისგან უსამართლოდ სისხლდათხეულ, მგლოვიარე საქართველოში, ჩვენ კი, როგორც ყოველთვის, ძმობას გეტყვით მხოლოდ!..“.

ჩემი წამოსვლიდან რამდენიმე დღის მერე სტამბაში უკვე უნდა აკინძულიყო შესანიშნავი პოეტის ჰამიდ ბერეთარის მიერ ადიღეურ ენაზე თარგმნილი დიდი შოთას „ვეფხისტყაოსანი“. მალე მას მშობლიურ ენაზე წაიკითხავენ ჩემი ჩერქეზი მეგობრები და თუმცა მათ არ ესწავლებათ მოძმის სიყვარული, გამტანობა და თავდადება, მაინც კიდევ ერთხელ იგრძნობენ, როგორ ესმის ქართველს ერთგულება, თავდადება და მოყვასისადმი უანგარო სიყვარული.

**მიხო ბეროშვილი**

26. X. 1989.

**P. S.** გუშინ ტელევიზიით გადმოცეს ცნობა, რომ ყაბარდოში, ქალაქ ნალჩიკში გაიხსნა ქართული სკოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიმიტრი ყიფიანის ძეგლი თბილისში

# მომავალი მოითხოვს პასუხს

დღეს, როცა ამდენს ლაპარაკობენ საქართველოს ერთიანობისა და ქართველი ხალხის კონსოლიდაციის შესახებ, როცა ჩვენი სამშობლოს მტრები ცალ-ცალკე და ერთად გვიგიზგიზებენ ამბოხების კოცონებს აფხაზეთში, სამაჩაბლოში, ქვემო ქართლსა და, ვინ იცის, კიდევ სად და სად, როცა 9 აპრილისა და 15-16 ივლისის ზემოდან ინსპირირებული სისხლიანი ტრაგედიების შემდეგ, სადაც წააწყდებიან, იქვე უმოწყალოდ უსწორდებიან ქართველ ჯარისკაცებს, როცა „პამიატი" ასე აშკარად და დაურიდებლად აფრიალებს ტრანსპარანტებს ქვეყნის დედაქალაქში მოსკოვში — „საქართველო — ქართველთა გარეშე!", როცა საქართველოში აფხაზი — რესპუბლიკას, აზერბაიჯანელი — ავტონომიას და ოსი — ქართული მიწის ჩრდილოეთ ოსეთთან მიერთებას მოითხოვს და მზად არიან საქართველო ნაკუწ-ნაკუწად აქციონ და დაინაწილონ, — ამ დროს აფხაზეთის საოლქო გაზეთებში იბეჭდება ინტერვიუ აფხაზეთის სამხედრო კომისართან — გენერალ-მაიორ ლ. აბაშიძესთან, სადაც ხელის ერთი მოსმით გადაწყვეტილია აფხაზეთიდან გასაწვევი ყველა წვევამდელის ბედი, — რომ მათი სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევა საქართველოს დედაქალაქიდან — თბილისიდან კი არა, არამედ აფხაზეთიდან, კერძოდ, სოხუმიდან მოხდება და ამ სტრატეგიულ სამხედრო სეპარატიულ გადაწყვეტილებას ლ. აბაშიძის ასეთი პოლიტიკური დასკვნა ედება საფუძვლად: „ახალგაზრდობის გაწვევა სამხედრო ნაწილებში უშუალოდ აფხაზეთიდან, არის კიდევ ერთი დადასტურება ავტონომიური რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გაფართოებისაკენ მიმართული კურსისა..."

ბარაქალა აბაშიძის ქართველობასა და მამულიშვილობას, — მუხრან-ბატონივით ასე ხელგაშლით რომ არიგებს და განაგებს საქართველოს განუყოფელი ნაწილის — აფხაზეთის მიწა-წყალსა და ბედ-მომავალს.

რა შეგვიძლია ვუწოდოთ გენერალ-მაიორის ასეთ განცხადებასა და საქციელს?!..

პასუხი ერთადერთია: საკუთარი შვილისაგან საკუთარი სამშობლოსათვის მახვილის ჩაცემა.

როგორც ჩანს, ლ. აბაშიძისაგან ეს შემთხვევით და უცაბედად მოქნეული მახვილი არ უნდა იყოს.

ამბობენ, ყოველივე ამის საზღაურად ბატონმა ლერიმ ახალი თანამდებობა, — ამიერკავკასიის ჯარების სარდლის მოადგილეობა გაინაღდა და თავის გენერალ-მაიორობას კიდევ ერთი ვარსკვლავი მიუმატაო.

მაგრამ აქვს კი ასეთ „ნახტომს" და ვარსკვლავთმატებას რაიმე ფასი, თუ ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასს — სამშობლოს ინტერესებს ანაცვალებ მსგავს საჩუქრებს?!.

სხვა დროსა და სხვა სიტუაციაში შეიძლება საგანგაშო აქ არაფერი იყოს, აფხაზეთში მცხოვრებ წვევამდელთა გაწვევა აფხაზეთიდან რომ მოხდეს. ეს ყველა ცივილიზებულ და ნორმალურ ქვეყანაში ასე ხდება, გაწვევა კი არა, სამხედრო-სავალდებულო სამსახურს ყველა ახალგაზრდა იმავე რეგიონში ასრულებს, სადაც ცხოვრობს. მაგრამ დღეს, როდესაც მთელი საქართველოს გასაწვევი ახალგაზრდობა საზოგადოებრიობასთან ერთად უარს აცხადებს იმსახუროს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და მხოლოდ იმისათვის, რომ ქართველ ჯარისკაცებზე რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები ისე ნადირობენ, როგორც უმწეო კურდღლებზე და თუთიის კუბო კუბოს მოჰყვება სახსოვრად და მთელი საქართველოს წვევამდელები საპროტესტო აქციებს ატარებენ და მათ შორის აფხაზეთის ქართველი ახალგაზრდები ენგურგაღმა დამსხდარან, რომ ენგურგამოღმა ისევ არ ამოუღიტონ, თქვენი ასეთი დასკვნა: „ამგვარად, ეს გადაწყვეტილება ყველას აძლევს ხელს", — სულ ცოტა, მკრეხელობად მაინც უნდა მივიჩნიოთ, რაზედაც ალბათ მთელ ქართველ ხალხთან ერთად მომავალიც, თვით საქართველოს მომავალიც მოითხოვს პასუხს.

**დიმა დადიანი**

# თამარის ხიდი

მეთერთმეტე-მეცამეტე საუკუნეებში, ქართული ფეოდალური სახელმწიფოს აყვავების პერიოდში, ცხუმი (თანამედროვე სოხუმი) ამ საერისთავოს ქალაქად ითვლებოდა. თამარ მეფემდე თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებობდა სამი საერისთავო: ბედიის, ცხუმის და აფხაზეთისა. თამარ მეფის დროს მოხდა საერისთავოების გაერთიანება და ჩამოყალიბდა ცხუმის საერისთავო, რომლის სათავეში იდგა ფეოდალი შარვაშიძეთა საგვარეულოდან. ცხუმის ერისთავი ემორჩილებოდა სამეფო ხელისუფლებას.

ამ დროს ცხუმი იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ზღვისპირა ქალაქი საქართველოს სამეფოსი, იგი წარმოადგენდა მეფეთა საზაფხულო რეზიდენციას. ვფიქრობთ, რომ ძველი ცხუმია ნაგულისხმევი გიორგი ხუცეს-მონაზონის ერთ ცნობაში, სადაც საუბარია გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ მესამეზე: „რამეთუ მოწევნულცა იყო ჟამი ზამთრისა და ჩვეულებისამებრ თვისისა წარვიდა აფხაზეთად... რათა მუნ დაიზამთროს და განისუენოს და ვითარმედ არს ქვეყანა იგი ბარი და ტფილი". „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ცნობით: „თამარ მეფე ზამთარს დვინს იყვის და ზაფხულს კოლას თუ წელის (ცელის თუ წილის) ტბასა, ზოგჯერ გარდავიდის აფხაზეთს, გეგუთსა და ცხუმს". ქართველი მეფეები სანადიროდაც ჩამოდიოდნენ ცხუმში. „ასწლოვან მატიანე"-ში ჟამთააღმწერელი წერს, რომ გიორგი ლაშა „გარდავიდის ქუეითი აჯამეთს, ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს და განაგნის საქმენი მანდაურნი".

შუა საუკუნეებში ცხუმი ძირითადად ბესლეთის მარცხენა ნაპირზე იყო გაშენებული, ნავსადგური კი მდინარის შესართავთან ახლოს მდებარეობდა. ჯერ კიდევ ასი წლის წინათ არქეოლოგი ვ. სიზოვი, რომელმაც გათხრები ჩაატარა მდ. ბესლეთის მარცხენა მხარეზე, აღნიშნავდა, რომ ის ადგილი, სადაც ბაგრატის ციხეა, აფხაზეთში თურქების გამოჩენამდე ყოფილა ცხუმის ერისთავთა რეზიდენცია. ამ ეპოქის დამახასიათებელი ძეგლია „ბაგრატის ციხე". ციხის აგებას ხალხი გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფეს ბაგრატ მესამეს მიაწერს.

იმ დროის სამოქალაქო ნაგებობებიდან შემორჩენილია ერთმალიანი ქვის ხიდი მდ. ბესლეთზე. ბესლეთის ხიდი მონუმენტური თაღია დიდი ზომის ბრტყელი ქვებით აგებული. მოსაპირკეთებლად გამოყენებულია კირქვის თლილი ქვები. ქვებს შორის ორი რიგი აგურის ფენაა ჩადუღაბებული. ხიდი ზევიდან დაფარული ყოფილა კირქვის თხელი ფილებით, ხოლო ორივე ნაპირზე გადასვლის სიადვილისათვის — ხელოვნური ქვაზვინებით. ხიდის თაღის გვერდით ქვაზე ამოკვეთილი იყო წარწერა ქართული ასომთავრული ასოებით. ამჟამად ტექსტის მესამედია მხოლოდ დარჩენილი. წარწერა დიდხანს სუროთი იყო დაფარული, იგი აღმოაჩინა ადგილობრივმა მხარეთმცოდნემ ი. არძინბამ. წარწერა ამოიკითხა აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა, შემდეგ თ. ბარნაველმა. ამ უკანასკნელმა წარწერა დაათარიღა მეთერთმეტე საუკუნით. ბესლეთის ხიდი ითვლება შუა საუკუნეების ქართული სამშენებლო ხელოვნების შესანიშნავ ძეგლად.

ისმება კითხვა, რატომ აშენდა ქალაქიდან ასე შორს ქვის ხიდი მდ. ბესლეთზე და არა ქალაქში? ეს გამოწვეული იყო იმით, რომ შუა საუკუნეებში ცხუმს ქუთაისთან, თბილისთან აერთებდა გზა არა ზღვისპირა ზონით (ეს ზონა ძლიერ დაჭაობებული იყო და განირჩეოდა მდინარეთა ხშირი ქსელით), არამედ მდ. ბესლეთის მარჯვენა სანაპიროთი (დღევანდელი ჭანბას ქუჩით). ხიდის გავლის შემდეგ მთისძირა სოფლებით გზა მიდიოდა მდინარე ენგურამდე, ოცარცესა და რუხის ციხე-სიმაგრეებამდე. საინტერესოა, რომ ბესლეთის ხიდის მარცხენა მხარეზე მცირე მოედანს აფხაზურად აივერა ეწოდება. ეს სიტყვა შეიძლება მომდინარეობდეს ივერიიდან, საითკენაც მიდიოდა აქედან გზა.

ამგვარად, წარწერიდან ჩანს, რომ ხიდი მეთერთმეტე საუკუნეშია აგებული, ბაგრატ მესამის მეფობის წლებში, ე. ი. თამარ მეფის პაპის პაპის პაპის მეფობის დროს, მაგრამ წარსულშიც და ამჟამადაც ხალხი მას თამარის ხიდს უწოდებს. საუკუნეების განმავლობაში თამარ მეფის სიყვარული ისე განმტკიცებული, რომ ხალხი საქართველოში თითქმის ყველა ძველ ნაგებობას თამარ მეფეს უკავშირებს. ამიტომ უწოდა ხალხმა ბესლეთის ხიდსაც თამარის ხიდი, რომელიც საუკუნეების მანძილზე აფხაზეთს სამეგრელოსთან, იმერეთთან და მთელ საქართველოსთან აკავშირებდა. ძველთაგანვე ხიდები გზასთან ერთად ქვეყნის ის მთავარი არტერია იყო, რომელიც ჭირსა თუ ლხინში აერთებდა ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეს და რომლის გარეშე არსებობა არ შეეძლო ერთიან საქართველოს.

ჩვენ გვეამაყება, რომ ამ ხიდზე 750 წლის წინათ გაუვლია ქართველი ხალხის სალოცავ ხატს — თამარ მეფეს, რომელსაც მემატიანე „ყოველსა მეფეთა შორის უდიდესს, სვიანს და ბედნიერსა, ტკბილსა და სახიერს, გლახაკთა და მოჩივართა განმკითხველს" უწოდებს. თამარ მეფის სიყვარული აფხაზი ხალხისადმი იმაშიც გამოიხატა, რომ მან თავის პირმშოს, ტახტის მემკვიდრეს, საქართველოს მომავალ მეფეს გიორგი მეოთხეს, შინაურულად, სასიყვარულოდ აფხაზური სახელი „ლაშა" — მანათობელი უწოდა.

**ვალერიან ზუხბაია**

## აფხაზეთის ასსრ პროკურორს ბ-ნ ა. კ. კვიწინიას

**ასლი: აფხაზეთის რუსთაველის საზოგადოების გამგეობას**

**ასლი: აფხაზეთის სახალხო ფრონტის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობას**

როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის 6 ივლისს მოქ. ჯგუფმა ქ. გაგრაში, ლაკობას ქ. № 7ა სახლში გატეხა განაწილებული და ჩასახლებული 18 ბინა, ავეჯი გამოყარა და თვით შესახლდა შიგ. მოძალადეები კანონიერ მცხოვრებთ სიკვდილით დაემუქრნენ და დააფრთხეს. დაზარალებულებმა იჩივლეს პროკურატურაში, მილიციაში. დაიწერა პროკურორის სანქცია მოძალადეთა გამოსახლების შესახებ, მაგრამ ამაოდ, ბურთაობა გრძელდება.

პარტიის საქალაქო კომიტეტმაც მიიღო დადგენილება დამნაშავეთა დასჯის შესახებ, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველა.

ბოლოს დამნაშავეებს საჩივარი დააწერინეს და მის საფუძველზე თქვენი განკარგულებაც მიიღეს გაგრის პროკურატურის სანქციის შეჩერების შესახებ.

ექსტრემალურ სიტუაციას თქვენ აღრმავებთ, როცა შეუმოწმებლად იძლევით განკარგულებას, არც კი გაინტერესებთ უაღრესად ნიშნეული ფაქტორები, კერძოდ:

1) დაზარალებულთა უმრავლესობა ქართველია, რომელთაც ბინები წაართვეს აფხაზებმა.

2) ორდერგაცემული, ჩასახლებული ბინები გატეხეს, ხელყვეს ავეჯი, ოჯახის ქონება, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია და რასაც თქვენ ყურადღებას არ აქცევთ.

3) ასეთივე ყაჩაღური მეთოდებით დაიკავეს ბინები ლაკობას ქ-ზე, №№ 5, 7, 17 სახლებში, ბიჭვინთაში, სხვაგან. ამას არც პროკურატურა და არც ქალაქკომი ყურადღებას არ აქცევთ, მაშასადამე, თქვენვე აკანონებთ ძალადობას.

4) კანონით, თქვენ მოძალადეები უნდა გამოგესახლებინათ და მერე გეძებნათ მათი საჩივარი. ახლა კი თქვენი განკარგულებით ყაჩაღობა დააკანონეთ.

ველოდებით თქვენს მორიგ განკარგულებას.

**ნ. კეშელავა,**
გაგრის რუსთაველის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე

**რ. ნინუა,**
გაგრის სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე

9. 10. 89 წ.

# ამტკიცებენ, რომ...

19 ოქტომბერს 17 საათზე ბიჭვინთის პირველი საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში პედაგოგებმა და მოსწავლეებმა ჩაატარეს მერაბ კოსტავას ხსოვნის აღსანიშნავი სამგლოვიარო ღონისძიება, რაც გაგრძელდა 45 წუთს. უფრო მასშტაბურად ეს ღონისძიება ვერ ჩატარდა წვიმის გამო. ყველა წავიდა. სკოლაში დარჩნენ გახანგრძლივებული ჯგუფების ოთხი აღმზრდელი და დირექტორი მზევინარ ქეცბაია, რომელიც კაბინეტში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ მას დერეფნიდან მოესმა რაღაც ხმაური. გამოვიდა და ნახა, რომ სკოლის ემბლემა და ილიას სურათი ვიღაც პიროვნებას ჩამოეგდო და ზედ ფეხით შემდგარიყო. ამ კაცს ხელში ეჭირა წამახული ფოლადის მავთული 50 სმ. სიგრძისა, რომელსაც ტარიც ჰქონდა. როგორც კი მიუახლოვდა მზევინარი, უცნობმა იარაღი ყელზე მიაბჯინა და რაღაც ჩაიბურდღუნა, შევიდა კაბინეტში და დირექტორიც შეიყვანა. უცნობი მივიდა სამუშაო მაგიდასთან, ჩაჯდა სავარძელში, გამოაღო უჯრები და საბუთების ქექვა დაიწყო. ამ დროს მზევინარმა აიღო გასაღებები და კარი გარედან ჩაკეტა. გამოუძახეს მილიციას და ხალხსაც უხმეს, რომელიც სასწრაფოდ შეიკრიბა. საზოგადოება უკიდურესად აღელვა ამ თავხედობამ. გამოიძახეს პარტიის ქალაქკომის მეორე მდივანი და აღმასკომის თავმჯდომარე. მილიციის თანამშრომლებმა ხულიგანი ბარციცი წაიყვანეს, ხალხს შეჰპირდნენ, რომ მეორე დილით პასუხს გასცემდნენ ინციდენტის შესახებ და ხალხიც დაიშალა.

20 ოქტომბერს 9 საათზე ხალხი კვლავ შეიკრიბა სკოლაში. მოვიდნენ გაგრის მილიციის უფროსი გოგია, განათლების განყოფილების გამგე ჩაკაბერია, ქალაქკომიდან — ენიკი, ბიჭვინთის სადაბო საბჭოს თავმჯდომარე შამბა, ელოდნენ პარტიის ქალაქკომის მეორე მდივანს. სკოლის ეზოში შემოვიდა 100-მდე აფხაზი და ალყაში მოაქციეს სკოლა. ქართველებმა მოითხოვეს აფხაზთა სკოლიდან გაყვანა. როგორც იყო, ისინი გავიდნენ ეზოდან. მოვიდნენ მეორე მდივანი და ბიჭვინთის მილიციის უფროსი ფარულუა, უშიშროების ბიჭვინთის განყოფილების უფროსი და სხვანი. შეუმჩნევლად შემოვიდა დამნაშავე ბარციცი, მივიდა სკოლის დირექტორთან და მის ჩანთას დაუწყო ქექვა. მოულოდნელობისაგან მზევინარმა შეჰკივლა, ვინ გამოუშვა ეს აქ, ამას რა უნდაო? აღელდა ხალხი და მოითხოვეს, ილიას სახელის შეურაცხმყოფელი მათთვის გადაეცათ. ხალხი დამნაშავეს არ დაინდობდა და ალბათ ჩაქოლავდა კიდეც, ამიტომაც დირექტორმა და სხვებმა ის გააპარეს, ხოლო ტერიტორიიდან მილიციის მანქანით გაიყვანეს. ამტკიცებენ, რომ ბარციცი სულით ავადმყოფიაო.


გამოდის თვეში ერთხელ
ფასი 1 მან.

ოქროს საწმისი
რედაქციის მისამართი: 384901,
სოხუმი, ლენინის 19
ტელეფონი: 2-82-73

მთავარი რედაქტორი ჯანო ჯანელიძე.
სარედაქციო კოლეგია: დავით დოლბაძე, ბენო კალანდია, ბელა მამფორია, თემურ მიბჩუანი, ალექსანდრე მიქაძე, გიორგი რატიანი, თემურ შურღაია, ვალიკო ქარჩავა, სოსო ჩოჩია, სერგო წურწუმია, რეზო ხარებავა, ჯუმბერ ჯოჯუა, შოთა ჯღამაძე.